

სამოქალაქო განათლების სტუდენტთა მესამე  
სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომების კრებული

*„სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში“*

თბილისი, იანვარი, 2016

ამ კონფერენციის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით საარჩევნო პროცესების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და იგი არ ასახავს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA), საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

*This conference is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID) in the framework of the Strengthening Electoral Processes in Georgia project, implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The contents are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of Civic Education Lecturers Association (CELA), IFES, USAID or the United States Government.*

**რედაქტორი - თამარ ქარაია,**

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტი - კახაბერ ურიადმყოფელი**

სამართლის დოქტორი



სამოქალაქო განათლების სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენცია თემაზე

“სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში”

*2015 წლის 19 დეკემბერი, შაბათი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*I კორპუსი, N 101 აუდიტორია*

10:30 – 11:00 მონაწილეთა რეგისტრაცია

11:00 – 11:15 მისალმება და კონფერენციის გახსნა

თამარ ქარაია, CELA-ს აღმასრულებელი დირექტორი

ნერმინ ნისიჩი, IFES საქართველოს პროექტის ხელმძღვანელი

პირველი პანელი: სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეთა ჩართულობა

მოდერატორი: თეონა დიასამიძე, CELA

11:15 – 11:30 სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობა: ღირსებები და ნაკლოვანებები

თეონა გელაშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11:30 – 11:45 სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში

სანდრო ტაბატაძე და მარიამ გულიაშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11:45 – 12:00 სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეთა ჩართულობა

**სამოქალაქო საზოგადოება – მიზანი თუ საშუალება?!**

მედია ართიმელაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**12:00 – 12:15 ღია მმართველობის ცნება – ხელისუფლების შეზღუდვა,**

**ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა**

ქრისტინე ბოლქვაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**12:15 – 12:30 ღია მმართველობის ცნება – ხელისუფლების შეზღუდვა,**

**ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა**

თამთა ჭრიკიშვილი და ანა მესხი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**12:30 – 12:50 დისკუსია**

**12:50 – 13:50 ლანჩი**

**მეორე პანელი: სოციალური კაპიტალი და მოქალაქეთა ჩართულობა**

მოდერატორი: ლევან ლორთქიფანიძე

**13:50 – 14:05 ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის ფორმა**

თამთა ჩხაიძე და ნათია კეკელიძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**14:05 – 14:20 საარჩევნო სისტემა, როგორც სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთი პირობა**

შოთა ნარსია – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**14:20 – 14:35 სოციალური კაპიტალის ეკონომიკური მნიშვნელობა**

ზურა გამთენაძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**14:35 – 14:50 სოციალური კაპიტალი და ეკლესია**

ნინო ინჯგია – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

14:50 – 15:20 შესვენება: ყავა, ჩაი

მესამე პანელი: სოციალური მედია და მოქალაქეთა ჩართულობა

მოდერატორი: თინა ნორაკიძე

15:20 – 15:35 სოციალური მედიის როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში

სალომე ღლონტი და ლიკა ზაალიშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

15:35 – 15:50 სოციალური ტელერეკლამა, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობი

საქართველოში

თეიმურაზ ბეჟანიძე და თორნიკე შვეარდნაძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

15:50 – 16:05 ტრადიციული და სოციალური მედიის როლი

მარიკა გვიანიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

16:05 – 16:20 ქალთა აქტივობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში

ანი რაზმაძე და ქეთევან ქობულაძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

16:20 – 16:40 დისკუსია, კონფერენციის შეჯამება

16:40 – 16:50 სერტიფიკატების გადაცემა

## სარჩევი

### მედია ართმელაძე

სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეთა ჩართულობა, სამოქალაქო საზოგადოება – მიზანი თუ საშუალება?! .....7

### თეიმურაზ ბეჟანიძე, თორნიკე შვეარდნაძე

სოციალური ტელერეკლამა, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობი საქართველოში.....14

### თეონა გელაშვილი

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობა: ღირსებები და ნაკლოვანებები.....21

### ზურა გამთენაძე

სოციალური კაპიტალის ეკონომიკური მნიშვნელობა.....28

### მარია გვიანიძე

ტრადიციული და სოციალური მედიის როლი.....38

### სანდრო ტაბატაძე, მარიამ გულიაშვილი

არაფორმალური განათლების ფორმები საქართველოში და მათი მიზნების შესაბამისობა პროგრესული განათლების მიზნებთან.....44

### შოთა ნარსია

საარჩევნო სისტემა, როგორც სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთი პირობა....54

### ქეთევან ქობულაძე, ანი რაზმაძე

ქალთა აქტივობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.....65

### თამთა ჭრიკიშვილი, ანა მესხი

ღია მმართველობა და ელექტრონული მთავრობა.....76

## Table of Contents

### **Medea Artmeladze**

Civil Society and Citizen Involvement, Civil Society – Goal or Opportunity?!.....7

### **Teimuraz Bejanidze, Tornike Shevardnadze**

Social Advertisement as Supporter of Civic Activism in Georgia.....14

### **Teona Gelashvili**

Effectiveness of teaching Civic Education: advantages and disadvantages.....21

### **Zura Gamtenadze**

Economical Importance of Social Capital.....28

### **Marika Gvianidze**

The role of traditional and Social media.....38

### **Sandro Tabatadze, Mariam Guliashvili**

Forms of non-formal education in Georgia and their compliance with the objectives of progressive education.....44

### **Shota Narsia**

The electoral system as one of the conditions for fair elections.....54

### **Ketevan Kobuladze, Ani Razmadze**

Women's turnout in the local elections 2014.....65

### **Tamta Tchrikishvili, Ani Meskhi**

Open government and E-government.....76

მედეა ართმელაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეთა ჩართულობა

*“სინამდვილეში, ყველაზე არსებითია ის ინსტიტუტები და ის კონკრეტული სოციალური კონტექსტი, მას (დემოკრატიას) რომ წარმოშობს. ამ ინსტიტუციონალური პირობების მიღმა „დემოკრატის“ არსი ბუნდოვანი რჩება, ხოლო თავად ის - მიულწეველი“. – ერნესტ გელნერი*

თანამედროვე ეპოქა მუდმივად ქმნის ახალ ტენდენციებს და გვაყენებს ახალი გამოწვევების წინაშე. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური და სენსიტიურია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის, რადგან საბჭოთა კავშირმა თავისებური, ღრმა დალი დაასვა სამოქალაქო აქტივობას და ინდივიდი აქცია დიდი მექანაზმის ერთ, პატარა, უმნიშვნელო დეტალად. კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი, არასამთავრობო, ნებაყოფლობითი გაერთიანებების სფეროს მნიშვნელობით, დაწყებული სამეზობლო კავშირებით და დამთავრებული ყველა სახის ინტერესთა ჯგუფებითა და საქველმოქმედო ფონდებით, ხდება ფართო მსჯელობის საგანი და განიხილება ფუძემდებლურ კომპონენტად, რომლის ფორმირება აუცილებელია როგორც დემოკრატიზაციისთვის, ასევე დამკვიდრებული დემოკრატიის სიჯანსაღისთვის. ამ ფონზე, მით უფრო საოცარია შეუსაბამობა სამოქალაქო საზოგადოების ცნების ფართო აღიარებასა და მის შინაარსობრივ ბუნდოვნებას შორის.

საბჭოთა ეპოქაში სამოქალაქო გაერთიანებები მხოლოდ საშუალება იყო ხელისუფლების მიერ ადამიანის ოპერატიული დამორჩილებისათვის. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა საბჭოთა კავშირში არსებული შემოქმედებითი და პროფესიული კავშირების მოღვაწეობა. საბჭოთა რეჟიმი თვითონ ქმნიდა და აფინანსებდა საზოგადოებრივ, პროფესიულ და სახელოვნებო გაერთიანებებს, როგორც საბჭოთა იდეოლოგიის მსახურებს. ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი, საბჭოთა იდეოლოგიისაგან თავისუფალი ან მისი მოწინააღმდეგე ორგანიზაციები კი უბრალოდ არ არსებობდა.

პრობლემის ძიებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისვას კითხვა - რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება, რა როლი და ფუნქციები აკისრია მას საზოგადო კეთილდღეობის მიღწევის



საქმეში და რა მიმართებაა სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკას შორის? სად მთავრდება სამოქალაქო საზოგადოება და იწყება პოლიტიკური საზოგადოება? მიეკუთვნება თუ არა პოლიტიკური გაერთიანება სამოქალაქო საზოგადოების სფეროს და თუ არა, სად გადის ზღვარი ინტერესთა ჯგუფსა და პოლიტიკურ პარტიას შორის? ასუსტებს თუ არა სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოს ზეგავლენას მოსახლეობაზე, თუ პირიქით – ემსახურება სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციას? რატომ არის მიჩნეული, რომ ნებაყოფლობითი გაერთიანებების არსებობა დემოკრატიის ხელშემწყობი ფაქტორია? ეს და სხვა მრავალი კითხვა სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში ქმნის მისი შინაარსთან დაკავშირებულ ბუნდოვანებას.

ხშირად იკვეთება პოზიცია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური საკითხების განხილვა და მათზე მსჯელობა არ შედის სამოქალაქო საზოგადოების კომპეტენციის საზღვრებში, იგი უნდა იყოს დეპოლიტიზებული და არ ერეოდეს პოლიტიკურ ბრძოლებში, რაც მხოლოდ პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოხელეების სამოქმედო ასპარეზია. ასეთი დეპოლიტიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას პოლიტიკოსების შეხედულებებზე მეტისმეტად დამოკიდებულნი ხდებიან, იმ შემთხვევაში, თუ მათ ზურგს არ უმაგრებს სამოქალაქო საზოგადოება. ყოველივე ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია პოსტსაბჭოური სივრცისთვის – განსხვავებით დემოკრატიული ქვეყნებისგან, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბევრად უფრო კარგად ახერხებენ პოლიტიკასა და სახელმწიფო საკითხებზე დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი აზრის გამოთქმას.

პოლიტიკური დღის წესრიგი დემოკრატიულ ქვეყნებში, ნაწილობრივ მაინც, მასმედიის გავლენით ყალიბდება, რაც დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტია. პოლიტიკური იდეები და ღირებულებები სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა იღებდნენ სათავეს, თუკი ლაპარაკია სამოქალაქო საზოგადოების მიერ დემოკრატიის ხელშეწყობაზე. დეპოლიტიზებული სამოქალაქო საზოგადოების ფონზე მასმედია ვერ იტვირთავს მეოთხე ხელისუფლების ფუნქციას.

სამოქალაქო საზოგადოების დეპოლიტიზების სურვილი კი, ხშირად, განპირობებულია იმით, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში საზოგადოებრივი კონფლიქტი პოლიტიკური სფეროს მახასიათებლადაა წარმოდგენილი, რაც შორს დგას სამოქალაქო საზოგადოებისაგან, რომელიც ხშირად უნდათ წარმოდგინონ თბილი, უკონფლიქტო ურთიერთობების სფეროდ. სინამდვილეში, სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნის საფუძველი სწორედ

კონფლიქტის არსებობაა (უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურის). თუ საზოგადოებაში არ ჩამოყალიბდა კონფლიქტის (კონკურენციის) პირობებში ერთობლივი მოქმედების კულტურა, ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა ავტომატურად გადაინაცვლებს სახელმწიფოს კომპეტენციის სფეროში, რაც ასუსტებს დემოკრაციას, ზრდის სახელმწიფოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საშიშროებას.

ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლარი დაიმონდმა კომპლექსურად გამოიკვლია ის, თუ რომელი ინსტიტუტები მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოებას და რას საქმიანობენ ისინი. დაიმონდის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითა, თვითწარმოქმნადი, (ფართოდ) თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით. ზოგადად, ის განსხვავდება „საზოგადოებისგან“ იმ თვალსაზრისით, რომ მასში ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად საზოგადოებრივ სფეროში საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების და იდეების გამოსახატავად, ინფორმაციის გასაცვლელად, საერთო მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს წინაშე მოთხოვნების წამოსაყენებლად და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოება კი არის შუალედური წარმონაქმნი, რომელსაც უკავია ადგილი კერძო ცხოვრების სფეროსა და სახელმწიფოს შორის (bbabungo.wordpress.com, 2013).

სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედ პირებს ავტონომიურობისა და მოქმედების თავისუფლების დასაცავად ესაჭიროებათ ინსტიტუციონალიზებული სამართლებრივი წესრიგი. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოება არა მარტო ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას, არამედ ლეგიტიმურ ხასიათსაც ანიჭებს მას იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფუძნებულია კანონის უზენაესობაზე. იქ, სადაც საკუთრივ სახელმწიფო არღვევს კანონიერების ჩარჩოებს და უგულვებელყოფს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ავტონომიურობას, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მაინც არსებობდეს, (თუმცა კი „ჩანასახოვანი“ ან „დამახინჯებული“ ფორმით) თუ მისი შემადგენელი ელემენტები მოქმედებენ გარკვეული გაზიარებული წესების შესაბამისად, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ეს ურთიერთობები „სამოქალაქოდ“ ჩაითვალოს.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არის უბრალოდ ნაშთი, რომელიც მიიღება „საზოგადოებისგან“ იმ ყველაფრის გამოკლებით, რაც მიეკუთვნება სახელმწიფოს ან ფორმალურ პოლიტიკურ სისტემას. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები საქმიანობის

პროცესში ამა თუ იმ გზით ამყარებენ კავშირებს სახელმწიფოსთან, მაგრამ არ ცდილობენ მის ჩარჩოებში ფორმალური პოსტის ან ძალაუფლების მოპოვებას. სანაცვლოდ, სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ორგანიზაციები ცდილობენ სახელმწიფოსაგან მიიღონ მატერიალური სარგებელი, პოლიტიკური კურსის ცვლილება, თანადგომა, კომპენსაცია ან ანგარიშგება.

ფრენსის ფუკუიამას განსაზღვრებით : „სამოქალაქო საზოგადოება სპონტანურად წარმოქმნილი სოციალური სტრუქტურის სამყაროა, სადაც სტრუქტურების ფორმირება გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე პოლიტიკური ინსტიტუტებისა“. დასავლეთში მას მოდერნიზაციის აუცილებელ თანამგზავრად მიიჩნევენ, განსხვავებით აღმოსავლეთისგან, სადაც აშკარად მიუთითებენ მის გაუმართლებლობაზე. სამოქალაქო კულტურა, ერთგვარ ბალანსს ქმნის ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

ლეგიტიმურია დაისვას კითხვა ვიმყოფებით თუ არა დღეს საბჭოთა მენტალიტეტის ტყვეობაში? უპირველეს ყოვლისა კი, თვალი გადავავლოთ უახლეს ისტორიას. ქართული სამოქალაქო საზოგადოების ისტორიაში ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი მაგალითია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879 წლის 15 მაისი - 1927 წლის 23 აპრილი). ეს იყო პირველი სამოქალაქო ორგანიზაცია და მოძრაობა, რომლის წინაშე ორი მნიშვნელოვანი ამოცანა იდგა: 1.წინააღმდეგობა გაეწია და შეეჩერებინა საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ დაგეგმილი რუსიფიკაციის პროცესი; 2.ხელი შეეწყო საქართველოში განათლებისა და ქართული სახელწიფოებრიობის განვითარებისათვის.

საბჭოთა სივრცემ, ხატოვნად თუ ვიტყვით, ადამიანს და საზოგადოებას მაღლა ღმერთი წაართვა და დაბლა - საკუთრება, არც ადამიანისაგან და არც საზოგადოებისაგან დატოვა რამე, რადგან ადამიანიცა და საზოგადოებაც ან სულიერში რეალიზდება, ან მატერიალურში. ცხადია, ასეთ პირობებში მყოფთაგან მივიღეთ არა ცუდი ან კარგი, არამედ მახინჯი ცნობიერების მქონე ადამიანი და საზოგადოება. მერაბ მამარდაშვილი ასეთ ადამიანს „ჰომო სოვიეტიკუსს“ უწოდებდა (მამარდაშვილი, 2013).

როგორც მერაბ მამარდაშვილი წერს: „მოქალაქეობის გრძნობა აბსოლუტურად უცხოა საბჭოთა ადამიანისათვის. ის კი არ არის საქმე, ჭკვიანია იგი თუ სულელი: უბრალოდ, მისთვის პრინციპულად უცხოა მოქალაქეობა, როგორც შესაძლებელი გრძნობა. როდესაც ადამიანისთვის ასეთი გრძნობა შესაძლებელია, როცა მას შესწევს ძალ-ღონე ამ შესაძლებლობების განხორციელებისა, მაშინ ის მისთვის აუცილებელია იმ გაგებით, რომ

უიმისოდ ადამიანს თავი ვერც წარმოუდგენია: თუ ეს არ არის, მეც არა ვარ. საბჭოთა ადამიანს კი მშვენივრად წარმოუდგენია არამოქალაქეობა, რადგან მოქალაქეობა მისთვის ისევე უცხო გრძნობაა, როგორც ჩემთვის უცხოა, ვთქვათ, მარსელების გრძნობები, ან ბაყაყის შინაგანი სამყარო...”

და მართლაც, ისევ მამარდაშვილი რომ მოვიხმოთ : „ჩვენ იმდენ ხანს ვთვლემდით, ისე გავიყინეთ, რომ დღეს ხელახლა უნდა ვისწავლოთ სიცოცხლის გარჩევა სიკვდილისგან, ოცნებისა – რეალობისგან. ქართველებმა უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, განდევნონ უვიცობა და ისტორიული წყვედიანი მათ ზნეში, საქმიანობაში რომ დაგროვდა. საბჭოურად დაპატარავებულებმა დაკვარგეთ პოლიტიკის შეგრძნების უნარი, აღარ ვიცით, როგორ ვიცხოვროთ რთულ საზოგადოებაში.“

პოსტსაბჭოთა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. ეს არის პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სახელმწიფო ახალი, კომუნისტური იდეოლოგიისაგან თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა. მთავარი ბიძგი ამ პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციებმა მისცა. სწორედ მათ წახალისეს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი და ხელი შეუწყვეს მოქალაქეთა გაერთიანებას, ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომელთა ინიციატივები საქართველოში დემოკრატიული, ლიბერალური ღირებულებების პოპულარიზაციასა და დამკვიდრებაზე იყო მიმართული.

ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მთავარი დაბრკოლება საბჭოთა გამოცდილება იყო, სადაც მოქალაქე პასიური, უმოქმედო ქვეშევრდომია და უსიტყვოდ ემორჩილება სახელმწიფოს. სამოქალაქო აქტივიზმი ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების სახით გაფორმდა და სწორედ ისინი იქცნენ დემოკრატიზაციის პროცესის მამოძრავებელ ძალად.

არასამთავრობო სექტორის შესახებ მსხვილმასშტაბიანი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები არ არსებობს. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში ამჟამად 9000-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული, მაგრამ, სავარაუდოდ, მათი 90% აქტიური არ არის. მათი შექმნის დინამიკა ასეთია: 1992-1998 წლებში დაახლოებით 1500 არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა, 1999-2002 წლებში – 1500, ხოლო 2003-2008 წლებში – 6000. ახალი ორგანიზაციების შექმნის მზარდი ტემპი უფრო ამ პროცესის სტიქიურობაზე მიუთითებს, ვიდრე მის გააზრებულ საზოგადოებრივ საჭიროებებზე მორგებულ, გაცნობიერებულ ქმედებაზე.

აქედან გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოების ეფექტურობის ხარისხი ჩვენთან ჯერ კიდევ სუსტია. სიმულაციური შემოქმედება არ აღმოჩნდა ჩვენთვის უცხო იმიტომ, რომ ყოველვის გვიჭირდა რეალობასთან შეგუება და, ამიტომაც, ყოველთვის გამოვირჩეოდით „მითომთხზველობით“. ჩვენ მიჩვეული ვართ სიმულაკრების გარემოცვაში ცხოვრებას. ჩვენი ისტორია აღსავსეა პერსონაჟებით, რომელთა მიმართ არ გაგვაჩნია არანაირი კრიტიკული ან ანალიტიკური მსჯელობა. საბჭოთა გამოცდილება, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს მენტალიტეტს, მმართველობის გაუკუღმართებული ფორმებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ამ პირობებში კი პოლიტიკა „შოუდ“ გადაიქცევა ხოლმე, მოქალაქეები კი აუდიტორიად, რომლებიც ამგვარი ყალბი მდგომარეობის უშუალო მონაწილენი ხდებიან.

„სპექტაკლის საზოგადოებიდან“ ახალ ეტაპზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის დროა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გვიპოვია ის მიზანი, რომელიც მოგვცემს საშუალებას გავერთიანდეთ მის გარშემო. ამაზე წერდა ფრანგი მოაზროვნე მონტესკიე: „როგორც კი ადამიანები საზოგადოებაში მოექცევიან, ისინი კარგავენ თავიანთი სისუსტის გრძნობას“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სამოქალაქო საზოგადოება ვერ შეიქმნება ერთ დღეში და არც ის ვადაა საკმარისი, რაც დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავებისთვისაა საჭირო. ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი სამოქალაქო საზოგადოება კი მყარი რელსებია „დემოკრატიის მატარებლისთვის“ და მოქალაქეობრივი იდენტობის ჩამოყალიბების ერთგვარი წინაპირობაც.

## Summary

Modern era creates new tendencies and lets us to face new challenges. Of course, these challenges somehow reflect different countries. This topic is exceptionally actual and sensitive for the former Soviet Union countries because the Soviet Union peculiarly made a mark on civic activity and it turned an individual to a little part of a one big mechanism.

After the Soviet Union was divided, it is very important to analyze what kind of challenges former Soviet Union countries face, to list the problems and to think of the ways of solving these issues.

Firstly, we should ask a question – what does “civic society” mean? What kind of role and functions does it have to benefit the society? Civic society – is an intermediate thing between the field of a private life and a government. Civic culture creates some kind of balance between power and responsibility.

It is a long lasting process to form a civic society. It should be enriched with people full of knowledge and experience that are too important for the “carriers of democratic values” and some kind of beginning of a civic ideality.

### ბიბლიოგრაფია

(2013, May 21). Retrieved March 6, 2016, from bbabungo.wordpress.com:  
<https://bbabungo.wordpress.com/2013/05/21/სამოქალაქო-საზოგადოება/>  
მამარდაშვილი, მ. (2013). *ცნობიერების ტიპოლოგია*. თბილისი.

თეიმურაზ ბეჟანიძე, თორნიკე შვეარდნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

**სოციალური ტელერეკლამა, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობი საქართველოში**

სოციალური რეკლამა სარეკლამო საქმიანობის, როგორც უტილიტარულ-პრაგმატული სამოღვაწეო სფეროს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. რეკლამის სხვა ტიპებისგან განსხვავებით, მას აქვს საგანმანათლებლო-შემეცნებითი დანიშნულება, რომელიც საზოგადოების სამოქალაქო კულტურის ამაღლება-განვითარებას ემსახურება. განსაკუთრებით დიდია მისი როლი დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამომდინარე იქედან, რომ სოციალურ რეკლამას შესწევს ძალა, ვიზუალურ-გამომსახველობითი ხერხებით უკეთ დაარწმუნოს მაცურებელი იმ საჭიროებებში, რაც, პირველ ყოვლისა, დემოკრატიული გარდაქმნების პროცესში საკუთარი როლის გაცნობიერებასა და სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობას უკავშირდება. სწორედ სოციალური რეკლამის მნიშვნელობასა და თავისებურებებზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება ჩვენს ნაშრომში.

უნდა ითქვას, რომ რეკლამის ეს სახეობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სტრუქტურების დაკვეთით იქმნება და ძირითადად, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საზოგადოებრივ არხებზეა წარმოდგენილი. თუმცა, მათ ზოგჯერ კომერციული მაუწყებლობების ეთერშიც ვხვდებით. ჩვენს მედიასივრცეში, უმეტესად, გავრცელებულია რეკლამები, რომელთა მიზანია, წარმოაჩინოს სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმები, სიახლეები; ასევე: გაზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, განსაკუთრებით ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მნიშვნელობის თაობაზე, გაათვითცნობიეროს ისინი საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებში, გაააქტიუროს საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რითაც მათ შეუძლიათ გარკვეული სოციალური პრობლემების მოგვარება, უმწეოთა და მიუსაფართა თანადგომა-

დახმარება. ეს ძალისხმევა კი ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების ირგვლივ საზოგადოებრივი კონსენსუსის შექმნას.

პრობლემას განვიხილავთ ქართულ სატელევიზიო სივრცეში დროის კონკრეტულ მონაკვეთში (ექვსთვიანი ინტერვალი - 2015 წლის ივნისი-ნოემბერი) ტრანსლირებული მოცემული ტიპის სარეკლამო პროდუქციის მოძიება-კლასიფიკაციის გზით. ცალკეულ ნიმუშთა ანალიზისას, მათში აქცენტირებული პრობლემებიდან გამომდინარე, გამოვყოფთ თემატურ ჯგუფებს და გავანალიზებთ მათ ნარატიულ დონეზე - შინაარსობრივი ელემენტების წარმოჩენის გზით.

ამ ამოცანის შესასრულებლად, მივმართავთ, როგორც ავთენტურ, ასევე საზღვარგარეთულ სამეცნიერო გამოცდილებასა და მედიაკვლევების შედეგებს. კვლევის მეთოდად ვიყენებთ სემიოტიკურ ანალიზს (ბარტი, 2011) - გამოსახულების დენოტაციური (Chandler, 2007) (ზედაპირული) და კონოტაციური (ფარული) დონეების გამოვლენის კუთხით. ვიზუალური ტექსტის „წაკითხვისას“ ვემყარებით ისეთ მნიშვნელოვან შრომებს, როგორცაა: როლანდ ბარტის „სახის რიტორიკა“ და უმბერტო ეკოს „არარსებული სტრუქტურა.“ კვლევისას გამოვიყენებთ ასევე შედარების ხერხს, რათა წარსული გამოცდილების თანამედროვეობასთან შეპირისპირებით გამოვავლინოთ ის ცვლილებები და ტენდენციები, რაც ამ საინტერესო სამოღვაწეო სფეროში მიმდინარეობს.

ვვარაუდობთ, რომ ქართულ სატელევიზიო სივრცეში წარმოდგენილი სოციალური რეკლამის ნიმუშები ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესში საზოგადოების ცოდნის ამაღლებასა და სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას, განსაკუთრებით, ლიბერალურ ღირებულებათა განმტკიცების კუთხით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური რეკლამის მიზანია, შეახსენოს საზოგადოებას საკუთარი უფლებები და მოვალეობები; პროპაგანდა გაუწიოს ისეთ პოზიტიურ მოვლენებს, როგორცაა, ვთქვათ, მანქანის მართვა ფხიზელ მდგომარეობაში, ჯანსაღი წესით ცხოვრება და სხვ. ასევე, უბიძგოს გააქტიურებისკენ იმ ადამიანებს, რომელთაც სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ქველმოქმედება შეუძლიათ. სოციალური რეკლამები გადის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ არხებზე და მათი გავრცელება უფასოა.



ჩვენთან სოციალური რეკლამა, ძირითადად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცემა. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტიპის სარეკლამო პროდუქციას ეთერს სულ უფრო ხშირად უთმობენ კომერციული ტელეარხებიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოციალური რეკლამა შინაარსობრივი მრავალფეროვნებითა და შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. იგი კომერციულზე მეტად დახვეწილია და კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული. გავიხსენოთ, სოციალური რეკლამის ნიმუშები, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ წარმატებით გადაიცემოდა ქართული ტელეარხებით. მაგალითად, ეკოლოგიურ პრობლემაზე მიმანიშნებელი რეკლამა, რომელშიც ცნობილი ტელეწამყვანი თამადის როლში გვევლინება და მაღალფარდოვანი სადღეგრძელოთი დედაბუნების მშვენიერებას ასხამს ხოტბას. პარალელურად, ეკრანზე ჩნდება კონტრასტული კადრები, რომლებიც ფონად მისდევს სადღეგრძელოს და სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებს. კადრებში ჩანს ჩვენი გარემო - დაბინძურებულ-დანაგვიანებული მდინარეები, ტყეები, ქუჩები.. შეპირისპირების ხერხით (Harrison, 2003), რომელიც ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა პრობლემის მკაფიოდ წარმოჩენისთვის, რეკლამის შემქმნელები ნათლად და ორიგინალურად გადმოგვცემენ სათქმელს. რეკლამის შემქმნელთა ჩანაფიქრი მაყურებლის დარწმუნებასა და თანაგააზრებისკენ მოწოდებას ისახავს მიზნად. რეკლამის გარეგანი - დენოტაციური მახასიათებლები ეკოლოგიური პრობლემების თვალსაჩინოებას უსვამს ხაზს, ხოლო მისი ფარული - კონოტაციური მხარე მინიშნებაა თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მანკიერებაზე, რომ ჩვენ მხოლოდ პრობლემის დეკლარირებით შემოვიფარგლებით და არასდროს ვაკეთებთ იმას, რაც ხელგვეწიფება, არ ვუფრთხილდებით იმ სიმდიდრესა და სილამაზეს, ასე უხვად რომ გვარგუნა ბუნებამ.

ლაკონური, ტევადი და მრავლისმთქმელი სარეკლამო რგოლი მიეძღვნა ნარკომანიის პრევენციის თემას. კადრში ჩანს ტვინის გამოსახულება, რომელიც ინექციის შემდეგ იცვლის ფერს, ფორმას, ზომაში თანდათან მცირდება და კვდომის ეფექტს ქმნის. რეკლამის სლოგანიც მოკლე და გამოსახულების შესატყვისია - „შენ გგონია, ვენაში იკეთებ?!“. ამ რეკლამის ნახვის შემდეგ ეს დაავადება შეიძლება არ შემცირდეს, მაგრამ პრევენციისთვის საკმაოდ ეფექტიანი ხერხი იქნება, თუკი

ჯანმრთელ ადამიანებს კიდევ ერთხელ დააფიქრებს, ახალგაზრდებს გააფრთხილებს ამ საშინელი სენის დამღუპველობის შესახებ. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, რეკლამა წარმატებულად ჩაითვლება.

საკვლევ პერიოდში მოძიებული სარეკლამო პროდუქციიდან რამდენიმეზე შევაჩერებთ ყურადღებას. სულ ახლახანს ტელეეთერით გამოჩნდა სარეკლამო რგოლი, რომელიც მოძრაობის უსაფრთხოებაზე ამხვილებს ყურადღებას. რეკლამა ორიგინალური სცენარითაა გადაღებული - შენელებული კადრებით, „დაყოვნებული სათქმელის“ პრინციპით, მთავარის გაცხადებამდე თანდათანობითი სვლით მქლავდება ჩანაფიქრი - ფეხით მოსიარულეთათვის და ავტომანქანის მძღოლთათვისაც ერთნაირად მნიშვნელოვანია სიფხიზლე (პირდაპირი- თრობისა და გადატანითი - მეტი ყურადღებია ნობის მნიშვნელობით!) და საგზაო წესების დაცვა - ეს გახლავთ დენოტაციური მხარე ამ სარეკლამო პროდუქციისა, რომლის კონოტაციული შეფერილობა გამოკვეთს კანონისა და კანონიერებისადმი ჩვენი დამოკიდებულების არცთუ სახარბიელო გამოცდილებას და მისი დაცვის აუცილებლობაზე აკეთებს აქცენტს, რაც ძალზე შთამბეჭდავად გამოიხატება ეფექტიანი ენდინგი-მოწოდებით - „ნუ გაუსწრებთ კანონს!“ დასამახსოვრებელი და ორბუნებოვანია სარეკლამო რგოლის დევიზიც: „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის!“ ამ სლოგანს გულის გამოსახულებაც ამშვენებს. აქ სიტყვათა თამაშით მიიღწევა ექსპრესია - ერთი მხრივ, „გული“, როგორც სიცოცხლის სიმბოლო და „შენი გულისთვის“, როგორც აღმნიშვნელი სიტყვაშეთანხმებისა - „შენ გამო“.

ძალზე საინტერესო სოციალური სარეკლამო კამპანია შემოგვთავაზა „არტარემ“ - „წერე ქართულად!“ - ასეა დასათაურებული რეკლამათა ციკლი, რომელიც მშობლიურ ენის დაცვა-გაფრთხილებისკენ მოუწოდებს აუდიტორიას. სოციალური აქტივობისკენ მოუხმობენ თანამოქალაქეებს ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რიგითი მოქალაქეები. ვფიქრობთ, ამგვარი კამპანია ძალზე სასარგებლო და შედეგის მომტანია. თანაც, რეკლამის შემქმნელებს სათქმელი ორიგინალურად, ანიმაციური სიუჟეტებითა და სხვადასხვა მხატვრული საშუალებებით აქვთ წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო ზრდის მაყურებლის დარწმუნების ხარისხს.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ევროინტეგრაციის პროცესში მისი უკეთ ინფორმირებულობისთვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ტიპის სარეკლამო კამპანიას, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი გვთავაზობს მინი-ფილმების სახით, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე მოგვითხრობს და ამ ქვეყნების ევროპულ ოჯახში გაწევრიანების სიკეთეებზე ამახვილებს ყურადღებას. რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, სარეკლამო სიუჟეტებში ხაზგასმულია ის ეკონომიკური წარმატებები, რასაც ევროინტეგრაციის შედეგად ამა თუ იმ ქვეყანამ მიაღწია.

როგორც ვიცით, ტელეკომპანია „ბიბისი“ მსოფლიოში ერთადერთი მაუწყებელია, რომლის ეთერშიც კომერციული რეკლამა არ გადის. ჩვენშიც იყო ამგვარი ნება გაცხადებული, მაგრამ საზოგადოებრივ მაუწყებელზე კომერციული რეკლამებიც გამოჩნდა, რამაც, თავისთავად, შეამცირა სოციალური რეკლამების განმეორებადობა. თუმცა, დღეს მაინც დაცულია თემატური ჭრის პრინციპი და უფრო საერთაშორისო კორპორაციათა პროდუქციის რეკლამირებას ეთმობა მეტი წილი, განსაკუთრებით, საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტული ღონისძიებების ტრანსლირებისას, ვიდრე ადგილობრივ პროდუქციას. ამასთანავე, არსებობს რეგულაცია ევროინტეგრაციის თემაზე სავალდებულო სარეკლამო ტიხვრის შესახებ.

საერთოდ, საქართველოში სარეკლამო ბიზნესში არსებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონით „რეკლამის შესახებ“, რომელიც პარლამენტმა 1998 წლის 18 თებერვალს დაამტკიცა და მასში პერიოდულად შედის ცვლილებები. მოცემული კანონი შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა საკანონმდებლო აქტებისგან.

რეკლამის სფეროში მიმდინარე პროცესებს არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურიც. მას აქვს უფლება, ხელშეკრულება დადოს რეკლამის დამკვეთებთან, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებთან, მათ მიერ სარეკლამო საქმიანობაში მიღებული წესების დაცვის უზრუნველყოფისთვის. ასევე, აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები: „მაუწყებლობის შესახებ“, „რეგულირების საფასურის შესახებ“, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ (ბელჩიჯი, 2009) და ა.შ.

თანამედროვე ეტაპზე მსგავსი კანონების სიმრავლეს რეკლამის მნიშვნელობისა და გავლენის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია. მაგრამ, სარეკლამო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების გარდა, არსებობს ე.წ. „დაუწერელი კანონი“, ეთიკური ნორმები, რომლებსაც უნდა იცავდნენ, როგორც რეკლამის დამკვეთები, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ამ მხრივ დღევანდელ ქართულ სატელევიზიო სივრცეში მართლაც რომ სავალალო ვითარებაა. რეკლამირებისას ხშირია პროდუქციის განსაკუთრებულობაზე, გამორჩეულობაზე აქცენტირება, საამისოდ გამოიყენება ისეთი ეპითეტები, როგორიცაა: „საუკეთესო“, „ლიდერი“, „ლიდერი ლიდერთა შორის“ და ა.შ. მართალია, კანონი არ კრძალავს, საუკეთესო უწოდო საკუთარ პროდუქციას, მაგრამ ეთიკურობას თავი რომ დავანებოთ, ეს ხომ არადამაჯერებელია! მსგავსი ეპითეტებით შემკობა ნებისმიერს შეუძლია. რეკლამა ისე უნდა იყოს მოწოდებული, მაყურებელი თვითონ მივიდეს დასკვნამდე, რომ მოცემული პროდუქცია მართლაც საუკეთესოა.

ასევე არაეთიკურია კონკურენტის დამცრობა. უთუოდ გვემახსოვრება, მინერალურ წყალს „ლიკანი“ ჰქონდა შემდეგი შინაარსის რეკლამა: „ლიკანის“ გვერდით იდო რამდენიმე განსხვავებული ფორმის ბოთლი. ისინი ერთგვარი შეჯიბრის რეჟიმში ცდილობდნენ „გატოლებოდნენ“ „ლიკანს“, თუმცა, მარცხდებიან მასთან ჭიდილში. მართალია, ბოთლებს არ ჰქონდა ეტიკეტი, მაგრამ ფორმის მიხედვით რთული არაა, თითოეულ მათგანში ადვილად ამოიცინოთ „ლიკანის“ კონკურენტი ქართული მინერალური წყლების პროდუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია „მაგთის“ რეკლამები ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალურობით, ახლო წარსულში ხშირად გადაიცემოდა „ბალის“ რეკლამა-ანიმაცია, რომელშიც მობილური ოპერატორის სიმბოლოდ ქცეული „ბალი-ბიჭი“ მუჭში იჭერს ფუტკარს (ფუტკრის ფერები - შავ-ყვითელი ზოლები კი კომპანია „ბილანის“ მაიდენტიფიცირებელი ფერებია) და გვთავაზობს სასაუბრო დროს „ბილანის“ ტარიფზე ნაკლებად. თუმცა, ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე არაეთიკური სარეკლამო რგოლი იყო კბილის პასტა „პაროდონტაქსის“ რეკლამა. კადრში ჩანს სააბაზანო, სადაც რეკლამის პერსონაჟი კბილების გახეხვის დროს

ნიჟარაში გადმოფურთხებულ სისხლს კბილსაც გადმოაყოლებს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია, ეს რეკლამა მაინც საკმაოდ დიდხანს გადიოდა ქართულ არხებზე.

ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული რეკლამები არ ეწინააღმდეგება კანონს, არ ამართლებს მათ არსებობას. მსგავსი არაეთიკური და ნაკლებად ესთეტიკური შინაარსის სარეკლამო პროდუქცია საზოგადოების ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამიტომ, რეკლამის დამკვეთებს, შემქმნელებსა და ასევე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც, გააზრებული უნდა ჰქონდეთ ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობა, რადგანაც ამ სახის რეკლამირებას შედეგის ნაცვლად, ხშირად უკუეფექტი მოაქვს. აღნიშნულ თემაზე საზოგადოების რეაქციაც ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ მოქალაქეთა მიერ სამართლიანად გამოთქმული დასაბუთებული პრეტენზიები შეუწყობს ხელს მსგავსი არაეთიკური კონტენტის შემცველი სარეკლამო პროდუქციის ტრანსლირების შეზღუდვას.

## Summary

The Social ads have the special role in the civil society development. In this paper, we discussed the content of the Social ads broadcasted in the Georgian TV and how they were focused on increasing public awareness. We used a semiotic analysis of the study. We more or less displayed clear picture of the commercials' social purpose broadcasted in Georgian TV; There was outlined its thematic diversity and effectiveness of the expressive means for ensure the society. All this serves to confirm our hypothesis that the samples of Social ads presented in Georgian TV actually contribute to the development of civic activism and public awareness during the democratization process.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარტირ. (2011). მითოლოგიები. თბილისი: გამომცემლობა აგორა.
2. Chandler D. (2007). Semiotics The Basics. (Second Edition). England: Taylor & Francis Group.  
<https://analepsis.files.wordpress.com/.../69249454-chandler-s...>
3. Harrison C. (2003). Visual Social Semiotics: Understanding how still images make meaning. Technical Communication, Volume 50, Number 1, 46-60.  
<http://www.caea.net/.../Design.../Sketchbook files/Semiotics.pdf>
4. ბელჩიჯ.ი., "რეკლამა და პრომოცია", 2009.

სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობა: ღირსებები და ნაკლოვანებები

შესავალი

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის სამოქალაქო საზოგადოების არსებობა და ფუნქციონირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თავად სამოქალაქო საზოგადოება ჩვეულებრივი მოქალაქეების თვითშეგნებიდან და კულტურიდან იღებს სათავეს. პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება ადამიანის განვითარების ადრეული სტადიიდან მომდინარეობს, რაც, დიდწილად, სოციალიზაციასა და გაზიარებაზეა დაფუძნებული. ამ პროცესების შექმნაში, დახვეწასა და დასწავლაში სკოლას განუხრელად დიდი წვლილი მიუძღვის. სწორედ ამიტომაც ეკისრება მას უდიდესი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ვინაიდან ის ხელს უწყობს ბავშვის კარგ მოქალაქედ და კარგ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

სკოლა ისეთ ინსტიტუტად განიხილება, სადაც ხდება ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება. პიროვნების აქტიური სოციალიზაციის პროცესი სწორედ სკოლაში მიმდინარეობს. აღზრდა-განათლება მძლავრი სოციალური მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ადამიანის სოციალიზაცია. ის ასწავლის ბავშვს როგორ მოიქცეს, რა გააკეთოს იმისთვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს. აღზრდისა და განათლების საშუალებით ადამიანი საზოგადოებრივი არსება ხდება, ამიტომ განათლების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების არსებობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სკოლა აძლევს ბავშვს იმ უნარ-ჩვევებს, რასაც ვერც ერთი სხვა სოციალური ინსტიტუტი გასცემს. სწორედ გააზრებულად მიწოდებული ინფორმაცია ბავშვს ეხმარება, ზუსტი ორიენტაცია იპოვოს ცხოვრებაში და მიჰყვეს იმ გზას, რომელიც დაეხმარება მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

ამრიგად, მოქალაქეობრივი აქტიურობა, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება და პოლიტიკური კულტურის გააზრება სკოლიდანვე უნდა იწყებოდეს, რათა სამომავლოდ სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას შეეწყოს ხელი.

## სამოქალაქო განათლების საგნის შექნა

საქართველოში, ბავშვებში სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებისაკენ პირველი ნაბიჯი 2006 წელს გადაიდგა, როდესაც სამოქალაქო განათლების საგანი სკოლაში დაინერგა. სპეციალისტების თქმით, იმას, რომ ამ საგნის საჭიროება მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებს და მთლიანად საზოგადოებას გაეცნობიერებინა, წლები დასჭირდა. საგანი შევიდა მეცხრე კლასში, მისი სწავლება კი, ძირითადად, ისტორიის მასწავლებლებმა შეითავსეს, სანამ არ მოხდებოდა მათი გადამზადება.

სკოლაში საგნის შეტანის შემდეგ, 2010 წელს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა სამოქალაქო განათლების საჭიროების შესახებ კვლევა (კვლევის ანგარიში სამოქალაქო განათლების საგანი საქართველოს სკოლებში და მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, 2010). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1 633-მა რესპონდენტმა საქართველოს 10 რეგიონიდან, სადაც სკოლის მოსწავლეები გამოიკითხნენ კვლევის რაოდენობრივი მეთოდის მეშვეობით, ხოლო სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა, მოსწავლეთა მშობლებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ფოკუს ჯგუფებში. კვლევის მიზანი გახლდათ საქართველოში სამოქალაქო განათლების სფეროს ანალიზი და ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად რეკომენდაციების გაწევა.

2010 წლის კვლევის ანალიზი ცხადყოფს სისტემაში გამოკვეთილად არსებულ პრობლემებს. კერძოდ კი, მასწავლებელთა კვალიფიციურობის ნაკლებობას, ეს კი განპირობებული იყო იმით, რომ პედაგოგები შესაბამისი ტრენინგ-კურსებში არ მონაწილეობდნენ. ამასთანავე, საინტერესოა ისიც, რომ მოსწავლეთა დაინტერესება და საგნისადმი კმაყოფილება თანდათანობით მცირდებოდა უფროს კლასებში, რაც, ძირითადად, განპირობებული იყო ტექნიკური გაუმართაობითა და საგნისადმი უინტერესო დამოკიდებულებით. ეს კი, თავისთავად, დაკავშირებულია კვალიფიციურ პედაგოგთან და კარგად შედგენილ სახელმძღვანელოსთან. მსგავსი პრობლემა წიგნთან კი, უკავშირდება იმას, რომ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში დიდი ნაწილი ეთმობა პრაქტიკულ კურსსა და სავარჯიშოებს, სადაც მოსწავლეებმა უნდა შეძლონ საკითხის იმიტაცია. თუმცა, კვლევის ანალიზისას ირკვევა, ზემოთ აღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის გაკვეთილები სკოლებში არ ტარდება. დოკუმენტი პედაგოგთა გადამზადებისათვის ცალსახად გამოყოფს იმ მიმართულებების ჩამონათვალს, რაზეც ყურადღება უნდა

გამახვილდეს, ეს მიმართულებებია: სამართლებრივი საკითხები, ადამიანის უფლებები, ეკონომიკა და მმართველობა. ანგარიში იმასაც ცხადყოფს, რომ პედაგოგების მხრიდან საკითხის შესწავლისათვის მზაობა იგრძნობა.

როგორც აღმოჩნდა, კვლევის ანგარიშმა საკუთარი წვლილი შეიტანა საერთო სურათის შექმნაში და საგნის დანერგვიდან ოთხ წელიწადში. 2010 წელს დაიწყო სამწლიანი „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა“ (ACETT) (სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის წესდება, 2010), რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და PH International-ის ერთობლივ ინიციატივას წარადგენდა. პროგრამის მიზანი იყო მოსწავლეებს შეეთვისებინათ დემოკრატიული ღირებულებები და მეტი დრო დაეთმოთ პრაქტიკული კურსისათვის. პროგრამამ, შეძლებისდაგვარად, საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.

სამოქალაქო განათლების მასწავლებლების მუდმივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად 2011 წლის 24 ივნისს შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა და დაფუძნდა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგთა პროფესიული კომპეტენციის განვითარებასა და ხელშეწყობას, ასევე მოსწავლელთათვის სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას, სახელმძღვანელოების დახვეწასა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფორუმი დაარსების დღიდან აქტიურად მუშაობს და მნიშვნელოვან ბაზას ქმნის პედაგოგებისათვის, პროფესიული კომპეტენციების განვითარებისა და ხელშეწყობის კუთხით.

ამრიგად, მართალია სამოქალაქო განათლება, როგორც გაკვეთილი, სკოლაში დაახლოებით 7 წლის წინ გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ ბოლო ერთი წელია, რაც “სამოქალაქო განათლება” პოპულარული დისციპლინა გახდა. აღნიშნულს გარკვეული ბიძგი არასამთავრობო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის აქტივობებმაც მისცა და, ამავდროულად, იმანაც, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა სამოქალაქო განათლება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად დაამტკიცა. ეს ერთგვარად მიანიშნებს, რომ საგანი თანდათანობით პოპულარობას იხვეჭს და მასზე მოთხოვნაც იზრდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც 2010 წლის კვლევის ანგარიშშია მოცემული, დღესაც დღის წესრიგში დგას.

#### სამოქალაქო განათლების პოპულარიზაცია



როგორც აღვნიშნე სამოქალაქო განათლების პოპულარიზაციას ხელი შეუწო,ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მისი არჩევით საგნად დამატებამ. 2015 წლის იანვარში გახდა ცნობილი,რომ სამოქალაქო განათლება არჩევითი იქნებოდა.ამ ამბავმა დადებითი შეფასება დაიმსახურა როგორც ექსპერტებისაგან,ისე მასწავლებლებისაგან და მოსაწავლეებისაგან. 2015 წელს 550-მდე აბიტურიენტმა გამოთქვა სურვილი ჩაებარებინა სამოქალაქო განათლება, ხოლო 34-მა უმაღლესმა სახელმწიფო სასწავლებელმა ამ საგნისათვის ადგილები გამოყო და ნება დართო აბიტურიენტებს,სამოქალაქო განათლებისათვის პრიორიტეტი მიენიჭებინათ. სასიამოვნო ფაქტია ისიც,რომ მომავალი წლისათვის ამ სიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც შეუერთდება, რაც საგნის პოპულარიზაციისკენ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

მიუხედავად არსებული შეფასებებისა და დადებითი გამოხმაურებებისა, სამოქალაქო განათლება, როგორც საგანი, მთელ რიგ წინააღმდეგობებს აწყდება. ალბათ უპრიანი იქნება საუბარს თუ დავიწყებთ საგნის სწავლების ტიპსა და ასაკობრივ ჯგუფზე. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო განათლება IX-X კლასებში სავალდებულო საგანია, ხოლო XI-XII კლასებში არჩევითი. როგორც გამოცდების შეფასებისა და ეროვნული ცენტრის თანამშრომლები საუბრობენ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საკითხები სწორედ IX-X კლასის სახელმძღვანელოებიდან შედის (ხურცია, 2015), თუმცა, თუ გადავხედავთ ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამას (ცენტრი, 2015), მივხვდებით, რომ სილაბუსი საკმაოდ ზოგადია და ბევრი რამის ცოდნას მოითხოვს აბიტურიენტისაგან. რაც შეეხება წიგნს, ის, ძირითადად, პრაქტიკულ სავარჯიშოებზეა გათვლილი და ბავშვის აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს, ხოლო ერთიან ეროვნულ გამოცდებში კი, დიდი მნიშვნელობა ფაქტობრივ ცოდნას ენიჭება. სწორედ ამიტომაც საუბრობენ ექსპერტები, რომ ნაწერების გასწორების დროს ფაქტობრივი ცოდნის დონე გაცილებით დაბალია და შეცდომების უმეტესობაც სწორედ ამიტომ არის დაშვებული.<sup>1</sup> მაშინ, ისმის კითხვა, როგორ შეიძლება აბიტურიენტმა ჩააბაროს სამოქალაქო განათლების გამოცდა თუ სახელმძღვანელო არ იძლევა ფაქტობრივ ცოდნას?! სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია, ვინაიდან, ამ პრობლემის წინაშე არა თუ სამოქალაქო განათლების საგანი დგას, ეს თითქმის ყველა სხვა დანარჩენი დისციპლინის პრობლემაცაა.

სახელმძღვანელოს გარდა, ძალიან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თავად პედაგოგსა და მისი სწავლების მეთოდს. მიუხედავად იმისა რომ გადამზადების პროგრამამ არც თუ

---

<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ფაქტობრივ ცოდნაზე მეტად ამახვილებელ ყურადღებას, გამსწორებლები აღნიშნავენ, რომ ლოგიკური მსჯელობის თვალსაზრისითაც მოიკოჭლებენ აბიტურიენტები.

წარუმატებლად ჩაიარა, უნდა აღვნიშნოთ რომ კადრების კვალიფიკაციურობა კვლავ ექვემდებარება. სამწუხაროდ არ არიან ისეთი სპეციალისტები, რომელთა მოდულსაც სწორედ სამოქალაქო განათლება წარმოადგენს, ამიტომაც უხდებოდა ისტორიის მასწავლებლებს ამ როლის შეთავსება და დამატებითი ტრენინგების გავლა, რაც ართულებს ინფორმაციის მისაწვდომობის ხარისხს. პედაგოგებს საკმარისად არ აქვთ გაცნობიერებული ადამიანის უფლებები, მართველობის ფორმები, ეკონომიკა და მრავალი სხვა საკითხი. როგორც ჩანს, ის პრობლემები, რომელიც განხილული იყო 2010 წლის კვლევის ანგარიშში კვლავ პრობლემად რჩება. (კვლევის ანგარიშში სამოქალაქო განათლების საგანი საქართველოს სკოლებში და მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, 2010)

როგორც ვხედავთ, საგნის პოპულარიზაცია თანდათანობით იზრდება, თუმცა, დღემდე, სამოქალაქო განათლება „მეორად საგნად“ ითვლება, ეს კი განპირობებულია საგაკვეთილო პროცესითა და მოსწავლეების დაინტერესების დონით. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ცხადყოფს, რომ დაინტერესება მაღალია, გამოკითხვა სრულიად სხვა შედეგებს გვაჩვენებს. გამოკითხულთა 64,6% პროცენტის აზრით, სამოქალაქო განათლებაში მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოყენებელია, ასევე, მოსწავლეთა 52,3% პროცენტი აცხადებს, რომ აპოლიტიკური სახის სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის მიღების სურვილი არ აქვს; მოსწავლეთა 86,5% პროცენტს კი საკუთარი ინიციატივით არასდროს დაუგეგმავს რაიმე ტიპის სამოქალაქო აქტივობა. ეს დამოკიდებულება კი ისევ და ისევ ზემოთ ჩამოთვლილ ორ ძირითად პუნქტზეა დაფუძნებული, რომელთაც გადამწყვეტი როლი აკისრიათ საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში.

ამავე კვლევის თანახმად, პრობლემების ჩამონათვალს რეგიონები ემატება. მიუხედავად იმისა, რომ „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა“ რეგიონებშიც განხორციელდა, დამატებით პრობლემას წარმოშობს სახელმძღვანელოებისა და შესაბამისი ტექნიკის არარსებობა, რაც მნიშვნელოვანია გაკვეთილის წარმართვის პროცესში.

შესაბამისად, აღნიშნული პრობლემები, რომლებიც ხუთი წლის წინ არსებობდა, ჯერ კიდევ დღის წესრიგშია და მოგვარებას საჭიროებს. ამისათვის ხელსაყრელი იქნება შესაბამისი კანდიდატების მოძიება სკოლებისათვის, რომლებიც სამოქალაქო განათლებასთან ერთად სხვა საგნის სწავლებას არ შეითავსებენ. ეს აამაღლებს კვალიფიკაციის დონეს, რაც გააუმჯობესებს საგნის სტატუსს.

## დასკვნა

სამოქალაქო განათლების პოპულარიზაციის მიზნით 2006 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ის ძალისხმევა, რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სწევს, სამწუხაროდ, არასაკმარისია. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ხუთი წლის წინანდელი პრობლემები და თემატიკა დღესაც აქტუალურია და კვლავ გადაუჭრელი. არავინ დაობს იმაზე, რომ სამოქალაქო განათლების დამკვიდრება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდებში სამოქალაქო თვითშეგნების ამღლებასა და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას, მაგრამ მიზნისკენ მისასვლელი გზა ჯერ სრულყოფილი არ არის და წინააღმდეგობებს აწყდება.

ამ ეტაპზე, საკმაოდ რთულია გადაჭრის გზების ძიებაზე საუბარი, მაგრამ აუცილებად უნდა ითქვას ის, რომ ეს ტრადიცია, რაც სამოქალაქო განათლების საგანის პოპულარიზაციას უკავშირდება, უნდა გაგრძელდეს და თანდათანობით უნდა დაიხვეწოს. უმნიშვნელოვანესია თავად პედაგოგებისა და მოსწავლეების დაინტერესება ამ საგნით, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, სამოქალაქო განვითარების კუთხით ხელს უწყობს ბავშვს ჩამოყალიბდეს სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოების წევრად და მოახდინოს გარდაქმნები.

საგნის სწავლების სრულყოფა უნდა დაიწყოს სახელმძღვანელოს ცვლილებით, რასაც მოყვება პედაგოგების შესაბამისი დატრენინგება და მოსწავლეთა დაინტერესება. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო განათლება აღარ აღიქმებოდეს „მეორად საგნად“, რომელიც ბავშვისათვის ნაკლებად საინტერესო და არაპრიორიტეტულია. არაფერია ცუდი იმაში, რომ აუცილებელია პრაქტიკული სავარჯიშოების გაკეთება საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ, როგორც ოლიმპიადებისა და ეროვნული გამოცდების შედეგებმა ცხადყო, აუცილებელია საგანში კონკრეტულ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება. ეს ხელს შეუწყობს ბავშვებს შეითვისონ კონკრეტული საკითხი და შემდეგ, სავარჯიშოს საშუალებით გაანალიზონ და დაიმახსოვრონ იგი. ასეთი მიდგომა მკვეთრად გაზრდის მოსწავლეთა დაინტერესებასა და ცოდნის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი იქნება.

## Summary

According to the reports, citizens do not have the quality of socialization skills. It takes a certain amount of time to learn the prayers and obstructions on the given subject. This time, in particular, the years spent at school is the socialization process. Civic education as a lesson was brought at school

about 7 years ago. Experts say that this subject is very important and essential for the students, the teachers and the society itself. As a result, last year, "civic education" has become an increasingly popular discipline. With the help of certain number of activities by representatives of non-governmental organizations was also given to the evaluation and the National Center of Education has approved Civic education as the national exams optional subject. These demonstrate that the subject and the demand for it are increasing gradually.

In addition, civil education teaching show some problems in the society. These problems are often discussed, therefore, positive results occur-

#### ბიბლიოგრაფია:

ასოციაცია, ს. შ. (2014). *სამოქალაქოგანათლებისადაპედაგოგთაგადამზადებისპროგრამა*.

Retrieved from [www.civics.ge](http://www.civics.ge) : <http://civics.ge/index.php?m=836>

(2010).

*კვლევისანგარიშისამოქალაქოგანათლებისსაგანსაქართველოსკოლებშიდამოსწავლე თამიერსამოქალაქოგანათლებისგაკვეთილებზემიღებულიცოდნისპრაქტიკულიგამოყენება*. USAIDGeorgia & PH International.

პროგრამა, ს. ა. (2011-2016). Retrieved from [www.civics.ge](http://www.civics.ge) : <http://civics.ge/index.php?m=15>

(2010). *სამოქალაქოგანათლებისადაპედაგოგთაგადამზადებისპროგრამისწესება*. USAID & PH International.

ცენტრი, შ. დ. (2015). Retrieved from [www.naec.ge](http://www.naec.ge): <http://www.naec.ge/images/doc/EXAMS/2015-krebuli-abit-samokalako-ganatileba.pdf>

ცენტრი, შ. დ. (2015). Retrieved from [www.naec.ge](http://www.naec.ge): <http://www.naec.ge/images/doc/EXAMS/cnobar-i-2015--web.pdf>

ხურცია, გ. (2015, 01 21). <http://edu.aris.ge/news/romeli-universiteti-amatebs-erovnul-gamocdaze-arCeviT-sagnad-samoqalaqo-ganaTlebas.html>. Retrieved from [www.edu.aris.ge](http://www.edu.aris.ge).

ზურა გამთენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სოციალური კაპიტალის ეკონომიკური მნიშვნელობა

### შესავალი

„სოციალური კაპიტალი“ არის სოციალურ მეცნიერებებში ახლად დამკვიდრებული ტერმინი, რომელიც მოიცავს საზოგადოების იმ სოციალურ ასპექტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის სურვილზე, ხოლო მისი უმთავრესი ასპექტებია ნდობა და სურვილი ორ, ერთმანეთისთვის უცხო ადამიანს შორის, იმისათვის რომ ერთად წამოიწყონ რაიმე სასარგებლო საქმიანობა. საზოგადოებრივი საწარმოო კაპიტალი ერთგვარი „მორალური რესურსია“, რომელიც ეკონომიკური რესურსებისგან იმით განსხვავდება, რომ მიზნის მიღწევის პროცესში სოციალური კაპიტალის ხშირად „ხარჯვა“ კიდევ უფრო ზრდის ამ კაპიტალის რაოდენობას.

ჩვენი კვლევა ორი მიმართულებით წარიმართება. ერთი მხრივ, წარმოდგენილი იქნება ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ კაპიტალს, გავლენა იქონიოს პირად და საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ კავშირს საზოგადოებრივი საწარმოო რესურსების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების აქტიურ გამოყენებასა და საზოგადოების წევრთა ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას შორის.

სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებში სოციალური რესურსების ფინანსურ რესურსებში კონვერსირების გზები იგულისხმება. ეკონომისტები ათწლეულების განმავლობაში მსჯელობდნენ ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა კომპონენტებზე და მართალია, ისინი იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ ადამიანური ურთიერთობები მოქმედებს ინდივიდუალურ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, თუმცა, მათ ამგვარი ურთიერთობების არსებობა და გავლენა ეკონომიკაზე მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთებზე მიაჩნდათ შესაძლებელი. კავშირი სოციალური კაპიტალის სხვადასხვა ასპექტების გამოყენებასა და ამ კაპიტალით მოსარგებლეთა შორის ირიბია, თუმცა, იგი არსებობს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წევრთა რაოდენობის ზრდისა და ამ

ჯგუფების სოციალური აქტიურობის კორელაცია თითოეული წევრისა თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის პროცესში გამოიყოფა დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები. *დამოკიდებული ცვლადია* სოციალური კაპიტალის მომხმარებელთა ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო მასზე მოქმედი, *დამოუკიდებელი ცვლადი* - საზოგადოებრივი კაპიტალის მოხმარების ინტენსივობა. შესაბამისად, ჩვენი *ჰიპოთეზა* შემდეგნაირად ფორმულირდება - რაც უფრო მეტად იყენებს ინდივიდი სოციალურ კაპიტალს, მით უფრო სწრაფად და ეფექტურად გაუმჯობესდება მისი ეკონომიკური მდგომარეობა. კვლევის დაწყებამდე, უპირველესად, უნდა შევძლოთ სოციალური კაპიტალის გამოყენების ინტენსივობის ოპერაციონალიზაცია და გავზომოთ ის. კაპიტალის გამოყენების ინტენსივობაში იგულისხმება ინდივიდთა სხვადასხვა გაერთიანებებში წევრობა და საქმიანობა, ან უბრალოდ საქმიანობა, ასევე, დამოკიდებულება ამგვარი საქმიანობების მიმართ და მზაობა, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში თვითონაც ჩაერთონ მათში.

### თეორიული დისკურსი

არსებობს უამრავი თეორიული მტკიცება, რომ სოციალური კაპიტალი გავლენას ახდენს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, რასაც, ასევე, უამრავი ემპირიული კვლევა ადასტურებს, თუმცა, სანამ უშუალოდ ამ თეორიებს განვიხილავთ, მიზანშეწონილია გავიაზროთ როგორ იქმნება და მეცნიერულად რას წარმოადგენს სოციალური კაპიტალი. აშშ-ში სოციალური კვლევის შედეგად, პატნემი ირწმუნებოდა, რომ სოციალური კაპიტალი წარმოადგენს არა ინდივიდუალური ქცევების (როგორც ამაზე ეკონომისტები კამათობდნენ), არამედ ჯგუფური ქცევის შედეგს, რომელსაც მან *საზოგადოებრივი ქსელი* უწოდა (Putnam, 2001). პატნემისგან განსხვავებით, ცოტა ხნით ადრე, თალერი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი ქცევა, მათ შორის სოციალური კაპიტალის დინამიკა, განპირობებულია ინდივიდუალური მახასიათებლებით (Thaler, 1994). თუმცა, მოგვიანებით, მეცნიერებმა დაიწყეს შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სოციალური ქცევები სულაც არ უპირისპირდება ინდივიდუალურ ქცევებს, არამედ განაპირობებს კიდევ მათ ან როგორც ბოულსი და გინტისი ამბობენ, საზოგადოება ინდივიდუალური ქმედებების კომპონენტია (Bowles, Gintis, & Osborne, 2001).

სოციალური კაპიტალის გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე უპირველესად უნდა განვიხილოთ *ქსელის* წევრობის მიხედვით. როგორც ლაზარი აღნიშნავს, თითოეული

ინდივიდი საკუთარი შესაძლებლობების თემში ინვესტირებით (community) აძლიერებს თემის ჯამურ შესაძლებლობებს, თუმცა, მეორე მხრივ, იმ უნარების „სესხებით“, რომლებიც მას არ აქვს, ის საკუთარ შესაძლებლობებს განავითარებს (Lazear, 1995). თუმცა, მეორე მხრივ, ნახევრად მარქსისტული მოსაზრება შემოგვთავაზა გლასერმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ სოციუმში ზოგიერთი ინდივიდი მოიპოვებს ავტორიტეტს, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. შედეგად, მას შეუძლია სოციალური კაპიტალის სხვა, ნაკლებად ავტორიტეტული ინდივიდებისგან ამოწუროს ის არასაბაზრო და არაფინანსური რესურსები, რაც მას ესაჭიროება, ხოლო საბოლოო ეკონომიკური გაუმჯობესება აისახება არა ზოგადად საზოგადოებაზე, არამედ კონკრეტული ინდივიდების კეთილდღეობაზე (Glaeser E. L., Laibson, Scheinkman, & Soutter, 2000).

თეორიებთან ერთად, პრაქტიკაშიც კი, სოციალური კაპიტალი გამოიყენება ეკონომიკური სიმდიდრის ერთ-ერთ მახასიათებლად. თავად მსოფლიო ბანკიც კი, მსოფლიო ღირებულებათა კვლევის დროს იყენებს სოციალური კაპიტალის სხვადასხვა მახასიათებელს, რომელთაც უკავშირებს ეკონომიკურ მდგომარეობას (Hamilton, 2006).

### **თავი1 - სოციალური კაპიტალის გაზომვა**

სოციალური კაპიტალი რაოდენობა იზომება სამი მიმართულებით, რომლებიც, თავის მხრივ, მრავალ სხვადასხვა ასპექტებად იყოფიან. ესენია (ა) კავშირები (ბ) ნდობა და (გ) სამოქალაქო მდგომარეობა (civism), რომელიც ხასიათდება რაციონალური და ემოციური ზეგავლენით.

*კავშირები* ხასიათდება, ერთი მხრივ, მოხალისეობრივი საქმიანობების დროს ურთიერთობებით, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახური, სამეგობრო და სხვა სახის სოციალიზაციით. პირველი მათგანი გულისხმობს რომელიმე ორგანიზაციის წევრობას მოხალისეობრივი საქმიანობის დროს და იშვიათად იკვლევს ინდივიდუალურ აქტიურობას. მეორე მათგანი კი დაინტერესებულია იმით, თუ ინდივიდების ყოველდღიურ საქმიანობაში დროის რა წილია განსაზღვრული ახლობლებთან ურთიერთობისათვის.

*ნდობაც* შესაძლოა ორ განზომილებად გავყოთ. ერთ-ერთი იქნება ნდობა ჰორიზონტალურად, ანუ ნდობა თავად საზოგადოების წევრებს შორის, ხოლო მეორე სახის ნდობა არის ვერტიკალური, რომელიც საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური თუ სხვა ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულებებს განსაზღვრავს.

*სამოქალაქო მდგომარეობა (civism)* გამოიხატება ორ ასპექტში. პირველი ეს არის საზოგადოების ეთიკურ-მორალური განწყობების შეფასება კონკრეტული ფენომენების

მიმართ, ხოლო მეორეა პოლიტიკური აქტიურობა, რომელშიც იგულისხმება თავად აქტიურობა (არჩევნებში მონაწილეობა, პარტიული საქმიანობა და სხვა), ისევე, როგორც სამეგობრო წრეში კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხზე მსჯელობა.

ზემოთ მოყვანილი საზომი ერთეულების გარდა, ეკონომისტები ცდილობენ დაუმატონ დემოგრაფიული მახასიათებლები, კერძოდ, განათლების დონე, სამსახურის ადგილმდებარეობა, ტიპი და ინტენსივობა და ასევე, ოჯახური მდგომარეობა. ეს დამატებები საშუალებას იძლევა სხვადასხვა წინაპირობითა და სოციალური მდგომარეობით ავსხნათ ინდივიდის კავშირები, ნდობა და სამოქალაქო მდგომარეობა, რომელიც ეხმარება მას სოციალური კაპიტალის საზოგადოებაში ინვესტირებასა და შემდგომ გამოყენებაში.

## **თავი 2 - სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები**

სოციალური კაპიტალი ერთდროულად, ბუნებრივად წარმოქმნადი და გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგია. ბუნებრივ წარმოქმნას ხელს უწყობს ის ისტორიული და კულტურული პროცესები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ეს თუ ის საზოგადოება, ხოლო გარემო ფაქტორებში სახელმწიფოს როლია უპირველესი. აღნიშნული ორი იმპულსი საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნისა და გაძლიერების სოციალურ ასპექტებს წარმოადგენს, ხოლო მათგან გამომდინარე და ასევე იმ შედეგების გააზრებიდან გამომდინარე, რასაც ინდივიდი ხედავს თუნდაც მცირე სოციალური კაპიტალის მოხმარებისას, ინდივიდის სურვილი, რომ კიდევ მოიხმაროს ეს რესურსი იზრდება. ეს უკანასკნელი კი, ფსიქოლოგიურ ასპექტს წარმოადგენს.

### **თავი 2.1 - კულტურის მნიშვნელობა**

მეცნიერები წლების განმავლობაში ცდილობდნენ კულტურის უგულვებელყოფას სოციალური კაპიტალის გააზრებისას და მის, როგორც უნივერსალურ ფენომენად წარმოჩენას. თუმცა, ამ მოსაზრების კრიტიკოსებს მაგალითად მოჰყავდათ იაპონიისა და იმ აზიური სახელმწიფოების მაგალითი, რომელთაც შეძლეს, მიუხედავად დასავლური კულტურისგან რადიკალური სხვაობისა, შეექმნათ საკმაოდ მტკიცე სოციალური კაპიტალი.

შესაბამისად, მკვლევრები ეტაპობრივად ითვალისწინებდნენ კულტურის მნიშვნელობას სოციალური კაპიტალის წარმოქმნისას. მრავალი კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა კულტურებს შორის ისეთი სხვაობის წარმოჩენა, რომელიც ხელს უწყობს, ასე ვთქვათ, მთლიანად საზოგადოებისთვის ან მხოლოდ ცალკეული ჯგუფებისთვის სოციალური კაპიტალის წარმოქმნას. ამავდროულად, მეცნიერებმა კულტურების კვლევისას გამოყვეს ერთი საინტერესო მომენტი. მათ განასხვავეს კულტურები, რომლებიც ახდენენ



ინდივიდების ქმედებების რაციონალიზაციას ან პირიქით, ხოლო ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ადამიანთა ნდობის მაჩვენებელზე, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით. მოცემული მახასიათებლების ღირებულებებად გადაქცევის შემდეგ, ავტომატურად ხდება სოციუმის წევრების მიერ სხვა წევრების დასჯა ან წახალისება, იმის მიხედვით, ისინი ემორჩილებიან თუ არ ემორჩილებიან საზოგადოებაში გავრცელებულ ნორმებს, ხოლო ეს ხელს უწყობს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და ეკონომიკური აქტიურობის სტაბილურობასა და ეფექტურობას.

### **თავი 2.2 - სახელმწიფოს მნიშვნელობა**

სახელმწიფოს როლი ორი მიმართულებით ვითარდება. პირველი ეს არის ზემოთ მოყვანილი პოლიტიკის ეფექტური ფუნქციონირების აუცილებლობა, რომელიც სახელმწიფოს სჭირდება. სწორედ ამიტომ, ის მოწადინებულია სოციალური კაპიტალი რაც შეიძლება სწრაფად და ყოვლისმომცველად განვითარდეს. ამის გასაკეთებლად სახელმწიფოც ახდენს ინვესტირებას სოციალურ კაპიტალში, თუმცა, ამ შემთხვევაში მას აქვს ძალაუფლება, რომელიც ხშირად გარკვეულწილად იძულების საშუალებაა, რომ საზოგადოებამ საკუთარი ნების მიუხედავად მოახდინოს ინვესტირება საკუთარ კაპიტალში. ამავდროულად, სახელმწიფოს ყველაზე დიდი დაბანდება არის კერძო საკუთრების დაცვა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მოიტანს სარგებელს. მეორე მხრივ, სანამ მოხდება კონკრეტული კულტურის მაქსიმალური ზღვრული რაციონალიზაცია და ხშირად მის შემდგომაც, საზოგადოების ზოგიერთი წევრი ცდილობს ე.წ. უბილეთო მგზავრის როლის შესრულებას, რაც სოციალური კაპიტალის ინფლაციას იწვევს. სახელმწიფო სწორედ „უბილეთო მგზავრების“ აღმოფხვრას ცდილობს, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. სახელმწიფო, ამ შემთხვევაში, არბიტრის როლის შემსრულებელია და, შესაბამისად, ნეიტრალიტეტს იცავს.

### **თავი 3 - გაერთიანებებში წევრობის მნიშვნელობა**

სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი დამახასიათებელი კომპონენტი და მისი საზომი სხვადასხვა გაერთიანებაში ინდივიდების წევრობაა, რომელიც სოციალურ კაპიტალზე გავლენას ახდენს როგორც იმის მიხედვით, თუ რამდენად ბევრი ინდივიდია ჩართული ასოციაციურ საქმიანობაში, ასევე იმის მიხედვით, თუ რა სახის საქმიანობებში არიან ჩართულნი. გაერთიანებებში წევრობასა და მათ საქმიანობებში მონაწილეობას ან თუნდაც ინდივიდუალურ (ინდივიდუალურში ასევე იგულისხმება, სამეგობროს, სამეზობლოს და სხვა ჯგუფური, არაფორმალური საქმიანობებიც) აქტიურობას, მეორე მხრივ, იყენებენ სოციალური ინტეგრაციის საზომად, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების

ერთიანობაზე ამა თუ იმ კონკრეტული მიზნის მისაღწევად, იმის ფონზე, რომ მაქსიმალურად ყველას ინტერესია გათვალისწინებული.

სხვადასხვა სახის გაერთიანება არის ერთგვარი საშუალება, რომელიც, ერთი მხრივ, ვერტიკალურად მოქმედებს და მისი წევრების ინტერესების ასახვისას ცდილობს პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენის მოხდენას, ხოლო, მეორე მხრივ, ჰორიზონტალურად არეგულირებს წევრებს შორის საქმიანობას, რაც მათ საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, პოლიტიკაში ჩარევის გარეშე დაიკმაყოფილონ საკუთარი ინტერესები. დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში სწორედ მრავალფეროვანი პროფილის გაერთიანებებია უზარმაზარი სოციალური კაპიტალის არსებობის ერთგვარი შედეგიცა და საშუალებაც.

### **თავი 3.1 - დასავლური გაერთიანებების შექმნის საფუძველი**

დასავლეთში გავრცელებული სოციალური კაპიტალი გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად საბაზრო ეკონომიკის სისტემის ელემენტარულ პრინციპზეა დაფუძნებული, ინვესტირება მომგებიან საქმიანობაში ზრდის მოგებას. სოციალურ კაპიტალში ინვესტირებას მკვლევრები განიხილავენ როგორც საზოგადოებრივ ქსელებსა და ასოციაციებში წევრობას. ინვესტირება არის არა თავად წევრობა, არამედ წევრობის დროს კომუნიკაციის პროცესი როდესაც, უხეშად რომ ვთქვათ, ინდივიდები ეცნობიან „საჭირო“ ადამიანებს, უახლოვდებიან მათ და საჭირო მომენტში შეეძლება მათთვის დახმარების თხოვნა, ხოლო საერთო ძალებით და სხვა საშუალებებით ის პრობლემა, რომელიც მანამდე ინდივიდს დამოუკიდებლად უნდა გადაეჭრა, ახლა სხვებთან ერთად გვარდება.

გაერთიანებებში წევრობას სოციალური კაპიტალის მკვლევრები ეკონომიკისა და სოციალური ფსიქოლოგიის მეშვეობით ხსნიან. როდესაც ინდივიდი ხდება ამა თუ იმ გაერთიანების წევრი, ხდება რამდენიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა. უმთავრესი გარდატეხა დისტანციის შემცირებაა ინდივიდსა და ჯგუფს შორის, ხოლო დისტანციის შემცირება აქრობს გაუცხოების მომენტს, რაც ინფორმაციის გაცვლას უწყობს ხელს. ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ინდივიდიც და ჯგუფიც სარგებელს იღებენ კონკრეტულ საკითხზე დამატებითი ცნობის მოპოვების შედეგად. ამასთან ერთად, დისტანციის შემცირება ზრდის ინდივიდსა და ჯგუფს შორის ნდობის მაჩვენებელსა და თანამშრომლობის სურვილს. აღნიშნული მომენტი აშკარაა როგორც ფორმალურ გაერთიანებებში, ასევე არაფორმალურ, სამეგობრო წრეებშიც, თუმცა, ფაქტია, რომ იმ დროისა და, შესაძლოა, ფინანსური სახსრების დახარჯვის ფონზე, რაც საჭირო გახდა გაერთიანებაში გასაწევრიანებლად, ინდივიდმა მიიღო სოციალური, მორალური და გრძელვადიან პერსპექტივაში, ფინანსური მხარდაჭერაც, რამაც გაზარდა მისი შესაძლებლობები.

დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში პოლიტიკური და სამოქალაქო სოციალიზაცია ცხოვრების ყველა საფეხურზე და თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში ხდება, ერთ-ერთი ასეთი ადგილი კი მოქალაქეთა გაერთიანებებია. გაერთიანებების საქმიანობებში ჩართულობის ან მათი ოფიციალური/არაოფიციალური შეხვედრებისას, მონაწილეები საუბრობენ შეუზღუდავი რაოდენობისა და სფეროს საკითხებზე, რაც ხელს უწყობს მათ შორის ინფორმაციის გაცვლას, საკითხებისადმი მიდგომის ჩამოყალიბება-დახვეწას და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქმედებების განსაზღვრას.

### **თავი 3.2 - დასავლური გაერთიანებების გავლენა ეკონომიკაზე**

დასავლურ სახელმწიფოებში სხვადასხვა სახის გაერთიანებებს პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ წევრთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. ასეთი გაერთიანებები ყველაზე ხშირად არიან პენსიონერთა, პროფესიულ კავშირთა და სხვა სახის მატერიალური ბაზის საკითხებზე შექმნილი ასოციაციები, რომელთაც უდიდესი სიტყვა ეთქმით მათს სფეროზე პოლიტიკის შემუშავების დროს. ეკონომიკურ მახასიათებლებზე გავლენას სოციალური კაპიტალის ორი ასპექტი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და თანამშრომლობა ახდენს.

ევროპაში ღირებულებათა კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის მიღების არაფორმალური გზები დამოკიდებულია ჰორიზონტალურ ნდობაზე, ხოლო იქ, სადაც მეტია ნდობა ერთმანეთისადმი, მაღალია თანასწორი და სპონტანური ეკონომიკური ურთიერთობებიც (Inglehart, 2000). ამავე კვლევების საშუალებით დადგინდა, რომ იქ სადაც ერთმანეთისადმი ნდობა მაღალია, დაახლოებით იმავე პროცენტულ მაჩვენებელს წარმოადგენს ინდივიდთა, მინიმუმ, მოხალისეობრივ ასოციაციებში გაწევრიანება. რთულია იმის მტკიცება, რომ ასოციაციებში გაწევრიანება ნდობის შედეგია, თუ ნდობა არის გაერთიანებებში წევრობის შედეგი.

ევროპაში ჩატარებული სხვა კვლევის შედეგად აშკარად გამოიკვეთა კორელაცია სოციალური კაპიტალის<sup>2</sup> მოხმარების ინტენსივობის ზრდასა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას შორის. ეკონომიკურ მაჩვენებლებში მკვლევარებმა გამოიყენეს მთლიანი შიდა პროდუქტი თითოეულ ადამიანზე. სოციალური ქსელების წევრების ყოველ 1%-იან ზრდაზე, მშპ თითოეულ ადამიანზე იზრდებოდა 0,002%-ით, ხოლო სოციალური კაპიტალის მოქმედებით ადამიანური კაპიტალის მოხმარების ყოველ 1%-ზე, მშპ იზრდებოდა 0,02%-ით (Neira &

---

<sup>2</sup>ამ შემთხვევაში, სოციალური კაპიტალის საზომად გამოიყენეს სხვადასხვა სოციალური ქსელის წევრობა და საკუთარი თავის რწმენა.

GUISÁN, Modelos de capital humano y crecimiento económico: efecto inversión y otros efectos indirectos, 2002).

მეორე საკითხია, როგორ ხდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი კომპონენტის, გაერთიანებებში ჩართულობის საშუალებით. უმთავრესი აქ ორი მომენტი. ერთი ის, რომ წევრთა რაოდენობა განსაზღვრავს ასოციაციის სიმლიერეს, ხოლო მეორეა, რომ სწორედ სიმლიერიდან გამომდინარე, მას აქვს პრეტენზია გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემუშავების პროცესზე. მაგალითად, ამერიკის პენსიონერთა ასოციაცია ან მასწავლებელთა კავშირი, როდესაც ქვეყანაში ნებისმიერი მიზეზის გამო იზრდება ფასები ან რეგულაციები ისე იცვლება, რომ ეს გავლენას ახდენს გაერთიანებების მსყიდველობით უნარზე, უპირველეს ყოვლისა, ლობირების, შემდგომ კი მანიფესტაციების საშუალებით ცდილობენ ან პენსიის (ხელფასების) მომატებას ან რეგულაციების შემსუბუქებას.

#### **თავი 4 - სოციალური კაპიტალი და საქართველოს ეკონომიკა**

საქართველოს ეკონომიკასა და სოციალურ კაპიტალს შორის კორელაციაზე კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა, სოციალური კვლევის ზოგიერთი ასპექტი (ნდობა, მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩართულობა და სხვა) გამოკვლეულია და მდგომარეობა ყველაზე უფრო ცუდია მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ყველაზე ცუდი შედეგი აღმოჩნდა საკუთარი შესაძლებლობებისა და საკუთარი თავის სახელმწიფოსთან მიმართების კვლევისას, როდესაც მოქალაქეთა უდიდეს უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეკონომიკური საქმიანობების უმრავლესობა სახელმწიფომ უნდა იკისროს. ეს თითქოს პარადოქსულად არ ეთანხმება საქართველოს მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ძალიან დაბალია. ასევე დაბალია ნდობა ერთმანეთის, სხვადასხვა გაერთიანებების პარტიების მიმართ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმის გააზრება, თუ რატომ არის მოქალაქეთა კეთილდღეობა ძალიან დაბალი. რასაკვირველია, გავლენას ეკონომიკაზე მხოლოდ სოციალური კაპიტალის ნაკლებობა არ ახდენს და ეს ისტორიული პროცესებითაცაა განპირობებული, თუმცა, უდავოა ისიც, რომ ერთმანეთისადმი ნდობის დაბალი მაჩვენებელი, მოხალისეობრივი საქმიანობების ნაკლებობა და კერძო ინიციატივები აფერხებს მცირე და საშუალო მეწარმეობის

განვითარებას და ეს მაშინ, როდესაც საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ მსოფლიოში მე-15 ადგილზეა (ბიზნესის კეთების სიადვილე 2015, 2015). ამასთან ერთად, საქართველოში აშკარად შეინიშნება ემოციური და ხშირად არარაციონალისტური კულტურა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ქცევებზე. თანამშრომლობის დროს უფრო მეტად ენიჭება უპირატესობა ემოციურად ახლოს მდგომ ადამიანებს, რაც ხშირად გამორიცხავს პროფესიონალიზმს და, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### დასკვნა

შეჯამების სახით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს სოციალური კაპიტალის უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების პროცესებზე 21-ე საუკუნეში. სოციალური კაპიტალი არ არის სასარგებლო მხოლოდ ინდივიდებისთვის, არამედ ის მომგებიანია მთლიანად სახელმწიფოსთვის, პოლიტიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, შესაბამისად, სოციალური კაპიტალის გაზრდით დაინტერესებულია სახელმწიფოც. ამას კი ის საკუთარ მიზნადაც ისახავს. საზოგადოებრივი კაპიტალის ხშირ გამოყენებასა, რაც მას კიდევ უფრო ზრდის და ინდივიდუალურ თუ ზოგადად ეკონომიკურ განვითარებას შორის, აშკარად დადებითი კორელაციაა და ამას მრავალი კვლევა ადასტურებს, რომლებიც ევროპაში ჩატარდა. მართალია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მხოლოდ სოციალური კაპიტალი არ იქნება საკმარისი, თუმცა, მისი გამრავალფეროვნება და გაზრდა, ნამდვილად იმოქმედებს, როგორც თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

### Summary

The term of Social Capital is newly established in social sciences, that covers those aspects of society, which impacts on willingness of members of society to co-operate and trustiness towards foreigners. In this work we discuss the social and psychological parts of Social Capital and additionally, using econometrical and empirical results of previous researches, we attempt to find correlation between the growth of Social Capital and Individual Financial Capital. By the Growth of Social Capital we mean the intensity of social activities and by the Individual Financial Capital we imply the Financial Income of *Users* of Social Capital. The work will be ended by the discussion of Georgian Social Capital and it's impact on Georgians Financial Conditions.

## ბიბლიოგრაფია

- Bowles, S., Gintis, H., & Osborne, M. (2001). The Determinants of Earnings: A Behavioral Approach. *Journal of Economic Literature*, pp. 1137-1176.
- Fedderke, J., Luiz, J., & Kadt, R. d. (1999). Economic Growth and Social Capital: A Critical Reflection. *Theory and Society*, pp. 709-745.
- Glaeser, E. L., Laibson, D. I., Scheinkman, J. A., & Soutter, C. (2000). Measuring trust. *Quarterly Journal of Economics*, pp. 811-846.
- Glaeser, E., Laibson, D., & Sacerdote, B. (2002). An Economic Approach to Social Capital. *The Economic Journal*, pp. F437-F458.
- Hamilton, K. (2006). *Where is the wealth of nations?: measuring capital for the 21st century*. Washington DC: World Bank Publications.
- Helliwell, J., & Putnam, R. (1995). Economic Growth and Social Capital in Italy. *Eastern Economic Journal*, pp. 295-307.
- Inglehart, R. (2000). *World Values Surveys and European Values Surveys, 1981-1984, 1990-1993, and 1995-1997*. Michigan: Inter-university Consortium for Political and Social Research.
- Lazear, E. P. (1995). Culture and language. *National Bureau of Economic Research*.
- Neira, I., & GUISÁN, M. (2002). *Modelos de capital humano y crecimiento económico: efecto inversión y otros efectos indirectos*. University of Santiago de Compostela. Faculty of Economics. Econometrics. Working Paper Series Economic Development.
- Neira, I., Vázquez, E., & Portela, M. (2009). An Empirical Analysis of Social Capital and Economic Growth in Europe (1980-2000). *Social Indicators Research*, pp. 111-129.
- Oorschot, W. v., Arts, W., & Gelissen, J. (2006). Social Capital in Europe: Measurement and Social and Regional Distribution of a Multifaceted. *Acta Sociologica*, pp. 149-167.
- Putnam, R. D. (2001). *Bowling alone: The collapse and revival of American community*. Simon and Schuster.
- Schyns, P., & Koop, C. (2010). Political Distrust and Social Capital in Europe and the USA. *Social Indicators Research*, pp. 145-167.
- Thaler, R. (1994). *Quasi rational economics*. Russell Sage Foundation.
- (2015, June). *ბიზნესისკეთებისსიადვილე 2015*. თბილისი: საქართველოსეკონომიკისადამდგრადიგანვითარებისსამინისტრო. Retrieved დეკემბერი 16, 2015, from [http://www.economy.ge/uploads/ek\\_ciprebshi/reitingebi/reitingebi\\_geo/Doing\\_Business\\_2015\\_geo\\_1.pdf](http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2015_geo_1.pdf)

### ტრადიციული და სოციალური მედიის როლი

მსოფლიო საზოგადოების კომუნიკაციური ინტეგრაცია მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არის შესაძლებელი. ამდენად, საინტერესოა გამოვკვეთოთ მიმართებები ტრადიციულ და სოციალურ მედიას შორის. გავანალიზოთ თუ რა როლი ეკისრება თანამედროვე მედიას საზოგადოების ფორმირების პროცესში. მით უფრო მაშინ, როცა თანამედროვე კვლევების შეფასებების მიხედვით, მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალების მიერ აშკარა კრიტიკული ტენდენციები გამოიკვეთა ქართული მედიასივრცისადმი (პრესა, რადიო, ტელევიზია). ისმის კითხვა – რა ხდება? რა გამოწვევების წინაშე ვიმყოფებით?

დღეს, ადამიანი თავის პროფესიულ საქმიანობას, განათლებას, დასვენებასა და სხვადასხვა აქტივობებს სოციალური ქსელებითა და სხვადასხვა ვირტუალური გაერთიანებებით ახორციელებს. ქსელური კომუნიკაციური სივრცის განვითარებასთან ერთად ჩნდება დაპირისპირება ტრადიციულ და სოციალურ მედიას შორის.

ეპოქას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მრავალმა მეცნიერმა გადაჭარბების გარეშე უწოდა ინფორმაციული. დღეს არავინ დაობს მედიის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მასმედიის გავლენა უკვე იმდენად დიდია, რომ ყველანაირი საჯარო მოღვაწეობა (იქნება ეს პოლიტიკაში, ბიზნესში, განათლების სფეროსა თუ ა.შ) მისი ჩართულობის გარეშე აზრს მოკლებულია. მ. მაკლუენი ჯერ კიდევ 1960-იან წლებში აღნიშნავდა, რომ ჩვენ შევდივართ ერაში, სადაც ინფორმაცია ხდება მთავარი კაპიტალი, სადაც საშუალება თავად არის შეტყობინება და თუ გასურს, იყო მსოფლიოს ნაწილი, უნდა ჩაერთო ამ დიდ ინფორმაციულ სამყაროში. მ. კასტელსი „ინფორმაციულ საზოგადოებას“ უწოდებს ეპოქას, რომელმაც გაარღვია ყველანაირი საზღვრები და ინფორმაცია გახადა თანამედროვე ადამიანის სასიცოცხლო მნიშვნელობის საჭიროება.

სანამ ტრადიციული და სოციალური მედიის განხილვაზე გადავალთ, აუცილებელია, რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ კომუნიკაციის ცნების შესახებაც. ნიკლას ლუმანის (2007) განსაზღვრება ასეთია: კომუნიკაციის პროცესი არ აერთიანებს ფაქტებს ან მონაცემებს მათი წმინდა ფაქტობრიობის თვალსაზრისით, არამედ იგი აერთიანებს სელექციებს - მაშასადამე, ხდომილებებს, რომლებიც შეიძლება ასე, ან სხვაგვარადაც მომხდარიყო და ამდენად,

ინფორმაციის ღირებულებას ფლობენ. მეორე: კომუნიკაცია ყოველთვის სამადგილიანი რელაციაა, რომლის სამივე პოზიცია შემთხვევით სელექციას წარმოადგენს. ესენია: 1. საგნობრივი ვითარება, რომელიც ასეთი, ან, შესაძლოაა, სხვაგვარიც ყოფილიყო; 2. კომუნიკატორი, რომელსაც ამ საგნობრივი ვითარების შესახებ შეეძლო ან ელაპარაკა, ან არა; 3. მიმღები, რომელსაც შეუძლია ან გაიგოს, ან ვერ გაიგოს შეტყობინება, მიიღოს, ან არ მიიღოს იგი. კომუნიკაცია არის პროცესი, რომელიც სელექციებზე სელექციურად რეაგირებს, მამასადაძმე, შერჩევითობას აძლიერებს (ლუმანი, 2007).

რაც უფრო თანამედროვე ხდება საზოგადოება, მით უფრო დიდი მნიშვნელობა არა სოციალურ ინსტიტუტებსა და სოციალურ ნორმებს, არამედ თავად მოქმედ პირებსა და მათ ქსელურ სივრცეში, უფრო ზუსტად ვირტუალურ პოლიტიკურ თუ სხვა სცენაზე გათამაშებულ იმიჯებს ენიჭება.

თანამედროვე მსოფლიო სოციალური რეალობის გაორებას - ვირტუალური რეალობის, უფრო სწორად, სოციალური რეალობის ახალი ფორმის რეალური ვირტუალობის გამოვლენას შეეჯახა, სადაც აქტორი- მოქმედი პირი დიდ თავისუფლებას იძენს და აქტუალური ვირტუალური ქმედების რეალიზებას ახდენს. ჩვენ არ „ვუყურებთ“ ინტერნეტს ისე, როგორც ვუყურებთ ტელევიზორს. ინტერნეტი ჩვენი ყოფიერების ვირტუალურ ასახვად იქცა.

ფაქტობრივად, ვირტუალობა რეალობის საფუძველი ხდება. მაშინ, როდესაც ტრადიციული მედია გვთავაზობს, მაგალითად, ომის გარედაქტირებულ რეპორტაჟებსა და მრავალმხრივ გადასინჯულ ინფორმაციას და თავადვე განსაზღვრავს დღის განრიგს. თითქმის ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება. სოციალური მედია საზოგადოების ცალკეული წევრის ან ჯგუფის მიერ შექმნილი მედიასაშუალებაა, მაგალითად, ბლოგი, რომელზეც ხდება ინფორმაციის შენახვა და გადაცემა. ბლოგი ერთგვარი ინტერნეტ-გვერდია, რომელშიც მისი ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განათავსებს ჩანაწერებს.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რამდენადაა სოციალური მედია საქართველოში ტრადიციულისთვის გამოწვევა, საჭიროა ტრადიციული მედიის ზოგადი მდგომარეობის განხილვა: ტრადიციული იმიტომ არის ტრადიციული, რომ დიდი ხანია არსებობს, შემუშავებულია მედიის განვითარების ზოგადი ტენდენციები და კანონზომიერებები. შესაბამისად, კარგადაცაა შესწავლილი. ტელევიზიის მუშაობაზე წარმოდგენა მეტ-ნაკლებად ყველას აქვს, ყოველგვარი რეიტინგებისა და კვლევების გარეშე ცხადი ხდება, რომელი გადაცემაა პოპულარული და რომელი არა. ტრადიციულ მედიასაშუალებაში თითქმის არ არსებობს უკუკავშირი, ის მაუწყებლობს, მის მეორე მხარეს კი მაყურებლები, მსმენელები ან



კი სულაც მკითხველები იმყოფებიან. ტელევიზორს დღეს ღირსეული კონკურენტი ჰყავს - მსოფლიო გლობალური ქსელი, უფრო კონკრეტულად კი, სოციალური მედია. ცხადია, რომ ტრადიციული მედია რთული გამოწვევების წინაშე დგას. ეს, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მედიის დამსახურებაა.

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ფეისბუქს და იმ „ერას“, რომელიც ერთი შეხედვით მარტივმა, ვირტუალურმა კონსტრუქციამ შექმნა. „ჯერ ფერმებში ვცხოვრობდით, შემდეგ ქალაქებში; ახლა კი ინტერნეტში ვცხოვრობთ“, - ამბობს შონ პარკერი ფილმში „სოციალური ქსელი“. „სოციალური ქსელი“ აღწერს ახლად გაჩენილ სამყაროს, სადაც უფრო და უფრო მეტი ადამიანი ინტერნეტში გადადის საცხოვრებლად, სადაც მეგობრები ერთმანეთს დაბადების დღეს „ფეისბუქის“ კედელზე ულოცავენ, გამონათქვამის სისწორე ან მახვილგონივრულობა კი იმით განისაზღვრება, თუ რამდენი „ლაიქი“ მიიღო მან. თუ დავაკვირდებით კომუნიკაციის საშუალებების განვითარების ტენდენციას ვნახავთ, რომ იმისათვის, რომ მიეღწია 50 მილიონიანი მომხმარებლისთვის, რადიოს 38 წელი დასჭირდა, შედეგი, რა თქმა უნდა, გააუმჯობესა ტელევიზიამ, რომელსაც იმავე რაოდენობის მაყურებლის მოსაპოვებლად 13 წელი დასჭირდა, ინტერნეტს - 4 წელი, ხოლო სოციალურ ქსელზე ([www.facebook.com](http://www.facebook.com)) მხოლოდ და მხოლოდ 9 თვეში, 100 მილიონი მომხმარებელი დარეგისტრირდა. ამის შემდეგ, ალბათ, არც არის გასაკვირი, რომ სწორედ facebook-ის გამო 2010 წელი სოციალური მედიის რევოლუციის წლად დასახელდა (კომუნიკაციური კვლევები, 2012). თუმცა, სოციალური მედია, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება facebook-ით. სოციალური მედიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მის შემადგენლობაშია ყველაფერი, რისი საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია, განათლება, ახალი ამბები და ა.შ. მისი განვითარება კი ასე მალე იმიტომ მოხდა, რომ ის ყველასათვის ხელმისაწვდომია.

სოციალური ქსელებიც ნელ-ნელა ტრადიციული მედიის ფუნქციებს იღებენ თავის თავზე. თავის მხრივ, სოციალური მედია და ტრადიციული მედია გზაგასაყარზე დგანან, რამეთუ პირველი ამ უკანასკნელის ერთგვარი განვითარებაა. უამრავი ადამიანი დღესდღეობით ახალ ამბებს ფეისბუქიდან იღებს, რომელიც ხშირად არასანდოა. არასანდო ინფორმაცია ქმნის არასწორ გარსს და იქმნება მანკიერი წრე, სადაც ურთიერთდამოკიდებულია ყველაფერი.

საგულისხმოა ჟან ბოდრიარის აზრი თანამედროვეობაში ვირტუალური და არარეალური ურთიერთობების შესახებ. ბოდრიარს სჯეროდა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელშიც სიმულაციური გრძნობები და გამოცდილებები დომინანტურია და რომ დავკარგეთ უნარი, გავიგოთ რეალობა ისე, როგორც ის არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ

თანამედროვეობაში „ვირტუალური“ და „რეალური“ მნიშვნელობით გაუტოლდნენ ერთმანეთს.

მედიის გავლენა საზოგადოებაზე, კულტურასა თუ ეკონომიკაზე, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, კანადელი კომუნიკაციების თეორეტიკოსი, მარშალ მაკლუენი ამბობდა, რომ ახალი ტექნოლოგიები დიდწილად განსაზღვრავენ ინდივიდების მიერ გარემოს აღქმას და შესაბამისად, საზოგადოების ორგანიზების ფორმასაც. სწორედ მედია აყალიბებს გარემოს, ახდენს სამყაროს კლასიფიცირებას, თანმიმდევრობის განსაზღვრას, შემცირებასა თუ გაზრდას. ამ თეორიის მიხედვით, კომუნიკაციის ტექნოლოგიები მედიუმია, რომელიც თავად არის მთავარი მესიჯი. იგულისხმება, რომ განმსაზღვრელი ტექნოლოგიის ტიპია და არა ის შინაარსი, რომელსაც ეს ტექნოლოგიები გადმოგვცემენ.

„ტელევიზიას შეუძლია დაანგრის კულტურა“- წერს კარლ პოპერი. მის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ის აკრიტიკებს კვაზი ლიბერალურ მითს განუსაზღვრელ თავისუფლებაზე, რომლითაც უნდა სარგებლობდნენ ინფორმაციის მასობრივი საშუალებები.

მას მიაჩნია, რომ "ნებისმიერი ძალაუფლება, მით უმეტეს ისეთი გიგანტური, როგორც ტელევიზიას გააჩნია, გაკონტროლებული უნდა იყოს. ტელევიზიას შეუძლია დაანგრის კულტურა. რა არის კულტურა? ეს არის ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ. ზოგადად, ტელევიზიებში ვერ აცნობიერებენ თავის აღმზდელობით ფუნქციას, თავის გიგანტურ ძალაუფლებას".

"ამიტომ უნდა არსებობდეს ცენზურა, მაგრამ, არა სახელმწიფოს მხრიდან, არამედ სატელევიზიო საზოგადოების თვითცენზურა, კორპორატიული ეთიკა, ლიცენზიის გაცემა-ჩამორთმევა - ყველაფერი მედიის შიგნით"( Пущаев, 2008).

დღეს ტელევიზია და ინტერნეტი განყენებულად არსებული ფენომენები კი არა ჩვენი რელობის საფუძველმდებელიცაა. ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ რეალობაში, სადაც არავინ ვართ რაიმესგან დაზღვეულნი. როცა არსებობს ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც შეუძლია კრიტიკული რეფლექსია ზოგადად ინფორმაციებზე, ამ შემთხვევაში, მედიით გადმოცემული ინფორმაციის სწორი გააზრება უფრო მეტად ხდება, მაგრამ იქ, სადაც საზოგადოება არ არის შემდგარი, მედიას უფრო რთული მისია აკისრია. მაგალითად, საქართველოში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება დაბალ დონეზეა. დაბალი დონის გამომწვევის მიზეზები წარსულშია საძიებელი, თუმცაღა ერთი რამ ცხადია, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ თანამედროვეობის გამოწვევებს და შევქმნათ თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია სივრცე. ქართულ მედიასთან მიმართებაში მინდა ერთ ფრიად მნიშვნელოვან

ასპექტზე შევაჩერო ყურადღება, კერძოდ, სიძულვილის ენაზე, რომელიც ამ ბოლო დროს უფრო შესამჩნევი ხდება. არსებობს სიძულვილის ენის მონიტორინგი ქართულ მედია სივრცეში, რაც იმის თქმის საბაზს გვაძლევს, რომ ჟურნალისტური ეთიკა ჩვენს მედიაში ყოველდღე ირღვევა. ობობა, რომელსაც მედია წარმოადგენს ხალხში, მასაში იხლართება და ჩვენი რეალობაც სიძულვილის ენით გამოხატული ჰიპერრეალობაა.

სოციალური მედია ტრადიციულის კვალდაკვალ ვითარდება, ეს განვითარება მნიშვნელოვანია ქართული რეალობისთვის, რადგან ტელევიზია ხშირად პოლიტიკის ქარცეცხლში ეხვევა და განიცდის კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების ზეგავლენას. რაც შეეხება სოციალურ მედიას, თუნდაც ბლოგინგს - ეს სივრცე უფრო თავისუფალია და ადამიანებს აქვთ საშუალება საკუთარი პრობლემები საჯარო გახადონ, გადაიღონ ვიდეოები, ფოტოები და ატვირთონ ისინი, წერონ ის, რაც აწუხებთ და ა. შ. ამ შემთხვევაში მთელი „ერი“ ერთვება არსებულ პროცესში, რაც ხელს უწყობს ჩართულობასა და სამოქალაქო აქტივიზმს.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული მედია გამოწვევების წინაშეა, მაგრამ საქართველოში მაინც ინარჩუნებს პოპულარობას. ტელევიზია ინფორმაციის მიღების საინტერესო წყაროდ რჩება, რადგანაც ინტერნეტი ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის არ არის ხელმისაწვდომი. ორთავს -ტრადიციულ და სოციალურ მედიას აქვს, თავის მხრივ, დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამიტომაც, შემდგომში საჭიროა ღრმად გავანალიზოთ მათი როლი სოციო-კულტურული ტრანსფორმაციების ფონზე.

## Summary

Nowadays the integration of society is available by mass communications. Traditional media refers to conventional means of mass communication as practiced by various global communities and cultures from ancient time. Modern media refers to mass communications characteristic of recent times or the contemporary communication relating to a recently developed or advanced technology.

Both traditional and social media could help promote improved levels of communications and shared information's that enables sustainable development on a global scale. To sum up, in sustainable society must be only an informed community.

## ბიბლიოგრაფია

1. ნიკლას ლუმანი, „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“, გამომცემლობა „არხე“, თბილისი 2007, გვ.22.
2. კომუნიკაციური კვლევები, *სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები: პიროვნება, კულტურა, საზოგადოება*; თბილისი, 2012, გვ.25.
3. Вопросы философии. 2006, № 8, Ю.В. Пуцаев. Либерализм, квазилиберальные мифы и свобода СМИ (Карл Поппер о роли телевидения в обществе), 3-14.

სანდრო ტაბატაძე, მარიამ გულიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**არაფორმალური განათლების ფორმები საქართველოში და მათი მიზნების შესაბამისობა  
პროგრესული განათლების მიზნებთან**

განათლება ეს არის მეცნიერების, კულტურისა და ტექნოლოგიების ძირითადი საფუძვლების შეთვისებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარების ფორმირების პროცესი და შედეგი. ტრადიციული განათლება წარსულში დაგროვებული ცოდნა-ჩვევებისა და გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს მკაცრად ორგანიზებულ გარემოში, ხოლო პროგრესული განათლება თვითრეალიზაციას, თავისუფალ მოქმედებასა და ინდივიდზე ორიენტირებულ სწავლებას ეფუძნება. განათლების ეს სახე პოპულარული გახდა დემოკრატიული ტრანზიციის პროცესის კვალად. მათ შორის საქართველოშიც პროგრესული განათლება ფორმირების პროცესშია. თუმცა, როგორც ყველა სიახლე, ისიც ხასიათდება წინააღმდეგობებითა და უზუსტობებით. შესაბამისად, დაკვირვების პროცესში საჭიროა მისი შესწავლა და მონიტორინგი. დემოკრატიული ტრანზიციის წარმატებით გახორციელებაში პრიორიტეტი ენიჭება მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობას, რისი მთავარი გამომწვევიც სამოქალაქო ცნობიერების შესაბამისი დონეა. აქედან გამომდინარე, დემოკრატიზაციის პროცესში ეროვნულ-საგანმანათლებლო სისტემასა და არასამთავრობო სექტორს საერთო მიზანი აქვთ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხშირად მიმდინარეობს ძვრები საგანმანათლებლო სისტემაში. აღსანიშნავია, ერთი მხრივ, სამოქალაქო განათლების, როგორც სასკოლო დისციპლინის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და მეორე მხრივ, არაფორმალური განათლების ის ფორმები, რომლებიც ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის გაზრდისკენაა მიმართული. ბოლო წლებში საქართველოში განსაკუთრებით ხშირია: დებატები, დისკუსიები, ფორუმები, საჯარო გამოსვლის შემწსავლელი კურსები, ტრენინგ-სემინარები, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოდელირებები და ა.შ. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებობს არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული (პროფესიის მიხედვით) და ხასირსხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსი. შესაბამისად, არაფორმალური განათლება უფრო მოთხოვნადი და საჭირო

ხდება. მისი ხელშეწყობისთვის კი, საქართველოს ბიუჯეტში ხარჯები არ არის გამოყოფილი. არაფორმალურ განათლებასთან და მის ფორმებთან მიმართებით არსებობს რამდენიმე პრობლემური საკითხი. საქართველოში არ მოიპოვება არაფორმალურ განათლებაში ჩართულობაზე ოფიციალური სტატისტიკა, გარდა რამდენიმე კვლევისა (ზრდასრულთა არაფორმალური განათლება საქართველოში, 2012). ამასთანავე, არ არის დადგენილი რამდენად ეფექტური და შედეგზე ორიენტირებულია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გახორციელებული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც არაფორმალური განათლების ფორმებად მიიჩნევა.

რადგანაც არაფორმალური განათლების ფორმების დანერგვის პროცესში არსებული პრობლემების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მიერ საკითხის შესწავლა და მონიტორინგი. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა და მიმოგვეხილა არაფორმალური განათლების რომელი ფორმებია გავრცელებული საქართველოში, რომელი მათგანი სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით, რამდენად ეხმიანება მათი მიმდინარეობა პროგრესული განათლების მიზნებსა და ამოცანებს. ამისთვის შევისწავლეთ რამდენიმე ორგანიზაციის მიერ გახორციელებული პროექტები, მათი მიზნები და პრაქტიკული შედეგები, რისთვისაც გამოვიყენეთ მათ მიერვე მოწოდებული ინფორმაცია კონკრეტული ღონისძიებების შესახებ. აქედან გამომდინარე, შეგვეძლება ვისაუბროთ საქართველოში თანამედროვე განათლების პრინციპებისა და მისი ფორმების ეფექტურობისა შესახებ.

## **შესავალი**

თავისუფლებისაკენ სწრაფვა, უფლებათა გაფართოებისათვის ბრძოლა მე-19 საუკუნის თანმდევი პროცესებია, სწორედ ამიტომაც გასაკვირი არც არის, რომ საზოგადოების აზროვნებაში მიმდინარე ცვლილებები განათლების საკითხსაც შეხებოდა. მე-19 საუკუნეში ჩნდება პროგრესული განათლების იდეა, როგორც პასუხი კონფორმიზმსა და სტანდარტიზაციაზე. თუკი ტრადიციული განათლება ორიენტირებულია სტანდარტულ კურიკულუმსა და განსაზღვრული მასალის კარგად ათვისებაზე, პროგრესულმა განათლებამ ახალი მოთხოვნები წამოაყენა, რაც გულისხმობდა გააზრებულ სწავლებას. მიზნის მისაღწევად კი ოპტიმალურად მიიჩნიეს ექსპერიმენტული სწავლის მეთოდები, პრობლემის გადაჭრის მეთოდების აღმოჩენა, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, ლიდერული თვისებების განვითარება და ა.შ. პროგრესული განათლება არ კმაყოფილდება მოსწავლისთვის მხოლოდ ვერბალური და მათემატიკური ცოდნის მიცემით, საჭიროა

მოსწავლეში განავითაროს სოციალური სამართლისა და პასუხისმგებლობის განცდები (აფციაური, 2014). პროგრესული განათლების მიზნები შესაბამისობაშია დემოკრატიული სახელმწიფოს შესაბამისი სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებასთან, ამიტომაც დემოკრატიზაციის პროცესის გავრცელებას მოსდევს განათლების ამ ფორმის პოპულარიზაცია.

დემოკრატიული ტრანზაციის პროცესში ყველაზე დიდ სირთულეს დემოკრატიული საზოგადოების წარმოშობა წარმოადგენს. ამ ბარიერის წინაშე აღმოჩნდა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოც. დროთა განმავლობაში ამ დაბრკოლებისგან თავდასაღწევად სახელმწიფო განათლების ერთ-ერთი წამყვანი საგანი გახდა პროგრესული განათლების ინტეგრაცია ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში. განათლების სისტემაში გატარებულ ცვლილებათაგან აღსანიშნავია სამოქალაქო განათლების, როგორც სასწავლო დისციპლინის შემოღება სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებელში მსგავსი შინაარსის საგნების სასწავლო კურიკულუმში ჩასმა („დემოკრატია და მოქალაქეობა“).

როგორც წესი, ფორმალურ განათლებაში მომხდარი ცვლილებები არასაკმარისია, რადგან ფორმალური განათლებით მიღებული ინტელექტუალური მარაგი შესაძლებელია შეუსაბამო ან არასრულყოფილი აღმოჩნდეს პრაქტიკულ მოქმედებასთან. ამ პრობლემის დასაძლევად დასავლეთში გაჩნდა არაფორმალური განათლების ფორმები. არაფორმალური განათლება ბოლო დროს საქართველოშიც საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა, მისი გავრცელება ძირითადად არასამთავრობო სექტორის საქმიანობას უკავშირდება. მაგრამ, არის კი გავრცელებული და ყველასათვის ხელმისაწვდომი არაფორმალური განათლების იდეის მატარებელი პროექტები შესაბამისობაში პროგრესული განათლების მიზნებთან? არის თუ არა მისი შედეგი მოქალაქეებში შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული ცოდნის გავრცელება? იძლევა თუ არა სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების საშუალებას? ამ კითხვებზე პრაქტიკულად პასუხი არ არსებობს, რადგან სახელმწიფო სისტემა ნაკლებად არის დაინტერესებული არაფორმალური განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებით. ფორმირების პროცესში, როგორც ყველგან, ასევე ამ სფეროშიც შეიმჩნევა ხარვეზები. პრობლემა მართლაც სახეზეა :

- ბოლო დრო საექვოდ ხშირია ამ ტიპის საქმიანობის არასამთავრობო ორგანიზაციები;
- არაფორმალური განათლება განათლების სისტემის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს;
- არ მიმდინარეობს ამ საკითხის შესწავლა არც სამთავრობო და არც არასამთავრობო დონეზე;

## ძირითადი ნაწილი

### ნაწილი I

სამოქალაქო განათლება და მოქალაქეთა თანამონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ საყურადღებო საგანს წარმოადგენს. დემოკრატიზაციის პროცესში ქვეყანაში მნიშვნელოვანია სამოქალაქო თანამონაწილეობის ხარისხის შესწავლა და მონიტორინგი. მართალია, ამ მიმართულებით ჩატარებული მასშტაბური კვლევების რაოდენობა ძალიან ცოტაა, თუმცა ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე მათგანი:

❖ სამოქალაქო თანამონაწილეობა და მოხალისეობა, 2014. კვლევა ჩატარდა კავკასის კვლევის რესურს ცენტრის მიერ. ჩვენთვის გასაკუთრებით საინტერესოა კვლევის ორი ასპექტი (Volunteering and civic participation in Georgia, 2014):

1. არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირი:

- კითხვაზე „დასწრებიხართ თუ არა საჯარო შეხვედრას ბოლო 6 თვის განმავლობაში?“

დადებითად უპასუხა :

18-35 – 12%, 36-55 – 13%, 56+ 12%

- დარეკა და იმყოფებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში ბოლო 2 წლის განმავლობაში:

18-35-9%, 36-55-7%, 56+ 2%

- მასთან იმყოფებოდა (სახლში, კართან) არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ბოლო 2 წლის განმავლობაში:

18-35-14%, 36-55-14%, 56 + 10%

2. არასამთავრობო სექტორის განათლებასთან დამოკიდებულების შესახებ

საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულება:

- დებულებას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე ხშირად განათლებაზე ამხვილებენ ყურადღებას ეთანხმება :

18-35- 8%, 36-55-8%, 56+ 5%

- დებულებას, რომ არასამთავრობო სექტორი უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული განათლებაზე ეთანხმება :

18-35-25 %, 36-55- 21%, 56+13 %

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ არასამთავრობო სექტორთან მოქალაქეთა ურთიერთობის სიხშირე საკმაოდ დაბალია, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ნდობის ნაკლებობით



არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ჯერ კიდევ მაღალია მოსახლეობის სკეპტიკური დამოკიდებულება არასამთავრობო სექტორის დაფინანსების წყაროების მიმართ. ასევე, აღსანიშნავია, რომ თავად NGO-ები უფრო აქტიურობენ მოქალაქეებთან ურთიერთობისას. გამოკითხულთა საკმაოდ მცირე რაოდენობამ დააფიქსირა, რომ არასამთავრობო სექტორი საქართველოში ორიენტირებულია საგანმანათლებლო საკითხებზე. დებულება კი, რომელიც ეხება საზოგადოების აზრს იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა არასამთავრობო სექტორი ორიენტირებული განათლებაზე, მოწმობს იმას, რომ საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს საგანმანათლებლო სფეროში ამ სექტორის როლის გაძლიერებას საჭიროდ.

- ❖ მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორის საქმიანობა ბოლო წლების განმავლობაში დინამიკური და მზარდი ხასიათისაა, ჯერ კიდევ დაბალია მოქალაქეთა მხრიდან მათ მიმართ ნდობის ხარისხი, ამას მომწობს 2015 წელს კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის (Knowledge and attitudes toward the EU in Georgia, 2015) შედეგები:

NGO-ების მიმართ სრულ ნდობას აფიქსირებს მხოლოდ 2%, ნდობას – 19%, ხოლო ნეიტრალურ პოზიციას იჭერს - 37%.

## ნაწილი II

საქართველოში გავრცელებული არაფორმალური განათლების ფორმების დასადგენად გავეცანით იმ არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებს, რომლებიც დაინტერესებითა და ცნობადობით გამოირჩევიან. მათი წარმომადგენლების მეშვეობით მივიღეთ ინფორმაცია მოწონებადი პროექტების შესახებ.

### ახალგაზრდა დიპლომათა კლუბი(YDC)

#### ➤ ახალგაზრდული ამბასადორიალი 2014-2015

„ახალგაზრდა ამბასადორიალი“ ეს არის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს ეძლევათ საშუალება 3 დღის განმავლობაში იმუშაონ საქართველოს ელჩებისა და კონსულების სახელით სხვადასხვა ქვეყანაში. გარდა ამისა, მათ მოუწევთ საგარეო პოლიტიკის დოკუმენტის ჩამოყალიბება ამა თუ იმ აქტუალურ საკითხზე. მოდელირებაში მონაწილეობის საშუალება აქვთ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებსა და სტუდენტებს.

აღნიშნული პროექტის მიზანია: ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ქვეყნის საგარეო საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით; ევროპული ღირებულებების/ფასეულობების გავრცელება ახალგაზრდებში და პროდასავლური პოლიტიკური კურსის ხელშეწყობა/გაძლიერება; კომუნიკაციის, უცხო გარემოში მუშაობის, საჯაროდ სიტყვით გამოსვლისა და დებატების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ასევე პროექტი ახალგაზრდებს აძლევს საერთო ინტერესის მქონე თანატოლების გაცნობის საშუალებას.

➤ **Diplomacy Review და IR Today**

“Diplomacy Review” და „IR Today“ არის პროექტი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებითა და დიპლომატიით დაინტერესებულ ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას დაწერონ სამეცნიერო-კვლევითი სტატიები. „Diplomacy Review“ არის მცირე ტიპის ჟურნალი, რომელშიც იბეჭდება დიპლომატიით დაინტერესებული ხუთი ავტორის მიმოხილვა და ანალიზი, ძირითადად, მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე. მიზნად ისახავს სტუდენტების ხელშეწყობას მიიღონ მეტი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებზე და ჩამოუყალიბდეთ წერისა და ანალიზის უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია მომავალი დიპლომატებისთვის.

➤ **Projects on Women’s Rights (პროექტები ქალთა უფლებებზე)**

ორგანიზაციამ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ( NDI, WIC, UN Women) უკვე განახორციელა რამდენიმე პროექტი, კერძოდ: „ქალთა უფლებები და პოლიტიკაში ჩართულობა - თანამედროვე გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები“, „He for She“, “ქალთა პოლიტიკაში ჩართულობა: თანასწორობა და თანამონაწილეობა“. აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავენ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობასა და აქტივიზმს, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ქალთა სოლიდარობის დემონსტრირებას. აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება განსხვავებული ფორმატით და მოიცავს დებატებს, მრგვალი მაგიდის ფორმატის პანელურ ლექცია-დისკუსიებს, საჯაროდ სიტყვით გამოსვლისა და ესეების/აკადემიური ნაშრომების კონკურსს.

**Yes Georgia**

➤ **ნატოს ახალგაზრდული სამიტი** - პროექტი არის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მუშაობის პრინციპის სიმულაცია. დელეგატები

დაყოფილნი არიან ნატოში არსებულ საბჭოებად (ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო, ნატო-რუსეთის საბჭო ა.შ.). პროექტში მონაწილეობას იღებენ როგორც სტუდენტები, ასევე სკოლის მოსწავლეები. ეს მოდელირება უკვე ამ ორგანიზაციის ჩვეული პროგრამის განუყოფელი ნაწილია და ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს.

- **MEU ევროკავშირის მოდელირება** - პროექტი ცდილობს მოახდინოს ევროკავშირის საქმიანობის იმიტირება. დელეგატებით კოპლექტდებებიან კომიტეტები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული ევროკავშირის საქმიანობის განსაზღვრული სფერო (უმცირეობის უფლებათა დაცვა, გარემოს დაცვა, ეკონომიკური და ფინანსური საკითხები, ქალთა უფლებების დაცვა ა.შ.)
- **ახალგაზრდული ეკონომიკური ფორუმი** - პროექტის ფარგლებში მონაწილეები განიხილავენ საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების პრობლემებს, იმჯელებენ სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხებზე. გარდა ამისა, შეიმუშავენ სტრატეგიას კომერციული ბანკებისა და საზოგადოების ერთობლივი ინტერესით.

როგორც აღმოჩნდა, მოდელირებები საქართველოში გავრცელებულ არაფორმალური განათლების ფორმათაგან პოპულარობის თვალსაზრისით მოწინავე პოზიციაზეა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მისი ჩატარების მექანიზმები შესაბამისობაში არ არის პროექტის მიზნებთან. მაგალითად, თუკი ევროკავშირის მოდელირების მიზანია ორგანიზაციის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება, სიმულაცია, რომელიც არ მოიცავს ევროკავშირის ინსტიტუტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ამ მიზნის შესასრულებლად ნაკლებად მომგებიანია. დებატებისა და ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის, საკომუნიკაციო წრის გაფართოებისთვის, მოდელირებები მართლაც კარგი საშუალებაა. რაც შეეხება მის ინფორმაციულ ხასიათს, ერთი მხრივ, ის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, მაგრამ მეორე მხრივ, არასწორად ჩატარებულმა სიმულაციამ შეიძლება დიდ შეცდომაში შეგვიყვანოს ამა თუ იმ ინსტიტუტის მუშაობის სტრუქტურის შესწავლისას. მაგალითად „ახალგაზრდული ამბასადორიალის“ გენერალურ ასამბლეაზე კომიტეტის დელეგატი გამოდის ე.წ. თავმდამსხმელი სიტყვით, რაც, როგორც წესი, უცხოა რეალობაში ამ შეხვედრისთვის. თუმცა, პროცედურულ ნაწილში შენიშვნები მხოლოდ ამ მოდელირებას არ ეხება და ის თითქმის ყოველ მათგანზე ვრცელდება. საყურადღებო საკითხია, რა იწვევს მოდელირებების ამგვარ პოპულარობას? მოდელირებაში მონაწილეობას შემეცნების გარდა გასართობი ხასიათიც აქვს, მასში მუშაობა და თავის გამოვლენა არ არის დაკავშირებული დიდ ძალისხმევასთან, ამიტომ ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ეს ყველაზე მარტივი გზაა შემეცნებისთვის, მაგრამ შემეცნების გარდა სავარაუდოა, რომ მიზანს წარმოადგენს მასში

მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთის (სერთიფიკატი, სიგელი) საჭირობა, სხვა უფრო დიდი მიზნებისთვის. რაც შეეხება კვლევით ჟურნალებს, იდეას წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებასა და ახალგაზრდების აკადემიური უნარ-ჩვევების დახვეწაში, თუმცა ხშირად, გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში შეინიშნება კვლევითი ელემენტების ნაკლებობა. ტრენინგები, საჯარო ლექციები, დისკუსიები - ასევე საკმაოდ გავრცელებული ფორმებია, თუმცა აქ ხარვეზები, ძირითადად, საორგანიზაციო საკითხებსა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას უკავშირდება.

### ნაწილი III

ხარვეზების დასადგენად გადავწყვიტეთ საქართველოში არსებული პროექტები საერთაშორისო პროექტებისთვის შეგვედარებინა. მაგალითად ავიღეთ ევროკავშირის მოდელირება, რომელიც იმართება ქალაქ სტრასბურგში საერთაშორისო მასშტაბით (Model European Union 2016). ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენეთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებული მასალა. განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ რას აკეთებს საორგანიზაციო ჯგუფი ხარისხის ასამაღლებლად:

- მოდელირებაში მონაწილეთა გამოკითხვა: ა) რამდენად იღებენ სიამოვნებას მოდელირებაში მონაწილეობით; ბ) რამდენად შესაბამისია მოდელირება რეალობასთან და რამდენად იგრძნობა პროფესიონალიზმი; გ) გაუწევენ თუ არა სხვასთან რეკომენდაციას ამ პროექტს; დ) იძლევა თუ არა პროექტი ცოდნის გაუმჯობესებისა და ინტერესის გამმაფრების საშუალებას; ე) რამდენად მოწესრიგებულია პროექტის ორგანიზაციული მხარე;
- მონაწილეთა რაოდენობის ცვალებადობის სტატისტიკა ყოველწლიურად;
- მონაწილეთა როლების განმარტება.

მონაწილეთა გამოკითხვა იშვიათია საქართველოში არსებულ პროექტებში, უფრო ხშირია მონაწილეთა რაოდენობის კვლევა შიდა საორგანიზაციო თვალსაზრისით, რომელიც არ ვრცელდება საჯაროდ. პროექტის ანონსისას ყველაზე დიდ დანაკლისს სწორედ არასრულფილი ანოტაცია წარმოადგენს, რაც იწვევს მონაწილეთა პასიურობას სამუშაო პროცესში, საინფორმაციო შეხვედრები ტარდება, თუმცა ამ შეხვედრებს მონაწილეთა საკმაოდ მცირე ნაწილი ესწრება.

### დასკვნა

საქართველოში გავრცელებული არაფორმალური განათლების ფორმების ოფიციალური მიზნები შეიძლება ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია პროგრესული განათლების მიზნებთან, ისინი ნამდვილად ითვალისწინებენ ექსპერიმენტულ სწავლებას, როლურ თამაშებს, ლიდერული და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, თუმცა მათი დაგეგმვისას და განხორციელებისას არსებული ხარვეზები ხელს უშლის ამ მიზნების განხორციელებას, ამიტომაც ჩვენ მათ ვთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს :

- ✓ პროექტის გეგმის შემუშავებისას, მეტი ყურადღების მიქცევა რეალობასთან შესაბამისობას , ამისათვის საჭიროა ექსპერტთა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ჩართვა დაგეგმვის პროცესში ან მათთან კონსულტაცია;
- ✓ აკადემიური პერსონალის კომპეტენციის შემოწმება და მის გაუმჯობესებაზე მუშაობა (ტრენინგების ჩატარება);
- ✓ პროექტში მონაწილეთა აზრის გამოკითხვა, კმაყოფილების/უკმაყოფილების განსაზღვრა, მათ მიერ ორგანიზაციული და აკადემიური სფეროს შეფასება;
- ✓ მონაწილეთა სტატისტიკის შემუშავება (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა პროექტი განმეორებადი ხასიათისაა);
- ✓ ანონსისას სრულყოფილი ანოტაციის შემუშავება, რომელიც მონაწილეებს აუხსნის მათ როლს პროექტის მიმდინარეობაში.

### Summary

After Georgia's declaration of independence, developing process of educational system has intensified. It's important to note that, several effective steps have been made forward in the field of progressive education: school curriculum program is now enriched with the subject of civil education, in addition to this, debates, discussions, trainings/seminars and simulations are often held to expand perception of civil education discipline among the young people to stimulate their civil activity . In spite of these positive changes the exact statistics that show the current level of activity are hard to come by. We saw fit to found out what basic forms of informal education were more popular in Georgia and if they were in relevance with the goals of progressive education. Eventually, we can say that official goals of informal education in Georgia are linked with the tasks of progressive education; they really consider the importance of experimental teaching methods, role-plays and learning skills in communication and leadership. But still, some kinds of barriers are often emerging during the process that's why it's getting harder to reach the goals lately.

### ბიბლიოგრაფია

1. „რას ნიშნავს პროგრესული განათლება“ , სასკოლო კვებების ცენტრი;
2. განათლების სპეციალისტებისათვის / [წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ.]. - [2008]. – 56 გვ;
3. Volunteering and civic participation in Georgia, 2014( Caucasus Research Resource Centers (CRRC));
4. Knowledge and attitudes toward the EU in Georgia, 2015 (Caucasus Research Resource Centers (CRRC));
5. <http://www.meu-strasbourg.org/>

საარჩევნო სისტემა, როგორც სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთი პირობა

შესავალი

1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ან/და თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ექვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 21).

თავისუფალი, სამართლიანი არჩევნები მინიმალური დემოკრატიის მთავარი საზომია. ამ უკანასკნელის არარსებობა კი ვერ შექმნის პირობებს ლიბერალური ან კონსოლიდირებული დემოკრატიისათვის. ამიტომაც, დემოკრატიზაციის საწყის ეტაპზე, როდესაც სახელმწიფო ახალი დემოკრატიის ფაზაში იმყოფება, დიდი მნიშვნელობა ეკისრება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. დემოკრატიის დამკვიდრებისაკენ სწრაფვა კი საქართველოს კონსტიტუციითაა დეკლარირებული, რომლის პრეამბულა იწყება სიტყვებით, რომ საქართველოს მოქალაქეთა „ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება“ (საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა).

სამართლიანი არჩევნების პირობის შესაქმნელად მნიშვნელოვანი როლი აკისრია საარჩევნო სისტემის ხასიათს. როდესაც საარჩევნო სისტემა შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, შეიძლება, გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად ლეგიტიმურია არჩეული ორგანო. ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია საარჩევნო სისტემის რეფორმირება და არსებული პრობლემების გამოსწორება.

საქართველოში შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნებზე ამომრჩეველი ორ ბიულეტენს ხაზავს, ერთში მისთვის სასურველ პარტიას აძლევს ხმას,

ხოლო მეორეში – მაჟორიტარ კანდიდატს. “საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 49). შერეული საარჩევნო სისტემა მოქმედებს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების, საკრებულოების არჩევის დროსაც.

საქართველოს მოქმედი საარჩევნო სისტემა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული მდგომარეობით, შეიცავს სამ მნიშვნელოვან ხარვეზს. ესენია: 1. შეუსაბამობა არჩევნებში პარტიების მიერ მიღებულ მხარდაჭერასა და წარმომადგენლობით ორგანოში მოპოვებული მანდატების რაოდენობას შორის, რაც მაჟორიტარული წესით დეპუტატთა არჩევას უკავშირდება; 2. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის ამომრჩეველთა რაოდენობის განაწილების დისბალანსი, რაც განპირობებულია იმით, რომ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები საქართველოში მუნიციპალიტეტების საზღვრებს ემთხვევა; 3. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის დაწესებული 30%-იანი ბარიერი, რაც ლეგიტიმაციის დაბალ დონეს წარმოადგენს. ყველა ეს ხარვეზი წარმოქმნის სამართლიანი არჩევნების აღქმისათვის ხელშემშლელ პირობებს, რაც უჩნდებათ, ერთი მხრივ, პოლიტიკურ პარტიებს და, მეორე მხრივ, ამომრჩევლებს, განსაკუთრებით კი მსხვილ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულებს.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

საარჩევნო სისტემას მკვლევრები აღიქვამენ ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, საარჩევნო სისტემა უკავშირდება სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის წესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ვიწრო გაგებით კი საარჩევნო სისტემა არჩევნების შედეგად წარმომადგენლობითი ორგანოს დაკომპლექტების წესია. ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ყალიბდება წარმომადგენლობითი ორგანო, წარმოადგენს საარჩევნო სისტემას. იმის მიხედვით, თუ რა მეთოდს გამოვიყენებთ, სრულად შესაძლებელია, რომ არჩევნების შედეგების მანდატებში ასახვა აბსოლუტურად განსხვავებულად იქნას წარმოდგენილი (საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, საარჩევნო სისტემები).

საარჩევნო სისტემები ორ ძირითად ჯგუფად, მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებად, იყოფა. გარდა ამისა, საარჩევნო სისტემების მკვლევრები გამოყოფენ შერეულ და სხვა სისტემებსაც.



მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა უმეტესად ერთმანდატიან ოლქებში გამოიყენება. ასეთ დროს მხოლოდ ის კანდიდატი მიიღებს დეპუტატის მანდატს, ვინც ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს. მაჟორიტარული სისტემის ქვეშ გამოიყოფა ფარდობითი, აბსოლუტური და კვალიფიციური უმრავლესობის საარჩევნო სისტემები.

ფარდობითი უმრავლესობის სისტემის დროს, გამარჯვებულად ცხადდება ის მაჟორიტარი კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. იმისათვის, რომ მან გამარჯვება მოიპოვოს, საკმარისია ხმათა უბრალო უმრავლესობა და არ დგინდება არანაირი საარჩევნო ბარიერი. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ფარდობითი უმრავლესობის სისტემის დროს, მეტწილად, არ წესდება საარჩევნო ზღურბლიც, ანუ იმისათვის, რომ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალოს, არ არის აუცილებელი არჩევნებში მონაწილე ადამიანთა რაოდენობა აღემატებოდეს ამომრჩეველთა 50%-ს.

აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დროს, იმისათვის, რომ კანდიდატი გამარჯვებულად ჩაითვალოს, მან ხმათა 50%-ზე მეტი უნდა მიიღოს. ხოლო, როდესაც ვერცერთი კანდიდატი ვერ აგროვებს გამარჯვებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობას, ჩვეულებრივ, ორ კვირაში იმართება მეორე ტური, სადაც საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი იღებს მონაწილეობას. მეორე ტური შეიძლება ჩატარდეს, როგორც აბსოლუტური წესით, ისე ფარდობითი უმრავლესობის სისტემით. შესაძლებელია რამდენიმე ტურის ჩატარებაც.

კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ყველაზე იშვიათად გამოიყენება. ასეთ დროს, გამარჯვებისათვის საჭიროა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება. კვალიფიციურ რაოდენობას კანონმდებლობა განსაზღვრავს და ის აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტია, მაგ., ხმების 2/3, ან 3/4.

გარდა ამისა, მაჟორიტარულ სისტემაში არსებობს ალტერნატიული ხმის მიცემის წესიც, როდესაც ამომრჩეველი მისთვის სასურველ კანდიდატს რიგითობის პრინციპით აძლევს ხმას. ყველაზე სასურველის გვერდით წერს 1-ს, შემდეგ 2-ს და ა.შ.

რაც შეეხება პროპორციულ საარჩევნო სისტემას, ასეთ დროს ამომრჩეველი ხმას პოლიტიკურ პარტიას აძლევს და წარმომადგენლობითი ორგანოც არჩევნების შედეგების პროპორციული ასახვით კომპლექტდება. საარჩევნო ოლქი პროპორციული სისტემის გამოყენებისას ყოველთვის მრავალმანდატიანია. მანდატების პროპორციული განაწილება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ წარმომადგენლობით ორგანოში შევიდნენ პარტიები, რომლებიც სისუსტით გამოირჩევიან და, ამავე დროს, შეეცდებიან გარკვეული პრობლემების შექმნას.

ამიტომაც წესდება საარჩევნო ბარიერი, რომელიც უნდა გადალახოს პარტიამ იმისათვის, რომ მანდატების განაწილებაში მიიღოს მონაწილეობა. პროპორციულ საარჩევნო სისტემაში გამოიყოფა პარტიული სიებისა და პრეფერენციული სისტემები. პირველ შემთხვევაში ამომრჩეველი ხმას მხოლოდ მისთვის სასურველ პარტიულ სიას აძლევს, ხოლო მეორე შემთხვევაში, სიასთან ერთად, კანდიდატებსაც აძლევს ხმას რიგითობის მინიჭებით (საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, საარჩევნო სისტემები).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საარჩევნო სისტემებისა, საარჩევნო სისტემის მკვლევრები გამოყოფენ შერეულ სისტემასაც, როდესაც წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევისას როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული მეთოდი სხვადასხვა კომბინაციით გამოიყენება.

## **მეთოდოლოგია**

საარჩევნო სისტემის ხასიათსა და არჩევნების სამართლიანობას შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები, რაც ძირითადად ეყრდნობა რაოდენობრივ მეთოდებს. ამასთანავე, გამოყენებულია თვისებრივი ანალიზიც. საქართველოში ჩატარებული სამი არჩევნების (საქართველოს პარლამენტის 2008 წლის არჩევნები, საქართველოს დედაქალაქის - თბილისის საკრებულოს 2010 წლის არჩევნები, თბილისის საკრებულოს 2014 წლის არჩევნები) შედეგებსა და წარმომადგენლობით ორგანოებში (საქართველოს პარლამენტი, თბილისის საკრებულო) მანდატების განაწილებას შორის არსებული სხვაობა წარმოდგენილია ცხრილების სახით. კერძოდ, წარმოდგენილია პარტიების/ბლოკების მიერ პროპორციული წესით მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა, მანდატების ის რაოდენობა, რაც საარჩევნო სუბიექტებმა აღნიშნული სისტემით მიიღეს, მაჟორიტარული წესით მიღებული მანდატების რაოდენობა და ორივე წესით მიღებული მანდატების ჯამური რაოდენობა. ბოლოს კი მოცემულია ამ უკანასკნელის პროცენტული წილი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთა რაოდენობასთან მიმართებით (საქართველოს პარლამენტი - 150 წევრი, თბილისის საკრებულო - 50 წევრი). განსაკუთრებით ნიშანდობლივია შემდეგი ორი მაჩვენებელი: 1. პროპორციული სისტემით პარტიების/ბლოკების მიერ მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა; 2. პარტიების/ბლოკების მიერ ორივე სისტემის საფუძველზე ჯამში მიღებული მანდატების პროცენტული რაოდენობა წარმომადგენლობითი ორგანოს სრულ შემადგენლობასთან. ამ ორი მაჩვენებლის შედარება კი გვაძლევს საშუალებას, გავზომოთ სხვაობა პოლიტიკური პარტიების მიერ არჩევნებში მოპოვებულ მხარდაჭერასა და მათ მიერ წარმომადგენლობით ორგანოში მოპოვებული მანდატების რაოდენობას შორის.

სტატია, ძირითადად, ეყრდნობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ მონაცემებსა და მათ ანალიზს. ასევე, გამოყენებულია შემთხვევების შესწავლისა და მათი შედეგების მეთოდები.

## **საქართველოს საარჩევნო სისტემის ხარვეზები და მისი გავლენა არჩევნების სამართლიანობაზე**

საქართველოს საარჩევნო სისტემა, რომელიც დღემდე მოქმედებს, შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს. ხარვეზების პირველი წყება მაჟორიტარული სისტემისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ წესით პარლამენტში დეპუტატთა სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლები ირჩევა, ასეთ დროს ადგილი აქვს ამომრჩეველთა ხმების მნიშვნელოვან დაკარგვას. გამარჯვებული პარტია იღებს მანდატების ისეთ რაოდენობას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მის მიერ პროპორციული სისტემით მიღებულ შედეგებს. ამის საპირისპიროდ კი არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიები მათ მიერ მოპოვებულ მხარდაჭერაზე გაცილებით ნაკლებ მანდატებს იღებენ. ქვემოთ, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განვიხილავ ამ საკითხს და მოვიყვან სხვაობას, საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებულ არჩევნებზე, პროპორციული სისტემით პარტიების მიერ მიღებულ შედეგებსა და მათ მიერ წარმომადგენლობით ორგანოში მოპოვებულ მანდატებს შორის.

ცესკოს მონაცემებით, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამომრჩეველთა ხმების 59,18% მიიღო, ხოლო, იქიდან გამომდინარე, რომ მაჟორიტარული სისტემით 75 დეპუტატიდან 71 მანდატი მოიპოვა, პარლამენტში ჯამში 119 დეპუტატით შევიდა, რაც 150 დეპუტატისაგან შემდგარი საკანონმდებლო ორგანოს სრული შემადგენლობის 79,33%-ს უდრის. ამ სისტემის წყალობით ენმ-მ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. მაშინ, როდესაც „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ ამომრჩეველთა 17,73%-ის მხარდაჭერა მიიღო, პარლამენტში მხოლოდ 17 დეპუტატით შევიდა, რაც სრული შემადგენლობის 11,33%-ია. მხოლოდ ორ საარჩევნო ოლქში, დიდუბესა და ვაკეში, გაიყვანა მაჟორიტარი დეპუტატი „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“. ცაგერისა და ყაზბეგის საარჩევნო ოლქებში კი დეპუტატის მანდატი მოიპოვეს „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლებმა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2008).

ცხრილი N 1.

*საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შედეგები და პარტიების მიერ მიღებული მანდატები*

პარტია/ბლოკი	პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობა %	პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 75)	მაჟორიტარული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 75)	სულ მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 150)	მანდატების რაოდენობა %
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	59,18 %	48	71	119	79,33 %
გაერთიანებული ოპოზიცია	17,73 %	15	2	17	11,33 %
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	8,66 %	6	0	6	4 %
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	7,44 %	6	0	6	4 %
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	3,78 %	0	2	2	1,33 %

ზემოხსენებულის თანახმად, საქართველოში შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების, საკრებულოების, არჩევნებზეც. თბილისის საკრებულო, რომელიც 50 წევრისაგან შედგება, 25 პროპორციული და 25 მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატისაგან კომპლექტდება. პარტიების მიერ მიღებულ ხმებსა და მათ მიერ მოპოვებულ მანდატებს შორის აქაც დიდი სხვაობა იქმნება.

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე, ცესკოს მონაცემებით, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თბილისში პროპორციული წესით ამომრჩეველთა ხმების 52,5% მიიღო, ხოლო მის მიერ 50 კაცის საკრებულოში მოპოვებული მანდატების რაოდენობა 39-ს შეადგენდა, რაც სრული შემადგენლობის 78%-ია. მაჟორიტარი დეპუტატებისათვის განკუთვნილი 25 მანდატიდან 25-ივე ენმ-მ მოიპოვა. ოპოზიციურმა პარტიებმა კი ვერცერთი მაჟორიტარი დეპუტატის გაყვანა ვერ შეძლეს (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2010).

ცხრილი N 2.

თბილისის საკრებულოს 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შედეგები და მანდატების განაწილება

პარტია/ბლოკი	პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობა %	პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 25)	მაჟორიტარული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 25)	სულ მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 50)	მანდატების რაოდენობა %
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	52,5 %	14	25	39	78 %
ალიანსი საქართველოსთვის	18,0 %	5	0	5	10 %
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	12,0 %	3	0	3	6 %
ერთიანი ეროვნული საბჭო	8,3 %	2	0	2	4 %
თოფაძე-მრეწველები	6,2 %	1	0	1	2 %

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე კი, მაშინ, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ თბილისში პროპორციული წესით ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 46% მიიღო, საკრებულოში 50 დეპუტატიდან 37 მანდატი მოიპოვა, რაც სრული შემადგენლობის 74%-ს შეადგენს. მაჟორიტარული წესით ქართულმა ოცნებამ 25-დან 24 მანდატი მოიპოვა, მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში გაიმარჯვა დამოუკიდებელმა კანდიდატმა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2014).

ცხრილი N 3.

*თბილისის საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების პროპორციული შედეგები და მანდატების განაწილება*

პარტია/ბლოკი	პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობა %	პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 25)	მაჟორიტარული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 25)	სულ მიღებული მანდატების რაოდენობა (სულ 50)	მანდატების რაოდენობა %
ქართული ოცნება	46,01 %	13	24	37	74 %
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	26,11 %	7	0	7	14 %
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია	10,35 %	3	0	3	6 %
დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	6,35 %	2	0	2	4 %

2016 წლამდე მოქმედი საარჩევნო კოდექსით, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები საქართველოში მუნიციპალიტეტების საზღვრებს ემთხვევა და ყველას თითო წარმომადგენელი ჰყავს პარლამენტში. ამის გამო, არ არის დაცული ამომრჩეველთა ხმის თანაბრობის პრინციპი. მნიშვნელოვანი დისპროპორცია იკვეთება საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩევლებსა და მიღებულ საპარლამენტო მანდატებს შორის. განსხვავებული რაოდენობის საარჩევნო ოლქებში ერთი მაჟორიტარი ირჩევა. მაგალითად, ცესკოს მონაცემებით, 2014 წლის მდგომარეობით, ქუთაისში რეგისტრირებულია 153 537 ამომრჩეველი, ყაზბეგში კი - 5 242, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე ოლქი მაინც ერთ მანდატს ფლობს (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2014). ამ ორ ოლქს შორის ამომრჩეველთა რაოდენობის კოლოსალური - 2 930%-იანი სხვაობაა. ვენეციის კომისიისა და ეუთოს რეკომენდაციით კი საარჩევნო ოლქებს შორის სხვაობა 10%-ს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ცხრილი N 4.

*ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ოლქების მიხედვით 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებისათვის*

ყველაზე მსხვილი საარჩევნო ოლქები		ყველაზე მცირე საარჩევნო ოლქები	
ოლქი	ამომრჩეველთა რაოდენობა	ოლქი	ამომრჩეველთა რაოდენობა
ქუთაისი	153 537	ყაზბეგი	5 242
სამგორი	132 697	ლენტეხი	5 916
გლდანის	132 358	ონი	6 484
ბათუმი	132 277	მესტია	8 242
ნაძალადევი	125 880	ასპინძა	9 710

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული მდგომარეობით, საქართველოს საარჩევნო სისტემის კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის დაწესებული 30%-იანი ბარიერი, რაც ლეგიტიმაციის საკმაოდ დაბალი დონეა. ასეთ დროს, შესაძლებელია, გამარჯვებული გახდეს ისეთი კანდიდატი, რომლის წინააღმდეგაც ამომრჩეველთა უმრავლესობამ მისცა ხმა. მაგალითად, თუ არჩევნებში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიდა, პირობითად, A, B, C, და D კანდიდატები, ხოლო მათ მიერ მოპოვებული ხმების პროცენტული რაოდენობა არის, შესაბამისად, 31%, 29%, 25% და 15%, გამარჯვებული ხდება A კანდიდატი (რადგან მან მიიღო ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა და გადალახა 30%-იანი ბარიერიც), მაშინ, როდესაც ამომრჩეველთა 69%-მა (29%+25%+15%) A კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა და პირველ ადგილზე გასული კანდიდატის მხარდაჭერა მხოლოდ მცირე სხვაობით აღემატება მე-2 ადგილზე გასული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას.

## დასკვნა

საარჩევნო სისტემა საქართველოში მრავალი წელია კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს. მოქმედი სისტემა საშუალებას აძლევს ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს, მიიღონ იმაზე ბევრად მეტი მანდატი, რაც მათ წმინდა პროპორციული წესით ეკუთვნით. შედეგად, იკარგება იმ ამომრჩეველთა ხმები, რომლებმაც ოპოზიციურ პარტიებს მისცეს ხმა. მმართველი ძალა ფლობს ბერკეტს, რომ თუნდაც 50%-ზე ქვედა ნიშნულიანი მხარდაჭერით პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვოს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული მდგომარეობით, დემოკრატიულობის მაღალ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს ამომრჩეველთა ხმის თანაბრობის პრინციპის დარღვევა და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის დაწესებული დაბალი (30%) საარჩევნო ბარიერიც. საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებათა პროექტით საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისათვის ბოლო ორი ხარვეზი გამოსწორდება; ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა მეტ-ნაკლებად გათანაბრდება და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის დაწესებული ბარიერიც 50%-მდე აიწევს, თუმცა მთავარი ხარვეზი, რაც პარტიების მიერ მიღებულ მხარდაჭერასა და მათ მიერ პარლამენტში მოპოვებულ მანდატებს შორის სხვაობას უკავშირდება, მიმდინარე წლის არჩევნებისათვის კვლავაც მოუგვარებელი რჩება. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო იქნება ბოლო მოწვევის პარლამენტი, რომელიც მაჟორიტარული სისტემის საფუძველზეც აირჩევა. 2016 წლის შემდეგ, საქართველოს საარჩევნო სისტემა სრულად გადავა პროპორციულ სისტემაზე. ეს კი იქნება ის მექანიზმი,

რომელიც პოლიტიკურ პარტიებს მისცემს სამართლიანი წარმომადგენლობის ყოლის საშუალებას და ისინიც მეტ აქცენტს წინასაარჩევნო კამპანიაზე გააკეთებენ, ვიდრე საარჩევნო სისტემის ხარვეზებზე. ამომრჩეველსაც საკუთარი ხმის დაკარგვის გაცილებით ნაკლები განცდა ექნება. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს სამართლიანი არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილებას.

### **Summary**

Fair and free election is one of the major principles of the democracy. Election system has a big role in the achievement of mentioned goals. In the article, it is discussed the essence and types of the election system, after which comes a brief review of the electoral system defects. In the work, there is the attention paid on three important shortcomings; such as: 1. Inconsistency between the support gained in election by parties and mandate amount obtained in the representative bodies; 2. Misbalance of distribution of voters amount between single-member constituencies; 3. For majoritarian candidates is set up 30% threshold, which is a low level of legitimacy. In the research is discussed all those problem, which are formed by the mentioned defects. Are presented results of three elections quantitative analysis. (2008 parliamentary elections and 2010 and 2014 years Local Self-Government Elections). Also, there is calculated different quantitative datas.



## ბიბლიოგრაფია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. (1948). *მუხლი 21*. მოძიებულია 2015 წლის 03. 12, ვებ-გვერდიდან: <http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>

საქართველოს კონსტიტუცია. (1995). *მუხლი 49.1*. N5630 (2011)

საქართველოს კონსტიტუცია. (1995). *პრეამბულა*. N3710 (2010)

საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი. *საარჩევნო სისტემები*. მოძიებულია 2015 წლის 04. 12, საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდიდან: [http://www.parliament.ge/files/1055\\_16721\\_957521\\_saarchevno\\_sistemebi.pdf](http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf)

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2008). *საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი*. მოძიებულია 2015 წლის 04. 12, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან: <http://www.cesko.ge/uploads/other/2/2675.pdf>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2010). *არჩევნები 2010*. მოძიებულია 2015 წლის 04. 12, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან: <http://results2010.cec.gov.ge/>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2014). *საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს დედაქალაქის - თბილისის საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შედეგების ერთიანი ოქმი*. მოძიებულია 2015 წლის 05. 12, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან:

<http://www.cesko.ge/uploads/other/28/28809.pdf>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2014). *ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ოლქების მიხედვით 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებისთვის*. მოძიებულია 2015 წლის 06. 12, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან: <http://www.cesko.ge/uploads/other/28/28313.pdf>

ქეთევან ქობულაძე, ანი რაზმაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ქალთა აქტივობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე

### შესავალი

დღესდღეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, საკმაოდ აქტუალური და პრობლემური საკითხია, როგორც გენდერული თანასწორობის მიღწევა, ასევე ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში ქალთა პოლიტიკური აქტივობა დაბალია ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე და მათი მცირე რაოდენობა არის წარმოდგენილი თვითმმართველობის ორგანოებში. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს გენდერული ბალანსის მიღწევა ყველა მუნიციპალიტეტსა და რაიონში. გარდა აღნიშნული საკითხისა, ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია შიდაპარტიული გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

აღნიშნულ ნაშრომში გავაანალიზებთ საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებზე წარმოდგენილ პარტიულ სიებს; არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერულ შემადგენლობას პარტიებისა და საარჩევნო სისტემების მიხედვით. განვიხილავთ, თუ რა გავლენას ახდენს საარჩევნო სისტემები ქალთა წარმომადგენლობაზე და გამოვყოფთ იმ ფაქტორებს, რომლებმაც გენდერული თვალსაზრისით გავლენა იქონიეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო პროცესზე.

ნაშრომში, ასევე, განვიხილავთ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შეტანილი ცვლილების გავლენას ქალთა წარმომადგენლობასა და პარტიების დაფინანსებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს და იმ საერთაშორისო ვალდებულებებს, რაც გენდერული ბალანსის თვალსაზრისით აკისრია საქართველოს.

შევეცდებით გავაანალიზოთ, რა ხელისშემშლელი ბარიერები არსებობს ქალთა პოლიტიკაში წინსვლისთვის; რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს ხელისუფლების მიერ და რა ღონისძიებები გატარდა გენდერული თანასწორობისა და ქალთა არჩევნებში მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობის მიმართულებით; რა მივიღეთ შედეგად და რა უნდა გააკეთოს მომავალში ხელისუფლებამ, მედიამ, თუ არასამთავრობო სექტორმა არსებული პრობლემის დაძლევის კუთხით.

## **ქალთა აქტივობის ისტორიული მიმოხილვა წინა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე**

სანამ უშუალოდ განვიხილავთ ქალთა აქტივობას 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, უპირველეს ყოვლისა გავაკეთებთ მოკლე ისტორიულ ექსკურსს ქალთა ჩართულობაზე თვითმმართველობის არჩევნებზე, დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან დღემდე. ამ დროის განმავლობაში საქართველოში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა ხუთჯერ და მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის მოკლე მიმოხილვა იმდენად, რამდენადაც შევძლოთ სხვაობის დანახვა ქალთა აქტივობის მხრივ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობა საკმაოდ დაბალია. 1998 წელს ჩატარებული არჩევნებით საკრებულოს წევრთა შორის ქალებმა მხოლოდ 14% შეადგინეს, რაც ნამდვილად არასახარბიელო ფაქტია. 2002 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ქალთა აქტივობამ კიდევ უფრო იკლო და 11,9% დაფიქსირდა, ეთნიკურ უმცირესობებში კი ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აღინიშნა: მარნეულში 1,9% და ბოლნისში 4,7%. რაც შეეხება 2006 წელს ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს, ქალებმა მანდატების მხოლოდ 10,8% მოიპოვეს, 2010 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა იკლო და 10% შეადგინა ანუ 1688 მანდატიდან მხოლოდ 169 მოიპოვეს მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა. 2014 წელს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის მეხუთე არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში. 2014 წლის არჩევნების შედეგად კი პროპორციული სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრებს შორის ქალებმა შეადგინეს 14,7%, ხოლო მაჟორიტარ დეპუტატებს შორის - 7,2%. საერთო ჯამში ქალებმა მანდატების 11,6% მოიპოვეს (assessment, 2015). 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ქალთა მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა გაიზარდა წინა არჩევნებთან შედარებით, რაც არაერთი მიზეზითაა განპირობებული. მოცემული მიზეზები განხილული იქნება ნაშრომის მეორე ნაწილში.

### **საარჩევნო სისტემების გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე**

როგორც ცნობილია, საარჩევნო სისტემის ბუნება არის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის პროცესში. სწორედ საარჩევნო სისტემის ხასიათი განსაზღვრავს ქალთა წარმომადგენლობის დონეს არჩევნებში, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს ქალებისთვის ხელშემწყობი. დღესდღეობით ბევრს დაობენ იმის თაობაზე, თუ რომელი საარჩევნო სისტემა - მაჟორიტარული თუ პროპორციული, უწყობს ხელს მეტი

ქალის წარმოდგენას ქვეყნის თვითმმართველობის ორგანოებში. სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყნის საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალთა წარმომადგენლობაზე სახელისუფლებო ორგანოებში. პარტიული სიის პროპორციული სისტემის შედეგად უფრო მეტი ქალი ხვდება პარლამენტში, ვიდრე მაჟორიტარული სისტემით. აღნიშნული გარემოება დამტკიცდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის ანალიზის შედეგად, რომელიც 1980-იანი წლების შუა ხანებიდან გახდა საკმაოდ აქტუალური (Norris, P., 2012, February 3). კვლევებით დადასტურებულია, რომ მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებიც პროპორციულ სისტემას იყენებენ არჩევით ორგანოებში ქალებს მანდატების 20% აქვთ მოპოვებული, ხოლო ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის მქონდე სახელმწიფოებში – დაახლოებით 9%. მიუხედავად იმისა, რომ პროპორციული სისტემა უფრო ხელშემწყობია ქალების ჩართვისთვის, თავის მხრივ, პრობლემები იქმნება პარტიული სიის წარდგენის დროს, როდესაც უმეტესწილად ქალი კანდიდატები სიის ბოლოში არიან წარმოდგენილნი ან ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ ჰყავთ პარტიებს ქალები სიებში დასახელებული.

როგორც მსოფლიოს პრაქტიკამ აჩვენა, პროპორციული სისტემა უფრო მომგებიანი და ეფექტურია ქალთა არჩევის კუთხით. მაგალითად, ნორვეგიაში ქალების 40%-ია წარმოდგენილი პარლამენტში, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებით და მეორე მხრივ, სხვა მრავალი ფაქტორით, როგორებიცაა: პოლიტიკური აქტიურობის მაღალი დონე, საზოგადოების ორგანიზებულობა და ა.შ. (LAW, E. C., 2009, June 16). პროპორციული სისტემის დროს ქალები უფრო ადვილად მოდიან პოლიტიკაში, რადგანაც მაჟორიტარული სისტემის დროს, როდესაც ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი კანდიდატი უნდა შეირჩეს, ქალებს უჭირთ უპირატესობის მოპოვება.

პროპორციული სისტემის ამგვარი ბუნება მეტი ქალის არჩევის თვალსაზრისით დასტურდება საქართველოს მაგალითზეც: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 7 ქალი, ხოლო პროპორციული სიით 11 ქალი, ანუ ქალებმა მაჟორიტარული მანდატების 9.5%, ხოლო პროპორციული მანდატების 14.2% მოიპოვეს (ბაგრატია, 2013). ეს ფაქტი კვლავ ადასტურებს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს მეტი ქალის ჩართვას ეროვნულ საკანონმდებლო და თვითმმართველობის ორგანოებში. შესაბამისად, ქვეყნის მმართველმა ხელისუფლებამ დიდი მნიშვნელობა უნდა მიაანიჭოს საარჩევნო სისტემის ბუნებას, რათა ხელი შეუწყოს ქალთა წარმომადგენლობის ზრდას და გენდერული ბალანსის უზრუნველყოფას როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში.

## საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი პარტიული სიები

როდესაც განვიხილავთ ქალთა აქტივობას 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, აუცილებლად უნდა გავანალიზოთ საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი პარტიული სიები გენდერულ ჭრილში, კონკრეტულად რამდენი ქალი კანდიდატი ჰყავდა დასახელებული თითოეულ მათგანს და იყო თუ არა გენდერული ბალანსი დაცული წარმოდგენილ პარტიულ სიებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარმოდგენილ იქნა 24 საარჩევნო ბლოკის, პარტიის განცხადება, რომელთაგანაც პროპორციული სიით წარდგენილ კანდიდატებს შორის ქალები შეადგენდნენ 30,14%-ს, ხოლო მაჟორიტარებს შორის – 10,52%-ს. საერთო ჯამში ქალები კანდიდატების 25,5%-ს შეადგენდნენ (ბაგრატია, 2015).

აღსანიშნავია, რომ არჩევნებში რეგისტრირებული 24 პარტიის წარმომადგენელს შორის შვიდი იყო მდებარეობითი სქესის - პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - ცირა გახოკიძე, პ/გ „ერთიანობის დარბაზი“ - შორენა ხიმშიაშვილი, პ/გ „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“ - შორენა ოსკოპელი, პ/გ „მერაბ კოსტავას საზოგადოება“ - მაკა გოგოხია, პ/გ „ხალხის პარტია“ - ლოლა ჭელიძე, პ/მ „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ - ქეთევან ცხვედიაშვილი, ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს!“ - თამარ ჯუღელი.

ასევე, მერის პოსტზე დარეგისტრირებული იყო 8 ქალი, გამგებლის თანამდებობაზე კი - 10. რაც შეეხება ქალთა რაოდენობას პარტიულ სიებში, ქალი კანდიდატების 31.8% წარმოდგენილი იყო პარტიული სიების პირველ ათეულში, 39.5% - მეორე ხუთეულში, ხოლო 23.5% პირველ ხუთეულში.

რაც შეეხება პარტიული სიების მიხედვით მაჟორიტარული სისტემით წარდგენილ კანდიდატებს, ქალი კანდიდატები შემდეგნაირად იყო რეგისტრირებული: ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 16%, ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია - 13%, შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 12%, ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)“ - 11%, ბლოკი „ქართული ოცნება“ - 10%, „ერთიანობის დარბაზი“ - 9% და ა.შ. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ქალი კანდიდატი არ ჰყავდა დასახელებული შემდეგ პარტიებს: “უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმართლე”, ხალხის პარტია, მომავალი საქართველო, ირაკლი ოქრუაშვილი - ქართული პარტია”, თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა.

**არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული შემადგენლობა პარტიებისა და საარჩევნო სისტემების მიხედვით**

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე რეგისტრირებული პარტიული ბლოკებისა და პარტიული სიების გენდერული თვალსაზრისით განხილვის შემდგომ მნიშვნელოვანია, თუ როგორ გადანაწილდა ხმები და წარმოდგენილი ქალი კანდიდატების რამდენმა პროცენტმა მოიპოვა მანდატი თვითმმართველობის ორგანოებში. რაც შეეხება არჩეული ქალების წილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, პროპორციული სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრებს შორის ქალებმა შეადგინეს 14,7%, ხოლო მაჟორიტარ დეპუტატებს შორის - 7,2%. საერთო ჯამში ქალებმა მანდატების 11,6% მოიპოვეს. აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ ქალებმა პროპორციული სისტემით 2-ჯერ მეტი საარჩევნო მანდატი მოიპოვეს. გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე მეტი ქალი არჩეულ იქნა ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში, ხოლო ქალაქების - თელავის, ფოთის, მცხეთის საკრებულოებში არც ერთი ქალი არ იქნა არჩეული ასპინძისა და ახალქალაქის თვითმმართველი თემების მსგავსად. მაჟორიტარული სისტემით კი ყველაზე მეტი ქალი აირჩა ქალაქ ამბროლაურში და ვერც ერთი მათგანი ვერ გავიდა 24 თვითმმართველ თემსა და ქალაქში. რაც შეეხება პროპორციულ სისტემას, ამ შემთხვევაშიც ყველაზე მეტი მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი იქნა არჩეული ოზურგეთის საკრებულოში, ხოლო არც ერთი მათგანი არ იქნა არჩეული 9 თვითმმართველ ქალაქსა და თემში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არც ერთი ქალი აირჩა მერის თანამდებობაზე.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ აგრეთვე არჩეული ქალების მიერ მოპოვებული მანდატების პროცენტული წილი საარჩევნო სუბიექტებს შორის. საყურადღებოა, რომ არჩეულ ქალ კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი მანდატი საარჩევნო სუბიექტს „ქართული ოცნება“ ეკუთვნის - 63%, მეორე ადგილზეა „ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - მანდატების 17%-ით, ხოლო მესამე ადგილს იკავებს „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ - 11%.

### **ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალთა ჩართულობაზე პოლიტიკურ პროცესებში**

პოლიტიკაში ქალთა დაბალი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და პოლიტიკის სფეროში არათანაბარი გადანაწილება, პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის პრობლემის სიმწვავესთან (ჯაფარიძე, 2012). ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობის დაძლევის მიზნით და ქალების როლის გაზრდის ხელშესაწყობად, საქართველოს მთავრობამ მსჯელობა და მუშაობა 1994 წელს დაიწყო. ქვეყანამ ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენციის (CEDAW) რატიფიკაცია მოახდინა. 2006 წელს მიიღეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი; 2010 წელს კი გენდერული თანასწორობის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ქალთა

უსაფრთხოების, დასაქმების ბაზარზე თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობის უზრუნველყოფას.

საქართველოში ქალთა ჩართულობა, მონაწილეობა და წვდომა ფორმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე, დაკავშირებულია სხვადასხვა სტრუქტურულ და კულტურულ ბარიერებთან:

**სტრუქტურული ბარიერი** - მოიცავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს და პროფესიონალ და მენეჯერულ აქტივობებში ჩართული ქალების პროცენტულ რაოდენობას. აღნიშნული ბარიერები მოიცავს სიღარიბეს და უმუშევრობას, ფინანსური რესურსების ნაკლებობას, წერა-კითხვის უცოდინრობას, შეზღუდულ წვდომას განათლებაზე და პროფესიის არჩევანზე. ქალები ასრულებენ არაპროპორციულად ბევრ საოჯახო საქმეს, რაც შეუძლებელს ხდის პოლიტიკური კარიერის გაკეთებას.

**კულტურული ბარიერები** - საქართველოში პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელია ტრადიციული დამოკიდებულება ქალების გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციასთან დაკავშირებით. ტრადიციების მიხედვით ქართველი ქალის უპირველეს მოვალეობად კვალავაც დედისა და დიასახლისის როლი რჩება. მძლავრი პატრიარქალური ღირებულებები ინარჩუნებენ სქესის მიხედვით სეგრეგაციას (ცენტრი, 2014).

### **ცვლილება კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“**

2011 წელს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რაც გულისხმობს, რომ საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესის კანდიდატი სულ მცირე 20%-ით იქნება წარმოდგენილი (მუხლი. 30. 7/1).

მოგვიანებით ამ მუხლში შევიდა კიდევ ერთი ცვლილება, რომლის მიხედვითაც პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს 30%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ იმ არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით (ბაგრატია, 2015).

2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიებმა, რომლებმაც მიიღეს დაფინანსება, საერთოდ ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი და ვერც ერთი ქალი ვერ

გაიყვანეს პარლამენტში, ხოლო 2014 წელს, 30%-იანი გენდერული ბალანსის დაცვისათვის დაფინანსება მიიღეს საარჩევნო სუბიექტებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, თუმცა მათ მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემით მოპოვებულ მანდატებში ქალები შეადგენენ - ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში - 18,6%-ს, ხოლო „ქრისტიან დემოკრატიულ პარტიაში“ - 21,6%-ს. საერთო ჯამში კი ამ ორი საარჩევნო სუბიექტის სიით გასული ქალების ხვედრითი წილი გაცილებით მცირე აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა გარკვეული თვალსაზრისით დადებითად მოქმედებს სიების ფორმირების პროცესზე, წარმომადგენლობის თვალსაზრისით არსებითი გავლენა ვერ მოახდინა. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გენდერულ სტატისტიკაში ნათლად ჩანს, რომ პარტიებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად წინგადადგმული ნაბიჯები არ შეიმჩნევა. კერძოდ: თბილისის მერობის 14 კანდიდატიდან მხოლოდ 2 ქალი დაფიქსირდა; თვითმმართველ ქალაქებში კი, მერობის რეგისტრირებული კანდიდატების გენდერული შემადგენლობა ასე ნაწილდება – 65 კაცი, 8 ქალი. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის სავალალო შედეგი მივიღეთ, კერძოდ: არცერთი მერი არ არის ქალი, ხოლო 59 გამგებლიდან მხოლოდ 2 ქალია (დამცველი, 2014), შესაბამისად, სასურველია ამ ნორმის პროცენტული ოდენობის სხვაგვარი განსაზღვრა. ასევე, მნიშვნელოვანია მიღებული თანხების მიზნობრიობის განსაზღვრა პოლიტიკურ პარტიაში, გენდერული ცნობიერების ამაღლებისათვის და ქალთა დაწინაურების პროგრამების დაფინანსება (ბაგრატია, 2015).

### **სახელმწიფოს და არასამთავრობო სექტორის ქმედებები ქალთა პოლიტიკური აქტივობის გაზრდის ხელშესაწყობად**

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, გენდერული თანასწორობისა და ქალთა არჩევნებში მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განახორციელა ღონისძიებები, რაც მოიცავდა: ტრენინგებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე; გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას საარჩევნო პროცესებში; ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, უზრუნველყო გენდერისა და ლიდერობის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი ქალი წევრებისთვის. ტრენინგები საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებით და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით



განხორციელდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით სწავლების ცენტრმა, „თანასწორობის ქსელთან“ (GEN) და „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ (WIC) პარტნიორობით განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში კანდიდატად მონაწილე ქალებისთვის. ტრენინგი ჩაუტარდა 85 ქალ კანდიდატს (ცესკო, სექტემბერი, 2014), სასწავლო პროცესი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების ზოგადი მიმოხილვა: ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოები, საარჩევნო სისტემა, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.
- საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია: ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაცია, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატების წარდგენის წესი, პარტიული სიების წარდგენის წესი, მერობის/გამგებლობის კანდიდატების წარდგენის პროცედურა, პარტიული სიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია.
- წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)
- კენჭისყრის დღის პროცედურები
- არჩევნების/კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

ტრენინგში მონაწილე ქალი კანდიდატებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში გაიმარჯვა და მანდატი მიიღო 14-მა ქალმა, მათ შორის, შვიდი წარდგენილი იყო კანდიდატებად პარტიული სიებით, ხოლო დანარჩენი შვიდი - მაჟორიტარ კანდიდატებად პარტიების მიერ. არჩევნებში ჩართულ მხარეებთან კომუნიკაცია გენდერის საკითხებთან მიმართებით და ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მიზნით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, დააფინანსა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედმა კომისიამ შეხვედრა გამართა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით საქმიანობენ, ასევე აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს არჩევნებში ქალების ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიებები (ცესკო, სექტემბერი, 2014).

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის, მოამზადა სტატისტიკური ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, როგორც წარდგენილი და არჩეული კანდიდატების გენდერულ კუთვნილებაზე, ისე საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული შემადგენლობის შესახებ და ინფორმაცია განათავსა ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

## დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განვიხილეთ ქალთა აქტივობისა და წარმომადგენლობის მაგალითები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 1990 წლიდან დღემდე. ყურადღება გავამახვილეთ ქალთა აქტივობაზე 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე, კერძოდ, საარჩევნო სუბიექტების პარტიული სიების გენდერულ ასპექტებსა და არჩეული თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობაზე. შესაბამისად, გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ქალთა აქტივობისა და წარმომადგენლობის დონე წინა თვითმმართველობის არჩევნების მსგავსად, კვლავ დაბალ დონეზე რჩება და მდებარეობითი სქესის საკმაოდ მცირე რაოდენობაა ჩართული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ნაშრომში, აგრეთვე, ვისაუბრეთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც ქალთა დისკრიმინირებულ მდგომარეობას განაპირობებენ. გარდა აღნიშნული საკითხებისა, ყურადღება გავამახვილეთ საკანონმდებლო ჩარჩოზეც და მის გავლენაზე ქალთა წარმომადგენლობის ზრდის კუთხით. ასევე, განვიხილეთ ის აქტივობები, რაც 2014 წელს ჩატარდა სახელმწიფოს თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გენდერული თანასწორობის და ქალთა არჩევნებში მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით. ვისაუბრეთ ფაქტორებზე, რომლებმაც გენდერული თვალსაზრისით გავლენა იქონიეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო პროცესზე. უფრო ვრცლად კი, მიმოვიხილეთ ცვლილება, რომელიც შევიდა კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“, გავანალიზეთ ცვლილების შედეგები და ის ნაბიჯები, რომლებიც ამ ცვლილებებს უნდა ახლდეს თან. აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა აქტივობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე და ზოგადად, მათი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში კვლავ საკმაოდ დაბალია, მიუხედავად ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებებისა, პრობლემა ისევ პრობლემად რჩება. ტრენინგები, დებატები და სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობები სასრაგებლო აღმოჩნდა, თუმცა დაფინანსების ზრდამ და წახალისებამ პოლიტიკური პარტიებისთვის შედეგი ვერ გამოიღო. ნაშრომის წერისას კარგად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ საჭირო და აქტუალურია უფრო გრძელვადიანი და ეფექტური სტრატეგიის შემუშავება, რათა

გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და მოხდეს უფრო მეტი ქალის ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში, როგორც აქტიურ, ისე პასიურ მდგომარეობაში.

### **Summary**

Nowadays, in many countries in the world, including Georgia, it is quite actual and problematic topic as reach of gender equality, as increase women participation in politics.

It is proved by researches, which are held many times, that womens' political activity is lower in self-government authorities and they are represented with very little amount in self-government bodies. Therefore, it will be one of the major working direction of Georgian authorities to defend gender equality every municipality and district in Georgia. Besides, it is quite important to be ensured gender equality inside the political parties.

During the research, we will analyse the political lists presented by electoral entites; elected self-government gender staff, according to parties and electoral systems. We will discuss about electoral systems influence on women representation and we will choose the reasones, which have had the gender influence on self-government elections process in 2014.

## ბიბლიოგრაფია

assessment, C. f. (2015). *2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების გენდერული ანალიზი*. თბილისი.

LAW, E. C. (2009, June 16). *ON THE IMPACT OF ELECTORAL SYSTEMS ON WOMEN'S REPRESENTATION IN POLITICS*. Strasbourg: Mr Michael KRENNERICH.

Norris, P. (2012, February 3 ). *The Impact of Electoral Reform on Women's Representation*.

ადმინისტრაცია, ს. ს. (2014, სექტემბერი). *2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების ანგარიში*.

ბაგრატია, თ. (2013). *საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ კრილში*. Netherland Institute for Multiparty Democracy.

დამცველი, ს. ს. (2014). *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*.

თოდუა, ა. (2014, მაისი 15). *ქალები თვითმმართველობაში: გენდერული ბალანსი სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის მუნიციპალიტეტებში*. Retrieved from

პარლამენტი, ს. (2013). *საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი*. ქუთაისი.

*ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ქალთა მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორების მიმოხილვა და ანალიზი*. (2013, ოქტომბერი 18). Retrieved from <https://geword.wordpress.com/2013/10/18/>

ცენტრი, ა. უ. (2014). *ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა*.

ჯაფარიძე, ე. (2012, აგვისტო). *გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ*.

ანა მესხი, თამთა ჭრიკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ღია მმართველობა და ელექტრონული მთავრობა

მე-20 საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში ინტერნეტის მოხმარება, რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს შორის შეიძლება ამოვარჩიოთ 1969 წლის 29 ოქტომბერი, როდესაც ორი კომპიუტერი, რომელთა შორის მანძილიც 640 კმ იყო, ინტერნეტის საშუალებით დაუკავშირდა ერთმანეთს (ასათიანი, 2012). 20-ე საუკუნის 60-იანი წლებიდან ტექნოლოგიური რევოლუციის ახალმა ტალღამ ციფრული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო გამოგონებების სფეროში დაასრულა დასავლეთის ქვეყნებში ინდუსტრიული ეპოქა და ის პოსტინდუსტრიულ, "საინფორმაციო საზოგადოებად" შეცვალა. "საინფორმაციო საზოგადოების" ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად იქცა ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლა. ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი წილი ეფუძნება არა ინდუსტრიულ სექტორს (როგორც ეს ინდუსტრიულ ეპოქაში იყო), არამედ მომსახურების სფეროს, კერძოდ კი, საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოებასა და მომსახურებას (როსტიაშვილი, 2010).

საქმეების ელექტრონული ფორმით წარმოებამ ცხოვრების არაერთ სფეროში შეაღწია და გამონაკლისი არც პოლიტიკა ყოფილა. ინტერნეტის განვითარების პარალელურად განვითარდა იდეა ელექტრონული მმართველობის შესახებ. რა თქმა უნდა, თავდაპირველად, ინტერნეტის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ელ-მმართველობაც იზღუდებოდა და ინფორმაციის მხოლოდ გაცემა-მიღებისათვის გამოიყენებოდა. 90-იანი წლებიდან უკვე ამ საკითხზე შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზება დაიწყო, ისევე, როგორც განვითარდა სერვისებიც, რომელთა მოსახლეობისათვის მიწოდებაც ინტერნეტის საშუალებით იყო შესაძლებელი (King, 2004). ტერმინი ელექტრონული მმართველობაც სწორედ 90-იანი წლებიდან დამკვიდრდა.

სახელმწიფო არის რთული სოციო-პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, ამასთანავე, მას უწევს საზოგადოების ლეგიტიმური მართვაც. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაჩენის დღიდან ცდილობს ჩააყენოს ისინი საკუთარ სამსახურში, დღესდღეობით, ელ-მმართველობის კონცეფციის გაჩენასთან ერთად ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა და მიმართულია როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის ინტერესების მარტივ და სწრაფ დაკმაყოფილებაზე. ელექტრონული მმართველობა ეფუძნება

საჯარო ინფორმაციის ონლაინ რეჟიმში გავრცელებას და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სახელმწიფოს მართვის პროცესში (King, 2004). უფრო კონკრეტულად, იგი გულისხმობს საჯარო სექტორისათვის ვებ-გვერდებისა და ელექტრონული სერვისების შექმნას, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტის, სახელმწიფო კონკურსების, ვაკანსიების, ახალი ამბებისა და სხვ. შესახებ (როსტიაშვილი, 2010). ელექტრონული მმართველობა სხვადასხვა კუთხით შეიძლება წარმოვაჩინოთ: როგორც მოქალაქეების უბრალო ინფორმირება (მაგ. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება), ისე, მათთვის ორმხრივი ინტერაქციისათვის საჭირო გარემოს შექმნა. პოლიტიკური ჩართულობის ზრდა ხელს უწყობს ხალხის მონაწილეობის ზრდას სახელმწიფოს მართვის პროცესში (Macintosh, 2004). ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადვილი პროცესი სულაც არ ყოფილა და მრავალ ბარიერს ხვდებოდა.

თუკი ელექტრონული მმართველობის საფუძვლებს დავუკვირდებით, მის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ელექტრონულმა კომერციამ. მოხდა ინტერნეტის პრივატიზაცია და შესაბამისად, დაიწყო მისი კერძო მიზნებისათვის გამოყენება, რაც ბიზნესისათვის ძალიან მომგებიანი იყო. შეიქმნა ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა “eBay” და “Amazon”, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ონლაინ რეჟიმში ყიდდნენ და ყიდიან. სახელმწიფოებაც მიხვდნენ, რომ კერძო სფეროს წარმატებული მცდელობის გადმოტანა შესაძლებელი იყო საჯარო სექტორშიც და ისევე შეიძლებოდა საჯარო “პროდუქციის” მოსახლეობისათვის ონლაინ-შეთავაზება, როგორც ეს კერძო პროდუქტის შემთხვევაში ხდებოდა.

ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერები გამოყოფენ ელექტრონული მმართველობის რამდენიმე ეტაპს, რომლებიც ევოლუციური პრინციპით ვითარდება. პირველი ეტაპია საჯარო ინსტიტუტის ვებ-გვერდის არსებობა, რომელიც მინიმალურ ინფორმაციას მაინც მიაწვდის მოსახლეობას ჩატარებული თუ დაგეგმილი პროექტების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის განთავსების ეფექტურობა მის ოპერატიულობაზეა დამოკიდებული (Layne, Lee, 2001).

შემდეგია ტრანზაქციული ფაზა, როდესაც მოქალაქეებს შეუძლიათ სამთავრობო უწყებებთან დაკავშირება. ამ ეტაპზე ხდება როგორც ინდივიდუალურად ინფორმაციის მიღება, ასევე პრობლემებისა თუ ინიციატივების შესახებ საჯარო სექტორის ინფორმირება. მნიშვნელოვანია, რომ ეს ეტაპი ასევე გულისხმობს ჯარიმების, გადასახადების გადახდას ელექტრონული ფორმით, მთავარი უპირატესობა კი დაზოგილი დრო და ფინანსური რესურსებია (Layne, Lee, 2001).

მესამე ეტაპზე ხდება ადგილობრივი, რეგიონალური და ცენტრალური ხელისუფლების დაკავშირება, რომელთაც სხვადასხვა სახელმწიფო ფუნქციები აკისრიათ. მაგალითად, როდესაც ადგილობრივ დონეზე მოქალაქე ითხოვს ისეთი ოპერაციის შესრულებას, რაც ცენტრალური ხელისუფლების თანხმობას საჭიროებს, ეს მოთხოვნა ავტომატურად გადაეცემა ცენტრს და ხდება შესაბამისი რეაგირება, მოქალაქეს კი აღარ უწევს დროის კარგვა ჯერ ადგილობრივ, შემდეგ კი ცენტრალურ ხელისუფლებასთან საკითხის მოსაგვარებლად.

განსხვავებით მესამე ეტაპისაგან (ვერტიკალური ინტეგრაცია), მეოთხე დონეზე სახეზე გვაქვს ჰორიზონტალური ინტეგრაცია. აქ უკვე აღარ არის საჭირო მოქალაქის მოთხოვნა გადამისამართდეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რადგან როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება იყენებს ერთსა და იმავე მონაცემთა ბაზას და ადგილობრივ დონეზეც შესაძლებელია უკვე ოპერაციის შესრულება. ინფორმაცია უკვე ხელმისაწვდომია ხელისუფლების ნებისმიერი დონისათვის. შესაბამისად, ვერტიკალური ინტეგრაციის დანერგვა უფრო მარტივია, ვიდრე ჰორიზონტალურის (Layne, Lee, 2001).

ელექტრონული მმართველობის ეტაპები ერთნაირი არაა. მაგალითად, ვატსონი და მუნდი ელექტრონულ მმართველობას უკვე დემოკრატის უკავშირებენ და გამოყოფენ მისი განვითარების სამ ფაზას (Communications of the ACM):

- ✓ ინიციატივის ფაზა - იქმნება კონკრეტული საჯარო დაწესებულებისათვის ვებ-პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების ძირითადი ინფორმაციით მომარაგებას;
- ✓ დანერგვის ფაზა - მთელი მთავრობა იწყებს ელექტრონული მმართველობის შესაბამისად მუშაობას. ფუნდებმა ონლაინ გადახდა.
- ✓ დაკავშირების ფაზა - საჯარო სექტორი და მოქალაქე პირდაპირ უკავშირდებიან ერთმანეთს. ყველა მოქალაქეს გააჩნია საკუთარი ელექტრონული პროფილი, რითაც უკავშირდება საჯარო სტრუქტურებს. ეს კი, რა თქმა უნდა, დემოკრატის განმტკიცებაზე მეტყველებს (Communications of the ACM).

გარდა ელექტრონული მმართველობის დასახელებული ეტაპებისა, გამოიყოფა სხვადასხვა ფორმებიც. დიუისი და ალშერი გამოყოფენ ელექტრონული კომუნიკაციის სამ სხვადასხვა ფორმას (Alsheri, Drew, 2015):

- ✓ ელექტრონული მთავრობა - მოსახლეობისთვის (G2C) - მოსახლეობისთვის სხვადასხვა სევერისის შეთავაზება. სარგებელს იღებს ორივე მხარე.

- ✓ ელექტრონული მთავრობა - ბიზნესისთვის (G2B) - წარმატებული კომპანიები ინტერნეტს იყენებენ არა მხოლოდ მოსახლეობასთან, არამედ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისათვის.
- ✓ ელექტრონული მთავრობა - მთავრობისთვის (G2G) - ინტერნეტი გამოიყენება სახელმწიფოებს შორის კომუნიკაციისთვის.

შესაბამისად, ტრადიციული ზემოდან ქვემოთ გადაწყვეტილებების მიღება ნაკლებად რეალური ხდება. საჯარო სექტორს უწევს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი, რათა შეინარჩუნოს მოსახლეობის კმაყოფილება. ელექტრონული მმართველობა მეტია, ვიდრე სერვისების უბრალოდ ელექტრონული სახით მიწოდება, არამედ, ის საჯარო სერვისის ყველა ასპექტს მოიცავს, საჯარო მომსახურების ყველა ტიპის განხორციელებას ელექტრონული გზით. როგორც დემოკრატია, სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში განსხვავებულად აღიქმება, ელექტრონული დემოკრატია იყენებს ელექტრონულ საშუალებებს იმისათვის, რომ მოსახლეობა ჩართოს პოლიტიკურ პროცესებსა და გადაწყვეტილების მიღებაშიც კი. ინტერნეტს აქვს შესაძლებლობები გაზარდოს ინტერაქციული კომუნიკაცია და შეამციროს დრო და მანძილი. შესაძლოა გამარტივდეს ბერკეტების გადაცემა მთავრობიდან ხალხისაკენ. მედიასა და პოლიტიკის მეცნიერებაში განხილვის საგანია დემოკრატიის განვითარება ინტერნეტ ტექნოლოგიების კვალდაკვალ (Sharma, 2004).

კვლევების თანახმად, ელექტრონული მმართველობის განვითარება ხელს უწყობს დემოკრატიას და განავითარებს ე.წ. ელ-დემოკრატიას. სწორედ ელ-დემოკრატია შეიძლება იქცეს დემოკრატიის ნამდვილ ფორმად ახალ ერაში. ელექტრონული დემოკრატიის სინონიმებია კიბერდემოკრატია, ვირტუალური დემოკრატია ან საინფორმაციო ერის დემოკრატია, ძირითადი არსი კი ის არის, რომ ხალხის მმართველობა (დემოკრატიის არსი) ხორციელდება ტექნოლოგიების გამოყენებით. ელექტრონული სისტემები გამოიყენება ინტერესთა არტიკულაციის, აგრეგაციისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის (Sharma, 2004).

ჟენევის 2003 წლის მსოფლიო სამიტის პოლიტიკური მესიჯიც სწორედ ელექტრონული მმართველობის დემოკრატიასთან კავშირს ეხებოდა: “ჩვენ გვჯერა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) შეუძლია გააძლიეროს წარმომადგენლობითი დემოკრატია, გააადვილოს მისი სამართლიანად წარმართვის პროცესი და საჯარო კონსულტაციები და ხელმისაწვდომი გახადოს ყველასთვის. დაეხმაროს, რომ გაიზარდოს საჯარო ჩართულობის ხარისხი და იგი საშუალებას მისცემს მოქალაქეებს და სამოქალაქო საზოგადოებას იყენენ აქტიური ნაწილი გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც



ნაციონალურ ან რეგიონალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. ICT-ს შეუძლია ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო სერვისები და ხელისუფლება უფრო ეფექტიანი, პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული” (Committee of Ministers of the Council of Europe, 2004).

არსებობს ელექტრონული მთავრობის სამი ძირითადი სფერო (E-Government for Development, 2015):

eAdministration: ელექტრონული მთავრობის ინიციატივები განსაკუთრებით აუმჯობესებს საჯარო სექტორის შიდა სამუშაოებს, რაც მოიცავს: დანახარჯების შემცირებას: აუმჯობესებს შენატანს. მმართველი პროცესის შესრულება მოიცავს: დაგეგმვას, მიმდინარე პროცესების რესურსის (ადამიანური, ფინანსური და სხვა) მონიტორინგს და კონტროლს. სტრატეგიული კავშირები მთავრობაში: დამაკავშირებელი იარაღები, სააგენტოები, დონების და მონაცემების კვლევა, მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება, განსახორციელებელი სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავება, რომელიც წარუძღვება სამთავრობო პროცესებს. უფლებამოსილების შექმნა: გადაცემის ძალა, პროცესებისას რესურსების დაძალების შესაბამისი გადანაწილება.

eCitizens and eServices: ამგვარი ინიციატივები განსაკუთრებით მიმართულია მოქალაქეების და მთავრობის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად: მოქალაქეების, როგორც, დაინტერესებული მხარეების და ამომრჩევლების და, ასევე, მოქალაქეების, რომელთაგანაც გამომდინარეობს საჯარო სექტორის ლეგიტიმაცია და მოქალაქეები, როგორც საჯარო სერვისის მომხმარებლები. საუბარი მოქალაქეებთან: მოქალაქეები საჯარო სექტორის საქმიანობაში. ეს ძირითადად ეხება გარკვეული ტიპის ანგარიშვალდებულებას: მაღალ პასუხისმგებლობას საჯარო მომსახურების, გადაწყვეტილების და საქმიანობის პროცესში. მოქალაქეების მოსმენა: საჯარო პროცესებში გადაწყვეტილებების მიღებისას იზრდება საზოგადოების როლი. ეს არის დემოკრატიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი. საჯარო სამსახურის გაუმჯობესება: აუმჯობესებს მომსახურების მიწოდებას, გაზრდის ხარისხს, კომფორტულობასა და მის მნიშვნელობას.

eSociety: ასეთი ურთიერთობები პირველ რიგში აუმჯობესებს საჯარო უწყებებსა და სხვა დაწესებულებებს შორის ურთიერთობებს.(სხვა დაწესებულებებში იგულისხმება:კერძო კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა). ბიზნეს მუშაობის გაუმჯობესება: ურთიერთობების ხელშეწყობა მტავობასა და ბიზნესს ჯგუფებს შორის. ეს მოიცავს შესყიდვების და მომსახურების რეგულაციებს, იგი მიმართულია კომფორტული და მისაღები გარემოს შექმნისკენ ყველა მხარისთვის. განვითარებადი კომუნიკაციები: სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების ხელშეწყობა. პარტნიორობის მშენებლობა:

შესაბამისი ჯგუფების შექმნა, რომელიც დაგვეხმარება სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. საჯარო სექტორი არის ყოველთვის ერთ-ერთი პარტნიორი, ის ასევე მოქმედებს სხვების ხელშესაწყობად.

არის შემთხვევები, როდესაც ელექტრონული მმართველობის მხარდამჭერებს უტოპიური იდეებისათვის ადანაშაულებენ და ამჯობინებენ საჯარო მომსახურების ადგილზე შესრულებას. ჰენმენის არგუმენტი არის ის, რომ ელექტრონული მთავრობა აკეთებს აღნიშნულზე უფრო მეტს. ის ცდილობს ელექტრონული მმართველობის ხედვა გახადოს მეტად ნიუანსირებული იმის შემოთავაზებით, რომ ტექნოლოგიები თავად ცვლიან სახელმწიფოებრივ აზროვნებას და ნიშნავენ ახალ მმართველობას, რომელიც ჩვეულებრივ არის კომპლექსური და არ არის უფრო დემოკრატიული, ვიდრე მანამდე არსებული მმართველობის ფორმა (Henman, 2010).

განსხვავებით უტოპიური ხედვებისგან, ჰენმენის არგუმენტი ყურადღებას ამახვილებს ისეთ თეორეტიკოსებზე, როგორებიც არიან ლატაური და ჰეიდეგერი, ასევე, მსახიობთა ქსელის თეორიაზე იმის დასასაბუთებლად, რომ ტექნოლოგიები სახელმწიფოსთან რეკურსიულ ურთიერთობაშია და ისინი სახელმწიფოს რაციონალურ ფორმას აძლევს. იგი ამტკიცებს, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად უზრუნველყოფს ფაქტორებს, რომლებიც შერეულია ადამიანურ აქტორებთან და ქმნის მმართველობის სრულიად ახალ ფორმას, რაც მონაცემებს ადამიანური ვარაუდებისა და კომპიუტერული პროცესების კომბინირებით აყალიბებს. ადამიანებისა და კომპიუტერების ურთიერთობამ ამხილა მსოფლიოში გარკვეული, უფრო მარტივი და სწრაფი გზები.

ჰენმენი იკვლევს ექვს განსხვავებულ შემთხვევას, რომლებიც ორიენტირებულია ავსტრალიაში ელექტრონულ გადასახადების, ელექტრონული კეთილდღეობისა და ელექტრონული ჯანდაცვის ინიციატივების განვითარებაზე. პირველი, EDGE სისტემა იყო ფართომასშტაბიანი სამთავრობო ინიციატივა რომლის მიზანია შეაფასოს არჩევანის უფლება და იყოს განხილული, როგორც ორგანიზაციული ეფექტურობის განვითარების გზა და უზრუნველყოს პოლიტიკის ობიექტური განხორციელება. მეორეს მხრივ „საზოგადოებრივი კავშირი“ იყო მეორე პროექტი, რომელიც ფოკუსირებულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებაზე, რათა საზოგადოებისთვის უზრუნველყოფილ იქნას უფრო ჰოლისტური სისტემა. პროექტი ორიენტირებულია მონაცემთა ბაზის განვითარებაზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმ საჭიროებების შესახებ, რაც აუცილებელია ყველა სამთავრობო სააგენტოსთვის იმ მიზნით, რომ მიიღონ შესაბამისი

სარგებელი. „საზოგადოებრივი კავშირი“, ამისათვის იყენებს სისტემას, რომ ინდივიდებს შეუმცირდეთ დრო, რასაც ისინი სააგენტოებს შორის სიარულისას კარგავენ (Henman, 2010).

დანარჩენი ორი შემთხვევა შეისწავლის ეკონომიკურ პოლიტიკას. ავსტრალიური ბიზნეს რეესტრი (ABC) იყო ონლაინ ხელმისაწვდომო მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ავსტრალიაში რეგისტრირებული ყველა ბიზნესის შესახებ. პროექტი ითვალისწინებდა დიდი სამთავრობო გამჭირვალეობის შექმნას, ბიზნესის წარმომადგენლებს წვდომა ჰქონდათ იმ ინფორმაციაზე, რასაც მთავრობა მათ შესახებ აგროვებდა. ელექტრონული საგადასახადო სისტემა იყო მეორე პროექტი, რომელიც მოქალაქეებს ნებას რთავდა საკუთარი გადასახადები შეემოწმებინათ ელექტრონულად. ბოლო შემთხვევა შეისწავლიდა ელექტრონულ მმართველობას ჯანდაცვის სფეროში. HealthInsite იყო უფასო პორტალი, რომელიც შექმნილი იყო ავსტრალიის მთავრობის მიერ იმისათვის, რომ საზოგადოებას ჯანდაცვის სფეროს შესახებ ჰქონოდა ზუსტი ინფორმაცია. საზოგადოება უფრო და უფრო ხშირად იყენებდა ვებგვერდს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების მისაღებად (Henman, 2010).

ჰენმენი განხილულ შემთხვევებს იყენებს დიდი რაოდენობით დაკვირვებების შესაქმნელად იმის შესახებ თუ როგორ მიმდინარეობს ადმინისტრირება, ხორციელდება პოლიტიკა და ყალიბდება აღქმა მოქალაქეებს შორის. ის პირველი იყო, ვინც აღნიშნა რომ ICT-ის გამოყენებით იცვლება წარმოდგენები სიჩქარის, დროისა და მომავლის შესახებ. ჰენმენის ხედვით, ICT-ის გამოყენება ხდება პოლიტიკური ძალის ერთგვარი ფორმა, სადაც სტატისტიკური მოდელები „წინასწარმეტყველებისათვის“, მომავლის განსაჭვრეტად და პოლიტიკური კურსის გასამართლებლად გამოიყენება. იგი, ასევე გვთავაზობს ქსელური ინფრასტრუქტურის გამოყენებას და გზას, რომლითაც იცვლება სახელმწიფოებრივი აზროვნება. ელექტრონული კომპიუტერული ქსელების გამოყენებას სამთავრობო უწყებებთან დასაკავშირებლად ჰქონდა შიდა სარგებელი იმ შესაძლებლობების სახით, რაც უწყებებს თანამშრომლობის და მონაცემების გაზიარების საშუალებას აძლევდა. თუმცა იგივე ქსელები ზრდიდა თვალყურის დევნების შესაძლებლობასაც (Henman, 2010).

ელექტრონული მმართველობის განვითარებასთან ერთად, ზოგიერთი მკვლევარი საჯარო დაწესებულებების როლზეც ამახვილებს ყურადღებას. მათ შორის არიან ჯაგერი და ბერტოტი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე განიხილავენ საჯარო ბიბლიოთეკების შესაძლებლობებს ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებით (Jaeger, 2009).

ელექტრონული მმართველობა არის ხელისუფლების შეთავაზება მოსახლეობისადმი, მიიღონ ინფორმაცია და სევრისები ონლაინ რეჟიმში. ყოველივე ეს მოიცავს ისეთ განსხვავებულ შესაძლებლობებს, როგორებიცაა ონლაინ რეჟიმში ნარკოტიკების სამკურნალო რეცეპტის მიღება და გადასახადების გადახდა შესაბამისი საჯარო სამსახურისათვის მიმართვის საშუალებით. ელ-მმართველობასა და საჯარო ბიბლიოთეკებს შორის ინტერაქცია საკმაოდ კომპლექსურია და ზემოქმედებს ბიბლიოთეკის მენეჯმენტსა და ბიბლიოთეკის პერსონალის აქტივობებზე (Jaeger, 2009).

აშშ-ის მაცხოვრებლების თითქმის ნახევარს არ მიუწვდება სათანადოდ ხელი ინტერნეტრესურსებზე, რომელთაც ელექტრონული მმართველობა ეყრდნობა (2008 წლის მონაცემები). საჯარო ბიბლიოთეკებში არსებული ხელმისაწვდომობა სწორედ ასეთ ადამიანებს ეხმარება, ასევე იმ ადამიანებს, რომელთაც სჭირდებათ დახმარება საჯარო სექტორიდან, მაგრამ ტექნოლოგიური თუ ინტერტენშეზღუდულობის გამო ვერ ახერხებენ ხმის მიტანას შესაბამის უწყებამდე. ავტორს მაგალითად მოჰყავს საჯარო ბიბლიოთეკების როლი, რაც მათ შეასრულეს 2004 და 2005 წლების ქარიშხლების დროს, როდესაც მოსახლეობისათვის ფედერალურ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან (FEMA) წვდომა უზრუნველყვეს, ისევე, როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სხვა სახელმწიფო სამსახურებთან (Jaeger, 2009).

აღსანიშნავია, რომ შეიცვალა ბიუროკრატის ტრადიციული გაგებაც. ტრადიციულ ბიუროკრატულ პარადიგმაში, სახელმწიფოს მმართველები ფოკუსირებულნი იყვნენ შიდა მწარმოებლურობის ეფექტიანობაზე, ფუნქციონალურ რაციონალურობაზე, იერარქიულ კონტროლსა და მართვის წესებზე, სადაც ხაზგასმული იყო ზემოდან ქვემოთ მართვა, იერარქიული კომუნიკაცია და კონტროლი. ელ-მთავრობის პარადიგმაში – სახელმწიფოს მმართველებს ამოძრავებთ ისეთი გენერირებული პრობლემები, როგორიცაა ეკონომიკური ეფექტიანობა, ფოკუსირება მომხმარებელთა დაკმაყოფილებასა და მართვაზე, მომსახურების მიწოდების მოქნილობა, შიდა და გარე მხარეების მიერ ქსელის მართვა, მოქნილობა, ჯგუფური მუშაობა, მრავალმიმართულებიანი ქსელი, მხარეებს შორის პირდაპირი კომუნიკაცია და სწრაფი უკუკავშირი, ინოვაციური მეწარმეობა, ორგანიზაციული სწავლება, მომსახურების წარდგენის დაჩქარება, კლიენტზე მიმართული სტრატეგია. ჰორიზონტალური იერარქიული კონტროლი. დღეისათვის ტრადიციული ბიუროკრატული მოუქნელი მანქანა, როგორც წესი ადაპტირდება ონლაინ მართვასთან და ონლაინ ურთიერთქმედებით წარმოშობილ მართვის მიმართულებებთან, რომელიც სასამართლოს

ზედამხედველობის დაქვემდებარებით, კონსტიტუციურად მორჩილი და ანგარიშვალდებული გამოხატავს ხალხის ნებას (აბულაძე, 2012).

საჯარო ბიბლიოთეკებსა და ელ-მმართველობას შორის ურთიერთობა თანდათან სამეცნიერო და პროფესიონალურ ყურადღებას იმსახურებს. ასეთი საჯარო ცენტრები ზრუნავენ მოსახლეობის “განათლებაზე” იმ კუთხით, რომ მათ იცოდნენ, როგორ დაუკავშირდნენ ხელისუფლებას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით (Jaeger, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული მმართველობის ბევრი დადებითი ფაქტორი აღნიშნა, მაინც არსებობს კითხვები, შენიშვნები მასთან დაკავშირებით. ელექტრონული მმართველობა ბადებს კითხვებს: რა გავლენას მოახდენს იგი საჯარო ორგანიზაციებზე? რა სტრუქტურული ეფექტი აქვს ელექტრონულ მმართველობას და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს საჯარო ორგანიზაციებზე? რა უნარები სჭირდება საჯარო მკვლევარს? ლიდერის რა თვისებები იქნება საჭირო ელექტრონული მმართველობის ერაში? (Sharma, 2004)

ჰენმენი იკვლევს ICT-ის გამოყენებას რისკების ეფექტურად მართვისათვის. ერთი მხრივ, ICT საშუალებას აძლევს მთავრობას მოქალაქეებს თავიდან ააცილოს პოტენციური საფრთხეები, მაგალითად, ვებ-პორტალის შემთხვევა უზრუნველყოფს ზუსტ ინფორმაციას ჯანდაცვის შესახებ, ხოლო იმუნიზაციის რეესტრები ამცირებენ სახიფათო დაავადებების აფეთქებას. მაგრამ, ჰენმენი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ერთი შეხედვით დადებითი მიზნებისთვის გამოყენებამ შეიძლება უარყოფითი შედეგიც მოიტანოს. ICT პირველად აძლევს მთავრობებს ინფორმაციის შეგროვებისა და ჯგუფების განსაზღვრას მათი დემოგრაფიულ მახასიათებლების მიხედვით. შემდგომ კი ეს ინფორმაციები გამოიყენება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგალითად, მონაცემებმა შეიძლება აღმოაჩინოს პოტენციური ტერორისტები, პოტენციური თაღლითი გადამხდელები, ასევე ინდივიდები, რომლებიც თაღლითურად იყენებენ სოციალურად დაცვის სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ ის შეილება ჩანდეს რისკების მართვის ეფექტურ გზად, ჰენმენის ერთ-ერთი პრეტენზია არის, რომ ტექნოლოგიების რწმენა, როგორც სამთავრობო გადაწყვეტილებების უკანასკნელი არბიტრისა, ქმნის იმის რისკებს, რომ მონაცემების გამოყენება გაამართლებს იმას, რაც არსებითად დისკრიმინაციული ხასიათისაა (Henman, 2010).

საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვა დღესდღეობის პრიორიტეტულია. 2006 წლის მარტის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, რომელმაც

შეიმუშავა მეტად მნიშვნელოვანი კონცეპტუალური დოკუმენტები.მათ შორისაა: საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფციის პროექტი და ელექტრონული მმართველობის კონცეფცია (როსტიაშვილი, 2010).

2010 წლის მონაცემებით, გაეროს კვლევის “ქვეყნების მიერ ელექტრონული მმართველობის გამოყენების მზადყოფნის ინდექსის” ძირითადი ჯამური ქულების მიხედვით, საქართველოს მინიჭებული აქვს საკმაოდ დაბალი (1.00 მაქსიმალური ქულიდან), მხოლოდ 0.45, სომხეთს - 0.41, აზერბაიჯანს - 0.46, რუსეთს კი - 0.51 ქულა.უდავო ლიდერები არიან სკანდინავიის ქვეყნები: პირველ ადგილზეა შვედეთი, მეორეზე - დანია, მესამეზე - ნორვეგია, აშშ-ს კი მხოლოდ მეოთხე ადგილი უკავია.

საქართველოში არსებული მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება უშუალო ზეგავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის შეზღუდვაზე. ყოველ 100 ადამიანზე ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობით საქართველო, ისე როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, იმყოფება ძალზე ჩამორჩენილ ქვეყანათა შორის. საქართველოში ყოველ 100 ადამიანზე მოდის მხოლოდ 7.4 ინტერნეტ მომხმარებელი, სომხეთში - 5.7, აზერბაიჯანში - 9.7. რუსეთში შედარებით უკეთესი ვითარებაა. იქ 18.2 ინტერნეტ-მომხმარებელია ყოველ 100 ადამიანზე, მაგრამ მსოფლიო ლიდერებთან შედარებით, რუსეთი ისევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათ. ნიდერლანდებში ყოველ 100 ადამიანზე 88 ინტერნეტ-მომხმარებელია, ნორვეგიაში - 87, ახალ ზელანდიაში - 78, შვედეთში - 76, აშშ-ში - 69, იაპონიაში - 68. არსებული დისპარიტეტები, პრაქტიკულად, ხარისხობრივად იგივეა პერსონალური კომპიუტერების, ძირითადი სატელეფონო ხაზების, მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობის შეფასებისას (როსტიაშვილი, 2010).

თუმცა, 2011 წლიდან საქართველო ჩაერთო ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამაში, რომელმაც წინ წასწია ჩვენი ქვეყნის მაჩვენებლები და ზრუნვა ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე.მნიშვნელოვანია 2014 წელი, როდესაც შემუშავდა ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 (ციფრული საქართველო, 2014). გეგმის მიხედვით, ელექტრონული საქართველოს პრიორიტეტული თემებია: ელექტრონული სერვისები, ელექტრონული ჩართულობა და ღია მმართველობა, ელექტრონული ჯანდაცვა, საჯარო ფინანსების მართვის სისტემა, გადასახადების მართვის საინფორმაციო სისტემა, ელექტრონული ბიზნესი, საქართველო – ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჰაბი, ინფრასტრუქტურა, ელექტრონული უსაფრთხოება, უნარ–ჩვევები და ელექტრონული ინკლუზია, ხელშემწყობი ჩარჩოები და მმართველობა, ცნობიერების ამაღლება.

დღეს საქართველოში საჯარო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია როგორც პროაქტიული გამოქვეყნების, ასევე ელექტრონული მოთხოვნის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციად ითვლება: ინფორმაცია გარემოს, საჯარო დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, მოსამსახურეთა ვინაობის, კენჭისყრის შედეგების, არჩევნების, აუდიტის დასკვნების, საჯარო მონაცემთა ბაზის, ინფორმაციის შენახვა-გავრცელების, პერსონალური მონაცემები (კატეგორია პირების) და ინფორმაციის შესახებ, რომელიც არ მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად (ტურაშვილი, 2014).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2010-2015 წლების კვლევების თანახმად, ამ პერიოდში საჯარო დაწესებულებებში გაიზარდა 30 152 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი, პასუხი კი 24 438 მათგანზე დაბრუნდა. 2015 წლის მონაცემებით, 8297 საჯარო მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი გაცეს 3961 მათგანს. 2010-2015 წლების ყველაზე ანგარიშვალდებულ დაწესებულებებად კი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა დასახელდა. 2015 წლის ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დასახელდა, რომელმაც 44 მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ. 2010-2015 წლების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2010 წელთან შედარებით მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, რაზეც გავლენა ცენტრალურმა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა და, ასევე, დაწესებულების ხელმძღვანელ პირთა ღია და ანგარიშვალდებული მმართველობისადმი დამოკიდებულებამ მოახდინა.

მართალია, კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა გაამარტივა კომუნიკაცია საჯარო დაწესებულებებსა და მოსახლეობას შორის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ გაიზარდა პასუხისმგებლობაც, ანგარიშვალდებულებაც, გამჭვირვალობა და ღიაობა. თუკი წლების წინ საჭირო იყო ბიუროკრატიული ლაბირინთის გავლა, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა განაპირობებს მთავრობამდე ხმის მიწვდენის შესაძლებლობას. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველივე ამის გაკეთება და ნამდვილი ელექტრონული მმართველობა მხოლოდ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლობიანი ხელისუფლების პირობებში არის შესაძლებელი.

### Summary

Since the 20th century, when the internet has spread through world, among the significant stages, we can emphasize 29 October 1969, when two computers, distanced for about 640 km, connected each other via internet. From the second half of the 20th century the new wave of the technological revolution has completed industrial era in digital, information and communication inventions across the Europe. The change of economic structure has become one of the leading factors for “Information

Society”. The largest share of the country’s GDP is not based on industrial sector any more ( as it was in the industrial era). Now, it is based on the service sector, in particular, on the manufacturing of the information technology.

Electronic production of cases are now used in many spheres of life as well as in politics. In parallel with internet development, has evolved the idea of e-governance. At first, e-governance was limited and was used only for information exchange because of lack of opportunities for the internet. From 90s, e-governance was a matter of meetings and e-governance, as a term was firstly used in this period. It plays a significant role in governance and implies online spreading of public information and using communication technologies. Although the government tries to use technologies for better work, nowadays, this process is more intensive with the appearance of the concept of e-government, which is focused on satisfy the interests of government as well as the interests of citizens. It’s very momentous, that the legitimation of the authority is increased by offering e-governance to people, so the citizens are able to be involved in decision making process through the internet. In addition, e-governance saves lots of time and finances for both citizens and authorities.

#### ბიბლიოგრაფია:

Committee of Ministers of the Council of Europe. (December, 2004). Recommendation. Electronic Governance (E-Governance). Council of Europe.

E-Government for Development. Success and Failure in eGovernment Projects. Source: <http://www.egov4dev.org/success/definitions.shtml> (ნანახია: 17.11.2015)

Henman, P. (February, 2010). *Governing Electronically: E-Government and the Reconfiguration of Public Administration, Policy and Power*. Palgrave Macmillan.

Jaeger, P.T. and Bertot, J.C. (2009). *E-government Education in Public Libraries : New Service Roles and Expanding Social Responsibilities*. Journal of Education for Library and Information Science, No. 1, pp.39-49.

King, D. (2004). *Electronic Government*. Information Science Reference: New York.

Layne, K. and Lee, J. (2001). *Developing fully functional e-government: a four stage model*. Government Information Quarterly.

Macintosh A. (2004). *Characterizing E-Participation in Policy-Making*. International Teledemocracy Centre: Napier University.

Salam, F. (2003). *Evaluating Dubai Government e-Services (Against EU States)*. Dubai Knowledge Economy.

Sharma, p. (2004). *E-Governance – The New Age Governance*. S.B Nangia for APH publishing corporation.

Watson, R.T. and Mundy, B. (2001). *A strategic perspective of electronic democracy*. *Communications of the ACM*, No. 1, p. 27.

აბულაძე, რ. (2012). *ელექტრონული მთავრობა და ბიუროკრატია*. ახალი ეკონომისტი, No. 2. წყარო: <http://loi.ucoz.com/Abuladze.pdf> (ნანახია: 15.11.2015)

ასათიანი, ს. (18 აპრილი, 2012). *ინტერნეტის შექმნის მოკლე ისტორია*. [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=12&id=20](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=12&id=20) (ნანახია: 20.11.2015, 17:19)



როსტიაშვილი, ქ. (2010). *ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები*. ინფორმაციის განვითარების თავისუფლების ინსტიტუტი.

ტურაშვილი, თ. (2014). *ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო*. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.